წელიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: } რედაქტორის 14—76 } მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—43.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოს[ამსახურეთათვის] 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

დ ღ ი უ რ ი

- პოლონეთის მთავრობის კრიზისი ჯერაც დასრულებულა.
- სამხრეთ-სლავიის მთავრობა აპირებს რადიჩის სასამართლოში მიცემას.
- ჩანდუნის (ჩინეთი) პროვინციის გლეხთა კონფერენციამ გადაწყვიტა შეუერთდეს გლეხთა ინტერნაციონალს.
- უმუშევართა რიცხვი ინგლისში უდრის 1,025 ათას კაცს.
- საფრანგეთის სენატმა დაამტკიცა ბიუჯეტი.

ხუთშაბათი 22 აპრილი, 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 90 (1545)

გერმანია-საბჭოთა მოლაპარაკება

როგორც მკითხველი დღეს დაინახავს, ევროპის პრესაში ერთი განგაშია ატეხილი გერმანია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების გამო, რომელიც ამ ჟამად სწარმოებს. მოლაპარაკების მიზანია ამ ორ სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულების დადება ნეიტრალიტეტის შესახებ, დაახლოებით ისეთი ხელშეკრულების, რომელიც ჩვენ დავდევით ოსმალეთთან.

საფრანგეთ-ინგლისის ბურჟუაზიული პრესა აღნიშნავს, რომ ეს მოლაპარაკება და ხსენებული ხელშეკრულების მოსალოდნელი დადება მიმართულია ლოკარნოსა და ერთა ლიგის წინააღმდეგო. ამით „მოკავშირეთა“ პრესა ერთხელ კიდევ აშიშვლებს ერთა ლიგისა და ლოკარნოს ნამდვილ მიზნებს. თითქო ორივე მოწოდებულია საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცებას შეუწყონ ხელი. ასე გაიძახიან მათი სულისჩამდგმელნი. გერმანია-საბჭოთა მოლაპარაკების საგანს, ამ ორი ქვეყნის შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას შეადგენს, რაც თავის მხრივ უეჭველად დიდად შეუწყობს ხელს მსოფლიო მშვიდობიანობის საქმეს. და რომ ლიგის და ლოკარნოს მესვეურები ამაში მართლა იყვნენ დაინტერესებული, მათ რა უნდა ჰქონდეთ საწინააღმდეგო გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის საგარანტიო ხელშეკრულების დადების.

მაგრამ საქმეთა ვითარება სულ სხვანაირია. როგორც ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, ლოკარნო მიზნად ისახავს გერმანიის ჩათრევას ანტისაბჭოთა ბლოკში, ერთა ლიგაში გერმანიის შეყვანა მოასწავებს ინგლისის ხელში ამ სახელმწიფოს ბრმა იარაღად გახდომას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს, სხვათა შორის, ნათლად სჩანს „ცნობილ“ავგურის წერილიდან, რომელშიც გულახდილათაა ნათქვამი, რომ ლოკარნოს დანიშნულებაა ინგლისის მეთაურობით ანტისაბჭოთა კოალიციის შექმნა; ამას მოწმობს აგრეთვე ინგლისის ბერლინელ ელჩის განცხადება, რომ გერმანიის მიერ საბჭოთა მთავრობისათვის კრედიტის გახსნა ლოკარნოს „სულს“ ეწინააღმდეგებაო; ამასვე ადასტურებს საფრანგეთ-ინგლისის პრესის ხმაური გერმანია-საბჭოთა ეხლანდელ მოლაპარაკების გამო.

საგულისხმოა შტრეზემანის კომენტარიები. გერმანიის მთავრობამ გამოიჩინა „ლოიალობა“ მოკავშირეთა მიმართ და აცნობა მათ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების შესახებ. შტრეზემანი ამასთან „ამშვიდებს“ მათ: ეს მოლაპარაკება არ ნიშნავს გერმანიის მიერ ლოკარნოზე ხელის აღებას, ხელშეკრულება საბჭოთა მთავრობასთან ოდნავადაც არ არის მიმართული ანტანტის წინააღმდეგ, იგი მხოლოდ ურთიერთი ნეიტრალიტეტის ვალდებულებას შეიცავს და მიზნად ისახავს ორივე ქვეყნის შორის არსებულ მეგობრულ სამეურნეო დამოკიდებულების განვითარებისათვის ხელის შეწყობასო; ამასთან შტრეზემანი დასძენს, რომ ეს ხელშეკრულება იქნება ლოკარნოს ბუნებრივი დამატება, ლოკარნოს, რომელიც ევროპის მშვიდობიანობის საქმეს ემსახურებაო; თვით ლოკარნოს შტრეზემანი არ სთვლის ისეთ აქტად, რომელიც მიმართული იყოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

შტრეზემანის უკანასკნელი დებულება, რა თქმა უნდა, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ამაზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტია. რაც შეეხება იმას, რომ გერმანია-საბჭოთა ხელშეკრულება არ არის მიმართული ლოკარნოსა და ერთა ლიგაში გაბატონებულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, ამაზე უნდა ითქვას შემდეგი: თავის თავად ცხადია, რომ საბჭოთა მთავრობა არავისთან დასდებს ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც მიმართული იყოს რომელიმე სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ. მაგრამ რამდენადაც გერმანია - საბჭოთა ხელშეკრულება საშუალებას უსპობს იმპერიალისტურ ქვეყნებს ჩააბან გერმანია ანტისაბჭოთა ბლოკში და ამსხვრევს ჩვენს წინააღმდეგ მომართულ მათ აგრესიულ ზრახვებს, იმდენად მათ „აქვთ საფუძველი“ ამით უკმაყოფილო იყვნენ.

თუ ამ ქვეყნებს „შურთ“ გერმანია-საბჭოთა მოლაპარაკება, ჩვენ მზად ვართ თვითეულ მათგანთან დავსდოთ ნეიტრალიტეტის ხელშეკრულება. დიდი ხანია ამას ცდილობს საბჭოთა მთავრობა. ჯერ კიდევ გენუის კონფერენციაზე, როცა დამარცხდა კაპიტალისტურ მსოფლიოსთან საერთო შეთანხმების მიღწევის ცდა, ჩვენ წამოვაყენეთ ცალკე სახელმწიფოებთან სეპარატიულ ხელშეკრულების დადების იდეა. საბჭოთა მთავრობა მუშაობს ამ მიმართულებით. შედეგიც თვალსაჩინოა. კერძოდ ჩვენ ოსმალეთთან დავდევით მეგობრობის ხელშეკრულება. ამავე გზას დღეს ადგას გერმანიაც. ჟენევის სესიის დამარცხებამ რამოდენიმედ დააჩქარა გერმანიის მიერ ამ მხრივ ნაბიჯის გადადგმა.

ჯერ კიდევ შეუძლებელია იმის თქმა, თუ რით გათავდება ეხლა მიმდინარე მოლაპარაკება. ეჭვი არ არის, რომ „მოკავშირენი“ ყველა ზომას მიიღებენ მის ჩასაშლელად. თავის მხრივ გერმანია შეეცდება ამ მოლაპარაკების გამოყენებას იმ მიზნით, რომ რაიმე დათმობა გამოგლიჯოს ინგლის - საფრანგეთს. ერთი რამ ცხადია, საბჭოთა კავშირთან მჭიდროდ დაკავშირება, ორიენტაცია საბჭოთა კავშირზე ერთად-ერთი საიმედო გამოსავალია გერმანიის განთავისუფლებისათვის „ანტანტის“ მონობიდან, ერთად-ერთი სწორი გზაა მისი საერთაშორისო დამოუკიდებლობის აღდგენისა და სამეურნეო აღორძინებისათვის.

ეს ამავე დროს იქნება ინგლისის ანტისაბჭოთა პოლიტიკისათვის ლახვარის ჩაცემა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი გამარჯვება. ამასთან, ჩვენი მთავრობა მოწადინებულია საგარანტიო ხელშეკრულება დასდვას მეზობელ სახელმწიფოებთანაც. ამ მხრივ მან კიდეც გადასდგა პრაქტიკული ნაბიჯები.

ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ცალკე სახელმწიფოთა შორის საგარანტიო ხელშეკრულების დადება, რომელიც, რა თქმა უნდა, მიმართული არ უნდა იყოს რომელიმე სხვა ქვეყნის წინააღმდეგ, ასეთია გზა საერთაშორისო მშვიდობიანობის განსამტკიცებლად დღევანდელ პირობებში. ეს მით უფრო ცხადი უნდა იყოს მას შემდეგ, რაც ერთა ლიგამ საბოლოოდ გამოააშკარავა თავისი უძლურება ამ მხრივ, კიდევ მეტი: მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ ეს დაწესებულება თვით უწყობს ხელს ახალი კონფლიქტების წარმოშობას და სახელმწიფოების გადაკიდებას ერთიმეორეზე.

მომჭირნეობის რეჟიმი და ჩვენი სინამდვილე

რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია და საკონტროლო კომისია უკეთესად დაეხმაროს პარტიას ეკონომიის რეჟიმის გატარებაში, ის უნდა გადაიქცეს ნამდვილ მებრძოლ ორგანოთ. ზედმეტი ლაპარაკი, რომელიც ლაყბობას უფრო წააგავს, ვიდრე ნამდვილ საქმიანობას, შერიგებისა და შეთანხმების მეთოდები, ბრუნდისა და მართლის მომადლიერების ცდა და ხანდახან დანაშაულობის მხილების შიში და სიმხდალე იმისათვის, რომ ვიღაცას სიმართლის თქმით ვაწყენინებთო,—უნდა შეიცვალოს სწორი მიუდგომელი საქმიანობით, რომელიც სავსებით დამყარებული იქნება პარტიის ხაზზე და ლოზუნგებზე.

რას ნიშნავს ეკონიმიისა და დაზოგვისათვის ბრძოლა?

ეს ნიშნავს დაუნდობელ ბრძოლას, სასტიკ დევნას და სასჯელს დაუზოგველობისათვის, ხელგაშლილობისათვის, უსისტემობისათვის, უგეგმობისათვის, უანგარიშიანობისათვის, უპასუხისმგებლობისათვის, გაფლანგვისათვის და მითვისებისათვის.

მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და საკონტროლო კომისიის ორგანოებს მრავალი დაბრკოლებები გადაეღობებათ წინ ამ გზით სიარულის დროს. რომლებიც ხელს შეუშლიან მათ: ჩვენში ხომ თითქმის ყველანი ერთმანეთს იცნობენ, ერთმანეთის „მეგობრები“ არიან, მრავალი ხვრელებია იმისათვის, რომ ვინმემ თავიდან აიცდინოს პარტიისა და მისი საკონტროლო ორგანოების ფხიზელი თვალი და ყური, ადვილად გაუძვრენ პასუხისმგებლობას, როგორც „ცაში მართალნი“ და შემდეგ შემოუგწყრენ, განზე გაიბუტონ და შორიდან ლანძღვა-გინება დაიწყონ. დიახ, იქნებიან უკმაყოფილონი, მაგრამ მუშათა და გლეხთა ინსპექცია ვერ შეჩერდება ამგვარი დაბრკოლების წინაშე. მან მტკიცედ და გაბედულათ უნდა იაროს ამ გზით. საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია პირველ ნაბიჯებს სდგამს ამ გზაზე.

აქ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პრესას: მან მოურიდებლად უნდა გამოიტანოს დღის სინათლეზე ჩვენი სახელმწიფო აპარატის ნაკლი, მტკივანი და მუწუკიანი ადგილები ეკონომიის რეჟიმის გატარებასთან დაკავშირებით, მან ფართოთ უნდა გააშუქოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ გამოკვლევების დასკვნები და შედეგები. ნაკლის გამოაშკარავებას ჩვენ არ უნდა შევუშინდეთ, პირიქით ის უნდა გავაძლიეროთ, ვინაიდან ის თავდებია მომავალში ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების და მშრომელ მასასთან დაახლოვების.

ამ მხრით ადგილობრივ პრესას მაინც და მაინც ვერ დავემდურებით. ის ჩვენთან არის, ხელიხელ ჩაკიდებულნი ვმუშაობთ და ვეხმარებით პარტიას წამოყენებულ ლოზუნგების განხორციელებაში. დაზოგვისა და თადარიგიანობის რეჟიმის გატარებისათვის უნდა დავირაზმოთ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. მებრძოლი პრესა, მებრძოლი საკონტროლო ორგანოები დაზოგვის რეჟიმისათვის,—აი რა არის საჭირო და აუცილებელი.

„რას უშვრებით პრესტიჟს იმ დაწესებულებებისას, ან ავტორიტეტს დაწესებულებათა იმ მეთაურებისას, რომელსაც გაკვრით ან პირდაპირ ეხება შემოწმება, კანტროლი და რევიზია და იმათ უარყოფით შედეგებს აშუქებთ პრესაში?“,—გვესმის ზოგიერთ დაწესებულებების ხელმძღვანელებისაგან. ზოგნი ღელავენ, „გვიშველეთო“,—გაიძახიან ისინი.

ყალბი შეხედულებაა. რა შუაშია ავტორიტეტი? არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს. რომ ჩვენი დაწესებულებები არ არიან სრულყოფილი, რომ მათ აქვთ ნაკლულოვანებები. მუშათა და გლეხთა ინსპექცია ისეთი სახელმწიფო ორგანოა, რომელსაც ევალება ნაკლის აღმოჩენა, მითითება, გაფრთხილება და სხვა. ამ შემთხვევაში ის ასრულებს თავის ფუნქციას, პარტიის დირექტივებს და შეხედულებას.

„ფართედ უნდა იქნას გაშუქებული ჩვენს პრესაში მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ცეკას გამოკვლევების შედეგები“ (კურსივი ჩემია)—ამბობს ამხ. კუიბიშევი თავის თეზისებში (ცეკა-ცაკას მე-2-ე პლენუმზე). „გაძლიერებულ იქნას გამომჟღავნებისა და გამოაშკარავების ხასიათის ინფორმაცია პრესაში“,—ამბობს ჩვენი მე-4-ე პარტიული ყრილობა ცეკას მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლიუციაში.

აშკარაა ავტორიტეტის მომიზეზება აქ უსაფუძვლოა. პირიქით, სწორედ იმით იზრდება საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის ავტორიტეტი, რომ ჩვენ თვითონ ვართ თავის თავის დარაჯი, რომ ჩვენ თვითონ დავეძებთ საკუთარ ნაკლს, ვააშკარავებთ მას და საერთო ძალით ვცდილობთ მის გამოსწორებას. რა თქმა უნდა, ნაკლის გამომჟღავნება არ ნიშნავს, რომ ჩვენს დაწესებულებებს ნაკლთან ერთად არა აქვთ დადებითი მხარეებიც, ვისაც უნდა საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა ასე გაიგოს, იგი სცდება და მომავალში ასეთი შეხედულება უსათუოდ თავიდან უნდა მოიშოროს. როგორც მაგალითი, მე მინდა მოვიხსენიო უკანასკნელი რევიზიონული გამოკვლევები საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსი, „წერკუმსი“-სა და სხვათა.

ვის შეუძლია იჭვის შეტანა იმაში, რომ დაწესებულებათა მუშაობაში არის დადებითი მხარეებიც? რასაკვირველია, არის. საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანელი, მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან ერთად, პირადთ იყო დაინტერესებული, გამომჟღავნებულიყო ხსენებულ სამმართველოს საქმიანობა და კიდეც განაცხადა რევიზიის მოხდენის საჭიროებაზე, მაგრამ ეს მდგომარეობა სრულიადაც არ მოწმობს სრულყოფის და საერთოდ დაწესებულების ნორმალურ მდგომარეობას. მუშათა და გლეხთა ინსპექციამაც ეს აღნიშნა.

ასე ამ გვარად ნაკლის გამომჟღავნება და მასზე მითითება, არავის არ უნდა გაუკვირდეს. პირიქით, ენერგიულად უნდა მიმოიხედოს გარშემო და უნდა იფიქროს დაწესებულების ნაკლის გამოსწორებაზე. დაუღალავი მუშაობა და მოურიდებელი მხილება ყოველგვარ ნაკლის—აი, რას მოითხოვს ჩვენგან ეკონიმიის რეჟიმის მტკიცეთ და უკლებლივ ცხოვრებაში გატარება.

ა. დოლიძე.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება

ევროპის პრესის გამოძახილი

მოლაპარაკებას სთვლიან ჟენევის დამარცხების შედეგათ

საფრანგეთის პრესა შეშინებულია გერმანია-საბჭოთა კავშირის მოსალოდნელი შეთანხმებით.

შესაძლებელია საბჭოთა კავშირის შეთანხმება მოსაზღვრე სახელმწიფოებთან

„ტაიმსის“ ცნობა

ლონდონი, 20 აპრილი, „ტაიმს“-მა გამოაქვეყნა ცნობა გერმანია-საბჭოთა კავშირის ახალ ხელშეკრულების შესახებ.

გაზეთის სიტყვით, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობებმა მიიღეს ოფიციალური ცნობა, რომ ამ ხელშეკრულების მიზანია რაპალოს ხელშეკრულების შეთანხმება ლოკარნოსთან.

ამავე დროს „ტაიმსი“ იუწყება, რომ საბჭოთა კავშირმა წინადადება მისცა ბალტიის სახელმწიფოებს დასდონ მასთან ხელშეკრულება: შეტევითი მოქმედების უარყოფისა, ნეიტრალიტეტის დაცვისა და სადაო საკითხების შეთანხმებით მოწესრიგების შესახებ ორივე მხრით.

„დეილი ტელეგრაფის“ შიში

ლონდონი, 20 აპრილი. „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტი დაწვრილებით იხილავს „საბჭოთა მთავრობის მრავალმხრივ დიპლომატიურ შეტევას“ ლოკარნოსა და ერთა ლიგის წინააღმდეგ.

ამ შეტევის ნიშანს, კორესპონდენტის აზრით, წარმოადგენს გერმანია-საბჭოთა კავშირის მომავალი ხელშეკრულება და, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის წინადადებანი პოლონეთისა და ბალტიის სახელმწიფოებისადმი.

კორესპონდენტი ფიქრობს, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის ახალ ხელშეკრულებას არა აქვს „ჯანსაღი ხასიათი“, თუნდაც იმ მოსაზრებების და ზრახვების გამო, რომლითაც მოსკოვია გამსჭვალული“.

„რამდენათაც—სწერს გაზეთი—ინგლისის დიპლომატიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ თავიდან აეცილებია დასავლეთის წინააღმდეგ მიმართული გერმანია-საბჭოთა კავშირის ალიანსი, არ შეიძლება მივესალმოთ ამბების დღევანდელ განვითარებას“.

დასასრულ კორესპონდენტი აცხადებს, რომ მძიმე პასუხისმგებლობა აწევთ იმ სახელმწიფო მოღვაწეებს და ერებს, რომელთაც მარტში გერმანიას უარი უთხრეს ერთა ლიგის საბჭოში ადგილის დათმობაზე და, ამგვარად, ის მოსკოვის მხარეზე დააყენეს.

ჟენევის კრახის შედეგი

ლონდონი, 20 აპრილი. „მანჩესტერ გარდიენი“ ამბობს, **რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის ახალი ხელშეკრულება წარმოადგენს ჟენევის დისკუსიის ჩაშლის პირველ მნიშვნელოვან შედეგს.** გაზეთის ცნობით, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აცნობა გერმანიას, რომ რადგან იგი უკვე ლიგის ფაქტიური წევრია, მან უნდა იზრუნოს, რომ ვალდებულებანი საბჭოთა კავშირის მიმართ არ ეწინააღმდეგებოდეს ვალდებულებებს ერთა ლიგისადმი.

საფრანგეთის პრესის აზრი

პარიზი, 20 აპრილი. საფრანგეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ინგლისურ გაზეთების ცნობას გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების შესახებ.

„ეკო-დე პარი“-ს საჭიროთ მიაჩნია გერმანიისაგან განმარტებანი მოითხოვოს. „როდესაც ლოკარნოს პოლიტიკას აკრიტიკებენ,—სწერს გაზეთი—ბრიანი ჩვეულებრივად უპასუხებს, რომ ლოკარნოს ხელშეკრულების წყალობით, გერმანია-საბჭოთა კავშირის მძლავრი ბლოკის საშიშროება თავიდანაა აცილებული. რა კი მომხდარი ამბები აბათილებენ ამ არგუმენტს. ჩვენი პასუხი უნდა იყოს ბელგრადთან და ბუქარესტთან დასადებათ დამზადებული ხელშეკრულების ხელის მოწერა“.

„ტანი“ ფიქრობს, რომ გერმანიის მთავრობა ლოიალურად მოქმედებდა, როდესაც პარიზს და ლონდონს დიპლომატიური გზით აცნობა საბჭოთა კავშირთან წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ.

„გერმანიის მთავრობას—სწერს გაზეთი—უფლება აქვს ეძიოს უშიშროების გარანტია იქ, სადაც მას საჭიროთ მიაჩნია. შესაძლოა, ლოკარნოს ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოებისათვის სასიამოვნო არ არის ბერლინის მისწრაფება მოსკოვთან შეთანხმებისაკენ, მაგრამ ბერლინს აქვს ასეთი უფლება, თუ ეს შეთანხმება არ ეწინააღმდეგება ლოკარნოს და ერთა ლიგას.

გაზეთს შესაძლებლად მიაჩნია, რომ გერმანია - საბჭოთა ხელშეკრულება ემგვანება ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას და აყენებს კითხვას—როგორ შეათანხმებს გერმანია თავის ვალდებულებებს საბჭოთა კავშირისადმი იმ ვალდებულებებთან, რომელიც ეკისრება ერთა ლიგის თვითეულ წევრს.

„სურთ თუ არა ეს, ამბობს გაზეთი, მაგრამ გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, რომელიც ავსებს რაპალოს ხელშეკრულებას და უპირდაპირებს ლოკარნოს, მთელი ევროპის პოლიტიკის ახალი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორი იქნება“.

ვოლფის სააგენტოს ცნობა

ბერლინი, 20 აპრილი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, გერმანიის ავტორიტეტულ წრეებში აცხადებენ, რომ იმ მომენტიდან, როცა გერმანიასა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკება დაიწყო, გერმანია და საბჭოთა კავშირი იხილავენ საკითხს მათ შორის არსებულ ურთიერთობის ჩამოყალიბების შესახებ ლოკარნოს საგარანტიო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. გერმანიას არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ ლოკარნოს არ შეაქვს არავითარი ცვლილება გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის არსებულ ურთიერთობაში.

ღიად რჩება საკითხი—მიიღებს თუ არა გერმანია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება კონკრეტიულ ფორმას და რამდენ ხანში დამთავრდება ის.

გერმანიის მთავრობის ცნობა

ლონდონი, 20 აპრილი. ინგლისის პრესის ცნობით, გერმანიის მთავრობამ გაგზავნა ლონდონსა და სხვა სატახტო ქალაქებში ცნობა მოლაპარაკების შესახებ, რომლის მიზანია გერმანია-საბჭოთა კავშირის კონვენციის დადება. კონვენცია ჯერ არ არის ხელმოწერილი, მაგრამ, როგორც აღნიშნულია ცნობაში, ახალი შეთანხმება ისეთს არაფერს შეიცავს, რაც შესცვლიდა გერმანიის და საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას სხვა სახელმწიფოებთან.

შტრეზემანის სიტყვა

ბერლინი, 20 აპრილი. გერმანიის სახალხო პარტიის წლიურ კონფერენციაზე სიტყვა წარმოსთქვა **შტრეზემანმა**, რომელმაც გერმანია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შესახებ განაცხადა:

„ძნელია რაიმეს თქმა იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება და ხელშეკრულების შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დადებული. ვინც გერმანიის მთავრობის მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირთან ხედავს უარის თქმას, მას სწორეთ არ ესმის ეს პოლიტიკა. ლოკარნოს ხელშეკრულების მიზანია მშვიდობიანობის შენარჩუნება ევროპაში, და ეს ხელშეკრულება არ ყოფილა მიმართული რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ. მართალია, რუსეთის მთავრობას დიდ ხანს ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ლოკარნოს ხელშეკრულება წარმოადგენს ერთგვარ ჯვაროსნულ გალაშქრებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ ლოკარნოს ხელშეკრულების ასეთი შეფასების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს ჩემბერლენმა, ბრიანმა და ვანდერველდემ ისევე, როგორც გერმანიის მთავრობამ.

გერმანიის მთავრობა საბჭოთა კავშირთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ორივე მხარე ვალდებულებას იძლევა არ შეურთდეს აგრესიულ მოქმედებას, რომელიც მიმართული იქნება ერთ-ერთ მათგანის წინააღმდეგ. დანარჩენში ხელშეკრულებამ ხელი უნდა შეუწყოს ამ ქვეყნებს შორის არსებულ მეგობრულ და სამეურნეო ურთიერთობის განმტკიცებას. ანალოგიური იდეა უძევს აგრეთვე საფუძვლად სხვა სახელმწიფოების დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან.

გერმანიის მთელი პოლიტიკის მთავარი მიზანია ევროპაში მშვიდობიანობის შენარჩუნება და გერმანიის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა მშვიდობიანობის საფუძველზე. საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულება იქნება ლოკარნოს ბუნებრივი დამატება და გერმანიის საგარეო პოლიტიკის ამ ხელმძღვანელი იდეის ახალი გამოხატულება“.

საბჭოთა კავშირი და ფინეთი

ჰელსინგფორსი, 20 აპრილი. გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ადასტურებს, რომ საბჭოთა მთავრობამ **სურვილი გამოსთქვა დაედვა ფინეთთან ხელშეკრულება ურთიერთ საწინააღმდეგო აგრესიულ მოქმედებაზე უარის თქმის, ნეიტრალიტეტის დაცვის და სადაო საკითხების შეთანხმების გზით გადაჭრის შესახებ.**

ცნობაში აღნიშნულია, რომ გარეშე საქმეთა სამინისტრო იხილავს ამ წინადადებას მისი უფრო დეტალურად დამუშავების მიზნით.

სამინისტროს ცნობას გაცხოველებით იხილავენ ჰელსინგფორსის გაზეთები, რომლებიც ხაზს უსვამენ ამ საკითხში საბჭოთა კავშირის ინიციატივის მნიშვნელობას და აღნიშნავენ, რომ ასეთი ხელშეკრულების დადება მნიშვნელოვნათ უზრუნველჰყოფს ფინეთის უშიშროებას.

შვეციის პრესის გამოძახილი

სტოკჰოლმი, 20 აპრილი. კონსერვატიული „აფტენბლადეტი“ სწერს, რომ **საბჭოთა კავშირის და გერმანიის დაახლოება და აგრეთვე საბჭოთა დიპლომატიის მოქნილი პოლიტიკა, რომელიც აშკარა გახდა მოსაზღვრე სახელმწიფობთან მოლაპარაკების დროს, არ შეიძლება უყურადღებოთ იქნეს დატოვებული ანტანტის დიპლომატიის მიერ ერთა ლიგის შემოდგომის სესიაზე.**

„ჩიჩერინმა—სწერს გაზეთი—ამ დღეებში ერთა ლიგას მისცა უაღრესად მარტივი და მკაფიო, მაგრამ არა საკმაოდ ზრდილობიანი პასუხი, რომელიც ერთა ლიგისათვის ნიღაბაფარებულ ომის გამოცხადებას ნიშნავს. **თავდასხმის გეგმა შემუშავებულია საბჭოთა დიპლომატიისათვის დამახასიათებელ ნიჭიერებით“.**

დასასრულ გაზეთი აცხადებს, რომ თუმცა საბჭოთა მთავრობის წინადადებების გულწრფელობა საეჭვოა, მაგრამ ჩიჩერინმა მაინც მოხერხებულათ ამოირჩია მომენტი თავისი გამოსვლისათვის, რომელიც მოაგონებს ტონის მიმცემ დიდ სახელმწიფოებს, რომ მათ გარდა არსებობს სხვა პოლიტიკური კომბინაციებიც, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება კიდეც განხორციელდება“.

ჩიჩერინის პასუხის მნიშვნელობა

სტოკჰოლმი, 20 აპრილი. ეხება რა ჩიჩერინის მიერ ერთა ლიგის გენერალურ მდივნისათვის გაგზავნილ ნოტას, ნორვეგიის კომპარტიის ორგანო „ნორიეს კომუნისტბლადეტ“ სწერს:

„თუმცა ნოტა გამოგზავნილია ლიგის მდივნის მისამართით, **მაგრამ სინამდვილეში ის არის საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მიმართვა მთელი ქვეყნის მუშებისადმი იმ საშიშროების წინააღმდეგ, რომელიც თან ახლავს ერთა ლიგის უსინიდისო პოლიტიკას“.**

ბავარიის ექსპორტი

ბერლინი, 20 აპრილი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, ბავარიის ვაჭრობა-მრეწველობის და ფინანსთა სამინისტრომ შეიტანეს ლანდტაგში წინადადება ბავარიის ექსპორტისათვის საბჭოთა კავშირში ხელის შეწყობის შესახებ საბჭოთა დაკვეთებისათვის. გარანტიის მიცემის გზით. ეს წინადადება განხილულ იქნება ლანდტაგის საბიუჯეტო კომისიის მახლობელ სხდომაზე.

ურთიერთობა იაპონიასთან

ლენინგრადი, 21 აპრილი. **ჩამოვიდა იაპონიის ექსპერტი ხასი გაჩი, რომელიც დაესწრება იაპონია-საბჭოთა კავშირის კონფერენციას წყნარ ოკეანეზე მეთევზეობის შესახებ.**

ლენინგრადში ის ინახულებს თევზის სამრეწველო ქარხნებს და გაეცნობა თევზის ხელოვნურად მოშენების საქმეს

მზადება შვებულებისათვის

მუშა-მოსამსახურეთა მორიგ შვებულებაში დათხოვნა არსებულ წესებით უნდა ხდებოდეს მთელი წლის განმავლობაში, რომ ერთი მხრით შეძლებისდაგვარად ყველას მოუწიოს დასვენება, მეორე მხრით მრავალ მუშა-მოსამსახურის ერთბაშად დაშვებით არ შეფერხდეს წარმოება-დაწესებულების ნორმალური მუშაობა. მაგრამ სინამდვილეში მასიური შვებულებები ხდება უმთავრესად გაზაფხულის, ზაფხულის და ნაწილობრივ შემოდგომის პირველ ნახევრის პერიოდში.

წარსული წლის გამოცდილებით ვიცით, რომ ჩვენი დაწესებულებები გაზაფხულის და მეტადრე ზაფხულის განმავლობაში თითქმის სანახევროდ ცარიელდებიან, ყველა სწორედ ამ დროს ცდილობს შვებულება მიიღოს, მუშაობიდან განთავისუფლდეს და ქალაქებს მოშორდეს. წრეულს ასეთი მოვლენა არ უნდა იქნას დაშვებული. მუშა-მოსამსახურეთა გაშვება დასასვენებლად უნდა ხდებოდეს ისეთი თანდათანობით და წესით, რომ **დაწესებულება-წარმოების ჩვეულებრივი საქმიანობა საგრძნობლად არ დაზარალდეს.** ეს ერთნაირად შეეხება როგორც პასუხისმგებელ მუშაკებს, ისე ყველა დანარჩენებს.

შემდეგ: შვებულებათა პრაქტიკაში, სხვათა შორის, ერთ არა ჯანსაღ მოვლენას აქვს ადგილი: ზოგიერთი მუშა-მოსამსახურე არჩევს სრულებით არ წავიდეს დასასვენებლად, რომ ფულადი კომპენსაცია მიიღოს. დაწესებულებათა მეთაურები ხშირად თანხმდებიან ამაზე, რასაც ასაბუთებენ იმით, თითქო ზოგიერთების შეცვლა სხვა პირებით არ შეიძლებოდეს. გამონაკლის შემთხვევების გარდა, ეს მოსაზრება არ არის სწორი. **ფულადი ანაზღაურება შვებულების სამაგიეროდ უნდა მოისპოს,** თუ ამას მართლა არ იწვევს დაწესებულების ინტერესი. შვებულებაში წასვლას უნდა ჰქონდეს აუცილებლად სავალდებულო ხასიათი, რომ მუშა-მოსამსახურემ თავისი ჯანმრთელობა აღადგინოს და შემდეგისათვის გამოსადეგი მუშაკი დარჩეს.

უფრო დასუსტებულ-დაავადებული მუშები გაიგზავნებიან დასასვენებელ სახლებში და აგარაკებზე. აქ **უნდა აღმოიფხვრას ყოველგვარი ნათლი-მამობა, პროტექცია და ნაცნობობა.** კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში უნდა მოხვდნენ მხოლოდ ისეთები, რომელნიც ამას ნამდვილად საჭიროებენ. უნდა გატარდეს სასტიკი საექიმო-საკონტროლო შემოწმება.

ამასთან ცხადია, რომ შემოწმების და საერთოდ აგარაკებსა და დასასვენებელ სახლებში მუშების გაგზავნის საქმეში **აღმოფხვრილ უნდა იქნას ბიუროკრატიზმი,** როცა მუშებს უხდებათ ბევრი დროს დაკარგვა, დაუსრულებელი სიარული და გრძელ „კუდებში“ დგომა.

ცალკე უნდა შევეხოთ დასასვენებლად სოფლებში მიმავალ მუშების **გამოყენებას საზოგადოებრივი მიზნებისათვის.** ასეთები კი უეჭველად დიდ უმრავლესობას შეადგენენ რა უნდა გააკეთონ მათ? ცოცხალი კავშირის განმტკიცება მუშათა კლასსა და გლეხებს შორის—ასეთია მათი უპირველესი მოვალეობა. ამისათვის მათ უნდა განუმარტონ გლეხობას პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა და ღონისძიებანი, მიმართული სოფლის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, კერძოდ ღარიბ გლეხობის დახმარებისაკენ. გლეხობა ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობს საბჭოთა კანონებს და იმ შემთხვევებს, რომელთაც ხელის უფლება ანიჭებს მშრომელ გლეხობას. მათი პოპულიარიზაცია დიდ სარგებლობას მოუტანდა გლეხური მასის გათვითცნობიერებას და საბჭოთა ხელისუფლებასთან მისი უფრო დაახლოების საქმეს.

ამავე დროს შვებულებაში მყოფი მუშები თავიანთი გამოცდილებით, ორგანიზაციული უნარით უნდა დაეხმარონ გლეხობას სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობაში, ადგილობრივ პირობების მიხედვით. მაგრამ აქ საჭიროა სიფრთხილის და ტაქტის დაცვა. ქალაქიდან სოფელში ჩასულ ზოგიერთ პირს ჩვეულებად აქვს ზევიდან დახედოს გლეხობას, მოაჩვენოს მას თავი „განათლებულ კაცად“, ითამაშოს „მასწავლებლის“ როლი. სოფლად ჩასულ მუშებმა უნდა დაამყარონ გლეხობასთან უბრალო, ამხანაგური დამოკიდებულება, ილაპარაკონ და აკეთონ მხოლოდ ის, რაც მათ მართლა იციან და რის გაკეთების ძალღონე აქვთ.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მათ უნდა იმუშაონ ადგილობრივ ორგანიზაციებთან სრული კონტაქტით, ისინი წარმოადგენენ უკანასკნელთა დამხმარე ძალას.

მაგრამ შვებულებაში წასულ მუშებმა რომ ცოტად თუ ბევრათ პირნათლად შეასრულონ ზევით ხსენებული მოვალეობანი, საჭიროა ამისათვის მათი წინასწარი მომზადება. ამ მხრივ უნდა წარმართონ მუშაობა პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებმა. მუშებს უნდა შესწევდეთ ძალა გასცენ პასუხი გლეხობის საჭირბოროტო შეკითხვებზე და თავისი წვლილი შეიტანონ სოფლის გათვითცნობიერებასა და მის საზოგადოებრივ ძალთა შეკავშირებაში. უბრალო მუშა ამას ვერ მოახერხებს, თუ მას საჭირო ცნობებს და რჩევა-დარიგებას არ მივსცემთ. აქ ჩვენ არ შეგვიძლია ფართე ამოცანები და პროგრამა დავსახოთ. უკეთესია ცოტას გაკეთება, მაგრამ აუცილებლად და კარგად გაკეთება.

შვებულებები უკვე დაიწყო. ჩვენ ამ თავითვე უნდა მივიღოთ ზომები მათი სწორად ჩატარებასა და გამოყენებისათვის.

ინკოგნიტო

გერმანიის კომპარტიაში

ბერლინი, 20 აპრილი. გერმანიის კომპარტიის რედაქტორების და მდივნების კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს: **დენგელმა** — „საერთაშორისო მდგომარეობასა და კომინტერნზე“, **ტელმანმა** — კომინტერნის აღმასკომის მეექვსე გაფართოებულ პლენუმსა და გერმანიის კომპარტიის მდგომარეობაზე, **ბრაუნმა** — გერმანიის კომპარტიის უახლოეს ამოცანებზე.

თავის მოხსენებაში ტელმანმა აღნიშნა, რომ კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის დამთავრების შემდეგ გერმანიის კომპარტიის უკიდურეს მემარცხენე ჯგუფის ხელმძღვანელები კიდევ უფრო დაშორდენ პარტიას. კორშისა და შვარცის ჯგუფი პოლიტიკურად და ორგანიზაციულად სავსებით შეთანხმებულად მუშაობს რენეგატ კაცთან, რომელიც უკვე პარტიის გარეშე სდგას. ეს ჯგუფი აგიტაციას აწარმოებს არა მარტო გერმანიის კომპარტიის ცეკას, არამედ აგრეთვე კომინტერნის აღმასკომის, საკავშირო კომპარტიის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ურბანს - რუტ ფიშერის ჯგუფი განაგრძობს უკიდურეს მემარცხენე ფრაქციულ ბრძოლას პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ დემაგოგიის და ორმაგი ბუხჰალტერიის წინანდებური მეთოდებით.

შემდეგ ტელმანი აღნიშნავს, რომ კორშის და ურბანსის ჯგუფთა იდეოლოგია ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდება.

დასასრულ ორატორი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ უკიდურესი მემარცხენე ჯგუფები იხრწნებიან შიგნიდან, ხოლო მათში შემავალი მუშური ელემენტები პარტიის ხაზს უახლოვდებიან.

შემდეგ გამოსული **კორში** ლაპარაკობდა ორჭოფულად, მაგრამ სავსებით შეუერთდა კონფერენციაზე გამოქვეყნებულ ცნობებს ანტი-ბოლშევიკური ხასიათის მუშაობის შესახებ. ყველა დანარჩენი ორატორები მოითხოვდენ, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ენერგიული ზომები მიიღოს კორშ - შვარცის ჯგუფის წინააღმდეგ; ორატორები აღნიშნავდენ აგრეთვე, რომ ენერგიული ზომები უნდა იქნეს მიღებული ურბანს - რუტ ფიშერის დამღუპველ ფრაქციულ მუშაობის წინააღმდეგ, რომელსაც არევ-დარევა შეაქვს პარტიაში.

ცეკას სახელით **ტელმანმა** წინადადება მისცა კორშს და შვარცს მოიხსნან რეიხსტაგის დეპუტატების უფლებები. კორშმა უარი სთქვა ამ მოთხოვნილების შესრულებაზე, რასაც ასაბუთებდა ყოველგვარი ხრიკებით.

კონფერენციამ ერთხმად დაადგინა აეკრძალოს კორშს თათბირზე მუშაობა.

ურბანსმა და ვებერმა განაცხადეს, რომ ისინი ხმას არ მისცემენ ცეკას წინადადებას, რომელიც მოითხოვს კორშისა და შვარცისათვის დეპუტატობის უფლებების წართმევას.

შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ რეზოლიუცია მიღებულ იქნა 656 ხმით 2-ს წინააღმდეგ.

ურბანსის და ვებერის რეზოლიუციებმა ორ-ორი ხმა მიიღეს. მიღებული რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ კორშ - შვარცის ჯგუფი არსებითად თავის-თავს პარტიის გარეშე აყენებს.

ურბანს - რუტ ფიშერის ჯგუფი ობიექტიურად პარტიიდან გამორიცხულ კაცის ჯგუფის მოკავშირეა და ანტი - ბოლშევიკურ ელემენტს წარმოადგენს პარტიაში. ყველა უკიდურეს მემარცხენე ჯგუფებს საერთო პოლიტიკური ხაზი აქვთ.

შემდეგ რეზოლიუცია მოითხოვს, რომ ერნესტ მეიერის ჯგუფი გარკვეულად მიემხროს პარტიის ხაზს, კომინტერნის აღმასკომის რეზოლიუციის მიხედვით, და სასტიკად შეებრძოლოს იმ ჯგუფებს და პირებს, რომელნიც პარტიის ხაზს ეწინააღმდეგებიან.

მეიერმა განმეორებით განაცხადა, რომ მზად არის სავსებით მხარი დაუჭიროს პარტიის ცეკას.

იტალია ახალშენებში

იტალიელების შეტაკება ბედუინებთან

ანგორა, 20 აპრილი. ეგვიპტეს ნაციონალისტების ორგანოში „ვადანილ“-ში მოთავსებულია **ცნობა ეგვიპტეს დასავლეთის საზღვარზე იტალიელებსა და ბედუინებს შორის მომხდარ შეტაკების შესახებ. შეტაკება მოხდა იმის გამო, რომ ბედუინები ვერ შეურიგდენ ჯერაბუბის ოლქის გადასვლას იტალიის ხელში.**

მიღებულ ცნობების თანახმად, **იტალიელების მიერ გაგზავნილი რაზმი, 1200 კაცი, ამოჟლეტილი იქნა ბედუინების მიერ.** ბედუინებმა ხელთ იგდეს დიდძალი სამხედრო მასალა და ჩამოაგდეს იტალიის ერთი ჰაეროპლანი. მეამბოხეთა მეთაურმა საჯედ ომარ-მუხტარმა გადაიტანა თავისი შტაბი ტობრუკში და იქიდან ამზადებს თავდასხმას ჯერაბუბზე. მეამბოხეებს ეხმარებიან ბედუინთა სხვა ტომები, რაც კიდევ უფრო ართულებს იტალიელების მდგომარეობას.

აბისინიის დაყოფის გარშემო

ლონდონი, 20 აპრილი. ინგლისის ოფიციალურ წრეებში დიდ მნიშვნელობას არ აკუთვნებენ ინგლის-იტალიის ხელშეკრულებას აბისინიაში გავლენათა სფეროების დაყოფის შესახებ. დადებული ხელშეკრულება ეხება მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთ დათმობას ეკონომიურ ინტერესების დარგში. სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად იტალიამ აღიარა ინგლისის უფლება ტსანას ტბაზე (აბისინიის ჩრდილო-დასავლეთში). სამაგიეროთ ინგლისმა სცნო იტალიის უფლება გზის გაყვანაზე სომალილენდის ჩრდილოეთით (იტალიის კოლონია, რომელიც აბისინიას ჰყოფს ინდოეთის ოკეანესაგან).

დადებულ ხელშეკრულებას სთვლიან იმის ნიშნად, რომ ინგლისი მზადაა ხელი შეუწყოს იტალიის შეჭრას აბისინიაში და, ბოლოს, აბისინიის ანექსიას იტალიის მიერ.

მუსოლინის კოლონიალური ზრახვები და საფრანგეთი

პარიზი, 20 აპრილი. **მემარჯვენე და ზომიერ წრეებს, რომელნიც მხარს უჭერენ ბრიანს, საფუძვლიანად მიაჩნიათ მუსოლინის კოლონიალური ზრახვები.**

ზაუერვეინი, რომელიც „მატენს“ კორესპონდენციებს აწვდის რომიდან, ხაზს უსვამს იმ საფრთხეს, რომელიც შესაძლებელია შეიქმნეს საფრანგეთისათვის, თუ იტალია ნედლეულის ახალი წყაროების და თავის მოჭარბებულ მოსახლეობისათვის ტერიტორიების ძებნაში შეუთანხმდა გერმანიას. მუსოლინის მკაცრმა გამოსვლებმა და მისმა პრეტენზიებმა საფრანგეთის ახალშენებზე აფრიკაში, ზაუერვეინის აზრით, შესაძლებელია შექმნას ისეთი მდგომარეობა, რომელიც ორივე სახელმწიფოსთვის საზარალო იქნება. ამის გამო ზაუერვეინი მოითხოვს საფრანგეთ-იტალიის დაახლოვებას.

რადიჩის წინააღმდეგ

ვენა, 20 აპრილი. სკუპშჩინის იმ დეპუტატთა რიცხვი, რომელნიც გამოვიდნენ რადიჩის პარტიიდან 10-დე გაიზარდა. **სამხრეთ-სლავიის მთავრობას განზრახული აქვს რადიჩის პარტიას ჩამოაშოროს კიდევ 10 დეპუტატი და ამგვარად მიიღოს უმრავლესობა სკუპშჩინაში**

გავრცელებულ ხმების თანახმად, მთავრობას განზრახული აქვს გამოიყენოს რადიჩის წინააღმდეგ სახელმწიფოს თავდაცვის კანონი, **წაართვას რადიჩს სადეპუტატო ხელშეუხებლობა და წაუყენოს მას ბრალდება მთავრობისათვის სამარცხვინო ხმების გავრცელებაში.**

მოლაპარაკება რიფებთან

მოლაპარაკება

პარიზი, 20 აპრილი. ჰავასი უჯიდან იუწყება: რიფების წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს **სიმონმა** საფრანგეთის და ესპანეთის დელეგატების სახელით განაცხადა, რომ სანამ დაიწყებოდეს პოლიტიკური ხასიათის პირობების განხილვა, სახელდობრ რიფების მიერ მაროკოს სულთანის ძალა - უფლების აღიარების, რიფების რესპუბლიკიდან აბდ-ელ-ქერიმის განდევნის, ტომების განიარაღების და რიფის ადმინისტრატიული რეორგანიზაციის შესახებ, საჭიროა დროებითი ზავის ჩამოგდება და სამხედრო ტყვეების გაცვლა. გარდა ამისა საფრანგეთმა და ესპანეთმა უნდა მიიღონ ტერიტორიული გარანტიები.

რიფების დელეგატმა აზერ-ხანმა უპასუხა, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ წამოყენებული პოლიტიკური პირობები შეიძლება საფუძვლად დაედოს მოლაპარაკებას, მაგრამ სამხედრო პირობები მიუღებელია. **აბდ-ელ-ქერიმი თანახმაა დროებითი ზავის ჩამოგდებაზე, მაგრამ წინააღმდეგია საფრანგეთ - ესპანეთის ჯარების წინ წაწევისა და აგრეთვე სამხედრო ტყვეების გაცვლისა, შეთანხმების მიღწევამდე.**

საფრანგეთის და ესპანეთის დელეგატების აზრით, საფრანგეთ - ესპანეთის ოკუპაცია წარმოადგენს გარანტიას აბდ-ელ-ქერიმის კეთილსინდისიერებისათვის. აზერ-ხანის მიერ შეურიგებელ პოზიციის დაჭერის გამო, გადაწყვეტილ იქნა გაიმართოს თათბირი, 22 აპრილს, რიფების დელეგატების მიერ აბდ-ელ-ქერიმისაგან ინსტრუქციების მიღების შემდეგ. კაიდ ხადუ აეროპლანით გაფრინდა რიფში.

აბდ-ელ-ქერიმის წინადადებები

პარიზი, 20 აპრილი. „ჰავასის“ სააგენტო აქვეყნებს აბდ-ელ-ქერიმის წარმომადგენლების მიერ გამოქვეყნებულ ცნობას. **აბდ-ელ-ქერიმის დელეგატები ხაზს უსვამენ რიფების მშვიდობიან განწყობილებას და აყალბებენ შესწორებებს, რომელიც, მათი აზრით უნდა იქნას შეტანილი საფრანგეთის და ესპანეთის მიერ წამოყენებულ პირობებში, თუ უკანასკნელებს სურვილი აქვთ აწარმოონ მოლაპარაკება რიფების ოლქის ტომების ინტერესების მიხედვით.**

„განიარაღების“ კონფერენცია

მელონის განცხადება

ლონდონი, 21 აპრილი. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით, სახელმწიფო ხაზინადარი **მელონი** უარყოფს ცნობას, თითქოს საფრანგეთის ელჩ **ბერანჟესთან** მიღწეული იყოს შეთანხმება ვალების საკითხში. ის აცხადებს, რომ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ნიადაგია მომზადებული მოლაპარაკებისათვის ვალების გადახდის შესახებ.

კელოგის განმარტება

ბერლინი, 21 აპრილი. თუმცა ამერიკა ეჭვის თვალით უყურებს ჟენევის მომავალ განიარაღების კონფერენციის შედეგებს, მაგრამ მიუხედავად ამისა გარეშე საქმეთა მინისტრი კელოგი აცხადებს, რომ შეერთებული შტატების დელეგატებს დაევალება ვაშინგტონის განიარაღების კონფერენციის ხაზის დაცვა.

საკავშირო ცაკის მეორე სესია

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების შეცვლა

ამხ. მიხა ცხაკაიას და ტერ-გაბრიელიანის სიტყვა

ტერ-გაბრიელიანის სიტყვა

მოსკოვი, 21 აპრილი. 19 აპრილს ეროვნებათა საბჭოში კრილენკოს და ვინოკუროვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ა. კ. ფედერაციის წარმომადგენელმა ტერ-გაბრიელიანმა, რომელმაც განაცხადა:

„რიაზანოვის გამოსვლა სისხლის სამართლის კოდექსის შესახებ არ ყოფილა შემთხვევითი. რიაზანოვი ისევე, როგორც მთელი რიგი სხვა პასუხისმგებელი ამხანაგებისა, რომელთაც ჩვენ პატივს ვცემთ, წარმოადგენენ გამოხმაურებას იმ მრავალრიცხოვანი სპეციალისტებისა და მოხელეებისა, რომლებითაც სავსეა ჩვენი ცენტრალური დაწესებულებანი და რომელთაც ჯერ კიდევ არ შეუთვისებიათ ჩვენი კონსტიტუცია. მათ აქამდის ვერ შესძლეს კონსტიტუციის მონელება და ზედმეტათ მიაჩნიათ მოკავშირე რესპუბლიკებისათვის ანგარიშის გაწევა. მათ არ სურთ გაიგონ, რომ ჩვენი მოკავშირე რესპუბლიკები კავშირის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

მე გახლავართ ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელი და ყოველ დღე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე თითქმის ყველა კომისიებში ვგრძნობ ასეთ დამოკიდებულებას მოკავშირე რესპუბლიკებისადმი.

თუ თქვენ შეივლით სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, შეხვდებით ხალხს, რომელიც იქ ზის და იმუშავებს კანონს ტყეების მმართველობის გაერთიანების შესახებ. ამის წინად სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შრომის და თავდაცვის საბჭოში შეიტანა კანონპროექტი კავშირის წყალთა მეურნეობის გაერთიანების შესახებ. საგეგმო კომისიას დავალებული ჰქონდა [illegible] კანონი, რომლის [illegible] კავშირს შეეძლო [illegible] ედევნებია ირრიგაციის გაფართოებისა და იმ საშუალებათა გამოყენებისათვის, რომლებიც გაღებული იყო სპეციალურად ირრიგაციისათვის მებამბეობის ალსადგენად, საგეგმო კომისიაში კი ეს გაიგეს ისე, რომ საჭიროა გაერთიანებული წყალთა მეურნეობის შექმნა.

ასეთი მაგალითი ათასობით შეგვიძლია მოვიყვანოთ. რიაზანოვი აყენებს ამგვარ საკითხს და მას სურს მიაღწიოს გაერთიანებულ იუსტიციის სახ. კომისარიატის შექმნას, შემდეგ მას მხედველობაში აქვს განათლების სახ. კომისარიატი. რიაზანოვმა განაცხადა: „უზბეკისტანიც კი თავისებურათ ამუშავებს სისხლის სამართლის კოდექსსო“. განა ეს აკრძალულია კონსტიტუციის მიერ?

არა მარტო ამ მხრივ გამოიჩინა რიაზანოვმა თავისი გულშემატკივრობა რესპუბლიკებისადმი. ჩვენ წავიკითხეთ სტენოგრამა რიაზანოვის გამოსვლისა საბიუჯეტო კომისიაში, სადაც ის ლაპარაკობდა რესპუბლიკების წარმომადგენლებზე, რომელნიც მოდიან ზედმეტად გადიდებული გეგმებით და ხარჯთ-აღრიცხვებით და ოინბაზობით გვცანცლიან ფულებსო. რიაზანოვო, ეს ჩვენი დანაშაული კი არ არის, არამედ თქვენი უბედურებაა. მე, თქვენი მოწაფე, ვამბობ: თქვენ გამოხატავთ იმ ელემენტების განწყობილებას, რომელთათვის სულ ერთია, არსებობს კონსტიტუცია თუ არა.

1924 წელს, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კონსტიტუციის გამოცემიდან ერთი წლის შემდეგ, სახელმწიფო საგეგმო კომისიის პროფესორი ალექსანდროვი „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“-ის საშუალებით სცემს ბროშიურას საბჭოთა კავშირის რაიონებათ დაყოფის შესახებ. მე ვურჩევ რიაზანოვს წაიკითხოს ეს ბროშიურა. ის იქ იპოვის ყველაფერს, რაც გნებავთ, გარდა ერთისა: იქ ნახსენებიც არ არის მოკავშირე რესპუბლიკები.

ეხლა გადავიდეთ მეორე კომისიაზე, რომელსაც ხელმძღვანელობს ანტონოვ სარატოვსკი. ეს გახლავთ საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს საკანონმდებლო კომისია.

ამ კომისიის მიერ შემუშავებული კანონების ნახევარზე მეტი ისეთი კანონებია, რომელნიც შედიან მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციაში. ჩვენს სამოქალაქო სამართალში თქვენ ვერ იპოვით საკანონმდებლო კომისიას. თქვენ გგონიათ, რომ ეს შემთხვევითია? არა, ეს არ არის შემთხვევითი. მე მინდა ვურჩიო რიაზანოვს, რომ მან თავი დაანებოს იმ აზრს, რომ დღეს ჩვენთვის საჭიროა შედგენა საკავშირო იუსტიციის სახ. კომისარიატის, ხვალ საკავშირო განათლების სახ. კომისარიატის, შემდეგ მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის და სხვ... თუ გნებავთ, შეიძლება გამოვნახოთ იურიდიული გამართლება ყველა ამ საკავშირო სახ. კომისარიატებისათვის. თქვენ მხოლოდ ვერ ნახავთ მათ გამართლებას იმ პოლიტიკაში, რომელსაც აწარმოებს საკავშირო კომპარტია ეროვნულ საკითხში. აი აქ თქვენ ვერ იპოვით გამართლებას რიაზანოვისათვის“.

მ. ცხაკაიას სიტყვა

„ეს რამდენიმე სიტყვა უნდა ვუთხრა სკრიპნიკს, მეორე მუხლის რედაქციის შესახებ. ამ მუხლში ლაპარაკია 10 წლ. წინად ჩადენილ კონტრრევოლიუციონურ ქმედობისათვის სასჯელის შეცვლაზე. სკრიპნიკი წინადადებას იძლევა დატოვებული იქნას ძველი, უფრო რბილი რედაქცია და ამით ის უნებურად მენშევიკურ ელფერს აძლევს საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილების პროექტის მე-10 მუხლის მე-3 შენიშვნას. მე მხარს ვუჭერ უკრაინიზაციას ბოლშევიზმის საფუძველზე, მაგრამ წინააღმდეგი ვარ მენშევიზაციისა.

რაც შეეხება რიაზანოვთან დაწყებულ კამათს, მე ვფიქრობ, რომ არ უნდა გადავტეხოთ ჯოხი არც ერთ და არც მეორე მხარეზე. ძველ დიალექტიკოსს რიაზანოვს სურს დააჩქაროს (დამახინჯებულია)... ხალხთა გაერთიანების პროცესი. მაგრამ, სამწუხაროთ ის არ გამოეხმაურა საბჭოთა რესპუბლიკების მუშაობას, რომელსაც ეწევიან ამხანაგები ადგილობრივ და რომელიც უკეთესად იცის ტერ-გაბრიელიანმა, ვიდრე რიაზანოვმა.

კამათი, უნდა ითქვას, სწორი არ არის. რიაზანოვი, ვითომდა გამოხატავს ზოგიერთი სპეცების აზრს, რომელნიც არა მარტო უნებურად, არამედ შეგნებულადაც ემორჩილებიან საბჭოთა ხელისუფლებას და ჩვენთან კონტაქტში მუშაობენ ჩვენებურად. ჩვენ ასეთ ადამიანებს უსათუოდ პატივს ვსცემთ. მე მაინც არ ვფიქრობ, რომ მათ შეეძლოთ თავიანთი უნებლიე წვრილ-ბურჟუაზიული ტენდენციების გამოხატვა რიაზანოვის საშუალებით. რიაზანოვს, როგორც თეორეტიკოსს, უნდა ყველაფერი ჩქარა გააერთიანოს. ეს ასე ხდება და ამას საფუძველი ჩაეყარა. რიაზანოვი უნდა დამეთანხმოს, უნდა თუ არ უნდა მას ეს, რომ დედა-მიწის ერთ მე-6-დზე იმდენი სხვადასხვა ეკონომიურ განვითარების საფეხურზე მდგომი ხალხები, მომთაბარე ყირგიზებიდან დაწყებული და კულტურიან ველიკოროსით და უკრაინელით გათავებული, რომ ერთბაშად ყველას გაერთიანება შეუძლებელია. ბევრ შემთხვევაში მათსა და სხვებს შორის განსხვავება დიდია. ჩვენ, მართალია, გვინდა გავაერთიანოთ მთელი დედა-მიწა და პირველ რიგში ისინი, ვინც საბჭოთა კავშირში სცხოვრობენ; მაგრამ, როგორ შეგვიძლიათ ამ საკითხის გადაჭრა ერთბაშად, რიაზანოვ, როდესაც კავკასიის მთებში ჯერ კიდევ მოიპოვება სისხლის აღების ნაშთი? თქვენ იცნობთ ოსითის ცხოვრებას კოვალევსკის ნაწერებით, მისი შესწავლა კი საჭიროა მუშურ-გლეხური თვალსაზრისით. საჭიროა შევისწავლოთ იგი და თანდათან განვახლოთ იგი განათლების და კულტურული მუშაობის საშუალებით.

თქვენ, რიაზანოვო, კარგი თეორეტიკოსი ბრძანდებით, და საჭირო არ არის, რომ თქვენმა მოწაფემ ტერ-გაბრიელიანმა მოგაგონოთ საკავშირო კომპარტიის პოლიტიკა. კავშირის სხვადასხვა ერთა ადგილობრივი ეკონომია და ადგილობრივი ცხოვრება უნდა შევისწავლოთ რევოლიუციონურ დიალექტიურად და შევცვალოთ იგი ჩვენებურად, არ უნდა გავყვეთ კონსერვატიზმს და ტრადიციებს, არამედ ანგარიში უნდა გავუწიოთ პრაქტიკულ მუშაობაში.

ვიმეორებ, რიაზანოვი კარგი თეორეტიკოსია, მაგრამ ის სცდება, როგორც პრაქტიკოსი. ჩემი მხურვალე სურვილია, რომ მან მომავალში ეს აღარ განიმეოროს, რათა მის მოწაფეებს, როგორც მაგ. ტერ-გაბრიელიანს, არ ექნეთ ასეთი გაშმაგებული თავდასხმის საბაბი.

მე დაჟინებით გთხოვთ · დაიცვათ მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი რედაქცია, არ შესცვალოთ იგი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ხანდაზმულობის ხმარებას ბოროტ-პროვოკატორების და კონტრ-რევოლიუციონერებისადმი, როგორიცაა, მაგალითად, სასამართლოს წინაშე წამდგარი სერებრიაკოვა მოსკოვში და ფუნტიკოვი ბაქოში. მათ გაჰყიდეს ჩვენი ამხანაგები, 26 კომისარი, ამიერ კავკასიის საუკეთესო გმირები, რომელნიც დახვრიტეს ინგლისის იმპერიალისტებმა კასპიის იქითა მხარეს, მიყრუებულ ველებში. მე ვესალმები ამ ძლიერ ფორმულას, იგი არ უნდა იქნას შერბილებული. სასამართლო და ცაკი, რომელთაც საკავშირო კომპარტია უწევს ხელმძღვანელობას, გამოიყენებენ ამნისტიის უფლებას, როცა ეს საჭირო იქნება“.

სასოფლო - სამეურნეო გადასახადის დებულების შეცვალა

მოსკოვი, 21 აპრილი. საკავშირო ცაკის სესიაზე 20 აპრილს დილით გაიმართა საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა; **ბრიუხანოვმა** წაიკითხა მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების შესახებ.

„ფინანსთა სახ. კომსარიატისა და რედაქციების მიერ მიღებული გლეხთა წერილები და აგრეთვე სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოების დირექტივები ამტკიცებენ, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მომქმედი სისტემა არ არის დამაკმაყოფილებელი და საჭიროა თავის დროზე გადავიდეთ საშემოსავლო დაბეგვრაზე. პირველი ნაკლი—არის დაბეგვრის უთანასწორობა არა მარტო ცალკე რაიონებს შორის, არამედ კიდევ უფრო მეტი უთანასწორობა რაიონებს შიგნივ სხვადასხვა გლეხურ მეურნეობათა შორის.

მეორე ნაკლს წარმოადგენს ის გარემოება, რომ დაბეგვრის გამონაგარიშების საშუალება ძალიან რთული და ძნელია.

მესამე ნაკლი მდგომარეობს იმ წესში, რომლითაც სწარმოებდა ღარიბეს გლეხურ მეურნეობათა განთავისუფლება გადასახადისაგან. რამდენადაც იბეგრებოდა დესეტინა მიწა, მეურნეობის შეძლება განისაზღვრებოდა მხოლოდ იმისდამიხედვით, თუ რამდენად უზრუნველყოფილი იყო იგი ნათესებით. ამის გამო ადგილი ჰქონდა საზოგადოებრივ უსამართლობას. მცირე მიწების მქონე გლეხი, რომელსაც ჰქონდა დამხმარე შემოსავალი და რომელიც არ იყო ღარიბი, თავისუფლდებოდა გადასახადისაგან ნამდვილ ღარიბ გლეხთან ერთად.

უკანასკნელი დიდი ნაკლი იყო ის, რომ გადასახადი მძიმე ტვირთად აწვებოდა ნაკლებად შეძლებულ გლეხთა ჯგუფებს და მსუბუქი იყო შეძლებულ ჯგუფებისა და კულაკურ ზედაფენებისათვის.

სახ. კომისართა საბჭოს წინადადების შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: გადასახადით დაბეგვრის დროს უნდა მივიღოთ მხედველობაში არა მარტო სამიწათმოქმედო შემოსავალი: განაკვეთის 97 ცხრილის ნაცვლად უნდა შედგენილ იქნას ერთი და დაწესებული იქნას შეღავათები მთელი მეურნეობის შემოსავლის მიხედვით, ბოლოს გადასახადი განაწილებული უნდა იქნას მიწათმოქმედ მოსახლეობას შორის ისე, რომ იგი ნაკლებად მსუბუქი იქნას შეძლებულ მეურნეობებისათვის და სრულიად გაუქმებული იქნას ღარიბი გლეხობისათვის.

თუ მივიღებთ მხედველობაში სიფრთხილეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი სისტემის შემოღების დროს, შეგვიძლია სოფლის მცხოვრებთა შემოსავალი ვივარაუდოთ არა 7.300.000.000 მანეთად, როგორც ეს სტატისტიკურადაა გამონაგარიშებული, არამედ მხოლოდ 5.400 მილიონ მანეთად;—ეს იქნება პირობითი წმინდა შემოსავალი.

პრინციპიალური განსხვავებაა პირველ და მესამე ცხრილებს შორის.

პროექტის განხილვის დროს სახ. კომისართა საბჭოში უკრაინის წარმომადგენლები მოითხოვდენ, რომ უკრაინაში შემოსავალი გამონაგარიშებული იქნას მთელ მეურნეობაზე და არა მჭამელზე.

ნაკლებად შეძლებულ მეურნეობათა დაბეგვრის უმცირესი რაოდენობა ახალი კანონით იქნება პირობითი წმინდა შემოსავლის ორი პროცენტი, ოთხი პროცენტის ნაცვლად. ღარიბ მეურნეობათა ჯგუფი სრულიად განთავისუფლებული იქნება გადასახადისაგან.

შარშან 125 მანეთიდან 100 მილიონი მანეთი გადადებული იყო სათემო ბიუჯეტზე. საჭიროა მომავალშიაც ამ გზით ვიაროთ, რათა გლეხთა შემოსავლის გადანაწილებით კიდევ უფრო უკეთესად დავაკმაყოფილოთ სოფლის საჭიროებანი.

ბრიუხანოვის მოხსენების მოსმენის შემდეგ სხდომა იხურება. ამის შემდეგ ბრიუხანოვის მოხსენების განსახილველად გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს და საკავშირო საბჭოს განსაკუთრებული სხდომა.

სხდომა.

ფრანგები სირიაში

ფრონტებზე

ანგორა, 20 აპრილი. ფრანგების საგაზაფხულო კამპანია გაიხსნა ლივანის სამხრეთ ნაწილის აჯანყებულთა პოზიციებზე იერიშების მიტანით. საარტილერიო მზადება რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. საფრანგეთის ქვეითი ჯარი ნელის ნაბიჯით და დიდი სიფრთხილით მიიწევდა წინ.

აჯანყებულები გაურბოდენ ბრძოლას და იხევდენ გერმონის მთებისაკენ.

ფრანგები სამი მხრით აპირებენ იერიშის მიტანას ჯებელ-დრუზს წინააღმდეგ. მთავარი იერიში მიტანილი იქნება სამხრეთით. **საფრანგეთის ჯარების კონცენტრაციას ძლიერ ხელს უშლის აჯანყებულთა აქტიური მოქმედება გეჯასის რკ. გზაზე დერას და დამასკს შორის.**

[illegible] მცხოვრებლების მასიურმა [illegible], რაიც გამოწვეულია [illegible], აიძულა საფრანგეთის ხელისუფლება მიეღო განსაკუთრებული ზომები მცხოვრებლების მიერ დამასკის დატოვების წინააღმდეგ. ქალაქიდან გასვლა შეიძლება მხოლოდ საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლებისაგან სპეციალური ნებართვის მიღების შემდეგ. **ფრანგები ფიქრობენ, რომ დამასკიდან გაქცეულებს შორის არიან პოლიტიკური აგიტატორები, რომლებიც შეეცდებიან სირიის სხვა ოლქებიც ააჯანყონ საფრანგეთის ბატონობის წინააღმდეგ.**

პალესტინის კომპარტია

ანგორა, 20 აპრილი. იმ დროს, როცა არაბი ნაციონალისტები პალესტინაში დაკმაყოფილდენ პასიური გაფიცვით, პროტესტის ნიშნად, საფრანგეთის უმაღლესი კომისარის **დე-ჟუვენელის ჩამოსვლის წინააღმდეგ, პალესტინის კომპარტიამ სამივე მთავარ ქალაქში გამოუშვა მოწოდება. კომპარტია მოუწოდებს მოსახლეობას აქტიურ ბრძოლისაკენ საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.**

კომპარტიის მოწოდება დიდ გამოხმაურებას პოულობს არაბებს შორის, ვრცელდება ყველა მოედნებზე და, თითქმის, მეჩეთებშიაც. არაბული პრესა ესალმება კომუნისტების გამოსვლას დე-ჟუვენელის წინააღმდეგ და ამონაწერებს ბეჭდავს მოწოდებიდან.

სირიის ნაციონალისტები

ანგორა, 20 აპრილი. სირიის ნაციონალისტებმა გაუგზავნეს პალესტინის არაბთა აღმასრულებელ კომიტეტს სამადლობელი წერილი, რომელშიაც ისინი ესალმებიან სამხრეთ-სირიის მცხოვრებთ და მათ სოლიდარობას სირიელებთან, რაც გამოიხატა საპროტესტო გაფიცვის გამოცხადებაში საფრანგეთის უმაღლეს კომისარის **დე-ჟუვენელის** პალესტინაში ჩასვლის გამო.

საფრანგეთის გაზეთებმა აუკრძალეს სირიელ გაზეთებს ცნობების მოთავსება პალესტინის არაბების საპროტესტო გაფიცვის შესახებ

კრიზისი პოლონეთში

მინისტრები მიდიან

ვარშავა, 20 აპრილი. შესდგა პოლონეთის სოციალისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის და სეიმის ფრაქციის გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც დადგენილ იქნა უარჰყონ ფინანსთამინისტრის ძქეხოვსკი საფინანსო პროგრამა და წინადადება მისცენ პოლონეთის სოციალისტურ პარტიის წევრ - მინისტრებს დაუყოვნებლივ შეიტანონ განცხადება გადადგომის შესახებ.

ჟურნალისტებთან საუბრის დროს პოლ. სოც. პარტ. დეპუტატმა მარეკმა განაცხადა, რომ პოლ. სოც. პარტ. წევრ - მინისტრების გადადგომა ნიშნავს კოალიციონურ მთავრობის დაშლას და ეს გამოიწვევს სკშინსკის მთელი კაბინეტის გადადგომას.

სკშინსკი რჩება

ვარშავა, 20 აპრილი. სკშინსკიმ კოალიციონურ პარტიების თათბირზე განაცხადა, რომ მას საჭიროდ მიაჩნია პოლონ. სოც. პარტ. წევრ-მინისტრების წასვლის გამო, წინადადება მისცეს კაბინეტს გადადგეს. ეხლა კი სკშინსკიმ შესცვალა გადაწყვეტილება.

გაზეთ „კურიერ პორანიი“-ს ცნობით, სკშინსკიმ განუცხადა პოლონეთის სოც. პარტ. ლიდერებს, რომ ის დროებით რჩება მთავრობის სათავეში და ელდება პილსუდსკის დაბრუნებას არმიაში. სკშინსკიმ გამოსთქვა მოსაზრება, რომ პირველი მაისის დემონსტრაციის დასრულების შემდეგ, პოლონეთის სოც. პარტიას საშუალება ექნება შევიდეს მთავრობაში.

უკანასკნელი ცნობები

ბრძოლა იწყება

ლონდონი, 20 აპრილი. მაღაროების მეპატრონეებმა მეტ წილ რაიონებში გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ისინი არ განაახლებენ სამთომადნო მუშებთან არსებულ შეთანხმებას, რომელსაც 30 აპრილს ვადა გაუვიდა.

ლონდონი, 20 აპრილი. სამხრეთ უელსის სამთომადნო მუშების ფედერაციამ მაღაროების მეპატრონეებს აცნობა, რომ ის უარს ამბობს შრომის პირობების და სამუშაო ხელფასის რაოდენობის განხილვაზე ცალ-ცალკე რაიონებში.

სამთომადნო მუშების დახმარებისათვის

ბერლინი, 20 აპრილი. მუშათა საერთაშორისო დახმარების საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა თავის სექციას, განსაკუთრებით ინგლისში, დაუყოვნებლივ კავშირი დაიჭირონ სამთომადნო მუშების კავშირებთან და პროფკავშირთა გაერთიანებებთან, სათანადო ქვეყნებში ინგლისის სამთომადნო მუშების დახმარების კამპანიის ჩატარების მიზნით; კამპანიაში ჩაბმული უნდა იქნენ ყველა მუშები მიუხედავად პარტიული მრწამსისა.

ბაქოს ბაზრობა

ბაქო, 21 აპრილი. ბაქოში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. პოტეევი, რომელიც ბაქოში დარჩება ბაზრობის გათავებამდე.

ბაზრობა გაიხსნება 8 მაისს და გასტანს ამავე თვის 25-დე.

ბაზრობის გადადება გამოწვეულია იმით, რომ პერიოდს 25 აპრილიდან 2 მაისამდე ხვდება მთელი რიგი საზოგადო და რელიგიურ დღესასწაულებისა, ერთის მხრივ, და ბაზრობის გადადება, მეორე მხრივ, აძლევს შესაძლებლობას სპარსელ ვაჭრებს მოუყარონ თავი ბაქოს ბაზრობის ტერიტორიაზე რაც შეიძლება ბევრ საქონელს გასასაღებლათ.

თავს იმართლებენ

ვარშავა, 20 აპრილი. პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოყვანილია მთავრობის კოალიციიდან მისი გასვლის მიზეზები. განცხადებაში ნათქვამია, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტია მთავრობაში შევიდა იმ მიზნით, რომ მოეხერხებია სამუშაოების მიცემა ასი ათასობით უმუშევართათვის, პილსუდსკის დაბრუნება არმიაში და განეხორციელებია ლიბერალური პოლიტიკა ნაციონალურ უმცირესობათა მიმართ. ამ ამოცანების განხორციელება არ მოხერხდა. პირიქით, ფინანსთა მინისტრმა ძქეხოვსკიმ წარმოადგინა პროგრამა, რომელშიც მოითხოვდა მოხელეებისათვის ჯამაგირის და ინვალიდებისათვის პენსიის შემცირებას და 25000 რკინისგზელის დათხოვნას. პოლონეთის სოციალისტური პარტია ვერ დათანხმდებოდა ასეთ პროგრამაზე.

განცხადებანი ბაზრობაში მონაწილეობის შესახებ

საქონლის მოსვლა

ბაქო, 21 აპრილი. 20 აპრილის საბაზრო კომიტეტის მისამართზე მოვიდა 4645 ტონა სხვადასხვა საქონელი. სულ შემოსულია 57 განცხადება საბაზრო ოპერაციებში მონაწილეობის მიღებისა, მათში 35 ეკუთვნის სპარსელ ვაჭრებს. უკრაინის კოოპერატიულ ამხანაგობას „კუსტარ ხლებორობ“ განზრახული აქვს შეისყიდოს ბაქოს ბაზრობაზე 10.000 ფუთი ბრინჯი და სხვა მრავალი საქონელი სულ, 8 მილიონი მანეთის ღირებულებისა. მოსხელპრომმა ბაქოს ბაზრობაზე გამოგზავნა ერთი ვაგონი საშაქარლამო და თამბაქოს ნაწარმოებისა წვრილწვრილად გასასაღებლად. მოსხელპრომი ბაზრობაზე აგებს სპეციალურ ვიტრინა-კიოსკს. სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა ბაზრობის გამოფენის მოსაწყობად, რომელშიც მიიღებს მონაწილეობას 40 ცენტრალური ორგანიზაცია.

საბჭოთა კავშირში

რ უ ს ე თ ი

ა მ ი ნ დ ი

ლენინგრადი, 21 აპრილი. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობების თანახმად, 21 აპრილიდან **დადგება თბილი ამინდები საბჭოთა კავშირის ევროპიულ ნაწილის მთელ აღმოსავლეთის ნახევარში.**

ჩრდილო-დასავლეთში დაიწყება სიცივეები.

20 აპრილს, ნაშუადღევს, ნევაზე ყინული გადნა 14 კილომეტრის მანძილზე.

მოგებათა მოთხოვნის ვადა

მოსკოვი, 21 აპრილი. 13 მაისს თავდება პირველ მომგებიან სესხის პირველი ტირაჟის მოგებათა მოთხოვნის ვადა.

14 მაისიდან არავითარი პრეტენზიები მოგებათა ანაზღაურების შესახებ ამ ტირაჟით მიღებული აღარ იქნება. **ამავე დროს, წვრილ მოგებათა დიდი რიცხვის გარდა არ არის მიღებული 14 მოგება—500 მანეთიანი, 11 მოგება—1.000 მანეთიანი და ერთი მოგება 5.000 მანეთიანი.**

საწვრილმანო ფასების დაკლება

მოსკოვი, 21 აპრილი. საწვრილმანო ფასების დაკლებისა და ამ დარგში სათანადო უწყებათა მუშაობის შეთანხმების მიზნით, საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით, მოეწყო საუწყებათაშორისო კომისია კამენევის თავმჯდომარეობით და ძერჟინსკის, ლიუბიმოვის, მანცევის და სხვ. მონაწილეობით. **საკავშირო რესპუბლიკებშიაც ეწყობიან კომისიები საწვრილმანო ფასების დასაკლებათ.**

გაფიცვა ნავთის კერძო სამრეწველოებში

კრასნოდარი, 21 აპრილი. **ილის ნავთის კერძო სამრეწველოებში გაფიცვა დაიწყო.**

გაფიცვას მხარს უჭერს პროფესიონალური კავშირი. გაფიცვა გამოწვეულია იმით, რომ სამრეწველოების მოიჯარადრეებს მართებთ მუშების 10.000 მანეთი. გარდა ამისა, მოიჯარადრეებს დიდი თანხები მართებთ დამზღვევ სალაროსი, „კუბჩერნავთის“ და პროფესიონალურ კავშირის.

ამუნდსენის ექსპედიცია

ლენინგრადი, 21 აპრილი. 20 აპრილს ჩამოვიდა რომის ობსერვატორიის დირექტორი, პროფესორი **ეროდია,** რომელიც მონაწილეობას ღებულობს ჩრდილოეთ პოლიუსზე გადაფრენაში.

პოლკოვნიკ ნობილემ ოსლოდან მიიღო ცნობა, რომ შპიცბერგენში გაფრინდენ აეროპლანები დირიჟაბლის შესახვედრათ. **ამუნდსენი და ელსვორი შპიცბერგენში ჩავლენ 21 აპრილს.**

ქარხნის ამუშავება

პერმი, 21 აპრილი. **ამუშავდა პაშის ლითონის ქარხანა, რომელიც უმოქმედოთ იყო 1924 წლის შემდეგ.**

უ კ რ ა ი ნ ა

მეორე სესხის მეხუთე ტირაჟი

კიევი, 21 აპრილი. **დაიწყო მეორე სახელმწიფო ოქროს სესხის მეხუთე ტირაჟი. კრებებზე დასწრების მსურველთა რიცხვი იმდენათ დიდია, რომ დარბაზში ვერ იტევს ყველას.**

მეორე სახელმწიფო სესხის ტირაჟის დაწყების გამო, მოთხოვნილება სესხის ობლიგაციებზე ძლიერ გაიზარდა. საკრედიტო დაწესებულებებს უჭირთ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

საბჭოთა ყრილობა

განჯა, 21 აპრილი. მიწათ-მოქმედების განყოფილების უფროსის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 40 დელეგატმა.

20 აპრილს საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა მთავრობის მოხსენება. მოხსენება წაიკითხა ამხ. **ეფენდიევმა.**

კომუჯრედის მდივანთა თათბირი

ნახიჩევანი, 21 აპრილი. გაიმართა ნახიჩევანის ორგანიზაციის კომუჯრედთა მდივნების თათბირი. **თათბირმა დაწვრილებით განიხილა სოფლად პარტიული მუშაობა და ბამბის კამპანიის ჩატარების საკითხები.**

შემუშავებული იქნა კონკრეტიული ღონისძიებანი წარსულ კამპანიების ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ნავთის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები

მოსკოვი, 21 აპრილი. სამთამადნო სამეცნიერო-ტექნიკურ ყრილობაზე 19 აპრილს პროფესორმა **ფროლოვმა** მოხსენება გააკეთა ნავთის მრეწველობის ხუთი წლის საპერსპექტივო გეგმის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რადგან ბაზარი უზრუნველყოფილია ნავთის მრეწველობის პროდუქციით, ნავთის მრეწველობა უნდა შეუდგეს პროგრამა-მაქსიმუმის განხორციელებას.

მომხსენებელი ეხება ნავთის მრეწველობის განვითარების გეგმას და აღნიშნავს, რომ პირველი ხუთი წლის დასასრულ ეხლანდელ 519,2 მილიონ ფუთის მაგიერ, ნავთის ამოღება აყვანილი იქნება 734,5 მილიონ ფუთამდე.

ამოღების აბსოლიუტურ რაოდენობის გადიდებასთან ერთად განზრახულია ნავთის ამოღების წესების საგრძნობლად გაუმჯობესება.

ნავთის ექსპორტის შემოსავლიანობის გასადიდებლად, შავი ზღვის ნაპირას—ბათომში და ტუაპსეში განზრახულია ნავთის დასამუშავებელ ქარხნების აგება.

განზრახულია აგრეთვე ნავთსადენის გაყვანა ტუაპსესა და გროზნოს შუა.

დასახულ პროგრამის განსახორციელებლად კაპიტალურ მშენებლობას „აზნეფტ“-მა წელს 80,9 მილიონი მანეთი უნდა მოიხმაროს, „გროზნეფტ“-მა—46,8 მილიონი მანეთი.

წელს მთელს ნავთის მრეწველობას კაპიტალური მშენებლობისათვის დასჭირდება დაახლოვებით 147 მილიონი მანეთი.

1925—26 წ. ნავთის მრეწველობა მიიღებს დაახლოვებით 30,7 მილიონ მანეთ მოგებას, 1926—27 წ.—43 მილ. მანეთს, 1927—28 წ.—65 მილ. მანეთს. 1928—29 წ.—86 მილ. მანეთს და 1929—30 წელს—95,5 მილ. მანეთს.

ახალი ნავთიანი ადგილების ექსპლოატაციის პერსპექტივის შესახებ მოხსენებას აკეთებს პროფესორი **გუბკინი,** რომელიც აღნიშნავს, რომ პროფესორ რამზინის მიერ გამოქვეყნებულ ცნობების თანახმად, ჩვენი ნავთის მარაგი 176 მილიარდ ფუთს ანუ 2.874 მილ. ტონას უდრის ამ მარაგიდან ბაქოს რაიონზე მოდის მთელი მარაგის 50 პროცენტი, გროზნოს რაიონზე—31—32%, ურალ-ემბენის რაიონზე—9%, სახალინზე—3,4% ყუბანზე—2,3%. დანარჩენი კი ამიერ-კავკასიაზე და ფერგანის რაიონზე.

საბჭოთა კავშირს თავისი ნავთის მარაგით პირველი ადგილი უჭირავს ყველა ქვეყნებს შორის.

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

მაღაროების მეპატრონეების წინადადება. ხვალისათვის დანიშნა ბოლდუინმა თათბირი მაღაროების მეპატრონეებთან. მაღაროების მეპატრონეები დღეს შეიკრიბებიან ლონდონში და შეიმუშავებენ თავის წინადადებებს სამუშაო ხელფასის შესახებ, რომელსაც წარუდგენენ ბოლდუინს.

სასამართლო ფაშისტების მხარეზეა. საფრანგეთის სასამართლო შეუდგა დამ-რემონის ქუჩაზე მომხდარ შეტაკების საქმის განხილვას. ამის გამო კომუნისტური გაზეთი „იუმანიტე“ სწერს, რომ სასამართლო ფაშისტების მხარეზეა. პროკურორმა ნაფიც მსაჯულთა რიცხვიდან გამორიცხა 8 მუშა. ბრალდებულთა დამცველები ბერტონი, ტორესი და ფურნიე იძულებული იყვენ განეცხადებიათ პროტესტი თავმჯდომარის მიერ საქმის არაწესიერად წარმოების წინააღმდეგ.

ერაყში. ერაყის პრემიერ-მინისტრმა აბდელ-მესინ-ბეკ სადუმმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში ერაყმა უნდა იზრუნოს თავის საშინაო და საგარეო უშიშროებაზე. ამის გამო მთავრობას განზრახული აქვს შემოიღოს სავალდებულო სამხედრო ბეგარა. თუ მთავრობის სათანადო კანონპროექტი ერაყის პარლამენტმა მოიწონა, მოეწყობა სტატისტიკური სამმართველო, რომელიც პირველ რიგში მოახდენს მოსახლეობის აღწერას.

მუსულმანთა კონგრესი მექქაში. იბნ-საუდმა წინადადება მისცა ყველა მუსლიმანურ ქვეყნებს გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები მექის კონგრესზე 1 ივნისს. კონგრესზე გადაჭრილი იქნება საკითხი მექაში სალოცავად წასვლის და ჰეჯასის მართვა-გამგეობის შესახებ.

ეს კონგრესი, როგორც სჩანს, დიდ როლს ითამაშებს არაბთა ქვეყნებში ეროვნულ მოძრაობის განვითარებაში.

ფუნტიკოვის გასამართლება

მეოთხე სხდომა

ბაქო, 20 აპრილი. სხდომა იწყება. მოწმე ამხ. ღოლობერიძის დაკითხვით, რომელიც ლაპარაკობს ბაქოს ამბებზე და ოსმალების მიერ ბაქოს დაკავების მომენტებზე.

ღოლობერიძის ჩვენება

სახრჩობელა

— სიტყვები არ მეყოფა იმ საშინელების ასაწერად, რომელიც მაშინ ხდებოდა. საკმაოა ითქვას, რომ თვითეულ ქუჩაზე, თვითეულ დუქანთან აღმართული იყო სახრჩობელა, რომელზედაც თითო თუ ორ-ორი ჩამოხრჩობილი ეკიდა. მუშათა რაიონებში, სადაც ოსმალოებს მეტი საბუთი ჰქონდათ ბოლშევიკების ძებნისა, მათი მხეცობა ყოველგვარ საზღვარს გასცილდა. მხოლოდ ათიოდე ბოლშევიკი დავრჩით და, რომ თავი გადაგვერჩინა, მე, რამდენიმე ამხანაგთან ერთად, მომიხდა ბაქოს დატოვება. დაახლოებით, ერთი თვის შემდეგ მე ამიერ-კავკასიის კომიტეტმა დამავალა კასპიის იქითა მხარეში გაგზავრება, სადაც უნდა გამეგო, რა ბედი ეწვია წაყვანილ კომისრებს. მე ჩავედი ბაქოში, კავშირი დავიჭირე ლეონ მირზოიანთან და ვცდილობდი მენშევიკებიდან მიმეღო ისეთი მოწმობა, რომ საშუალება მქონოდა კრასნოვოდსკში გამგზავრებისა.

კანცელიარიებში

შემდეგ მოწმე ლაპარაკობს, რომ დაუსრულებელი სიარულის და ხეტიალის შემდეგ ესერების და მენშევიკების სამინისტროებში, ნაჯაროვმა ის, როგორც იქნა, მიიყვანა ბიჩერახოვის შტაბში. აქ მოწმე განცვიფრებული დარჩა იმ მონური მორჩილებით, რომელსაც ეს ცრუ-სოციალისტი-მინისტრები იჩენდენ ბიჩერახოვის მიმართ. აქ ის შემთხვევით შეხვდა არაქელიანს, რომელიც ალიოშა ჯაფარიძის პირადი მეგობარი იყო, ჩემი მისიის გაგების შემდეგ, ის შევიდა ბიჩერახოვის კაბინეტში, საიდანაც აღელვებული გამოვიდა და მითხრა, რომ, როგორც სჩანს, ამ არამზადების დაპატიმრებული კომისრები კიდეც ამოუჟლეტიათო.

ინგლისელების ლაქიები

ახასიათებს რა იმ დროის პოლიტიკურ მდგომარეობას, მოწმე ამტკიცებს, რომ ესერების და მენშევიკების ამიერ-კავკასია—კასპიის მთავრობა მხოლოდ ლაქიურ როლს თამაშობდა ინგლისის სარდლობასთან.

ერთად-ერთი ხელისუფალი ტომპსონი იყო. ამის დასამტკიცებლად მოწმეს მოჰყავს ფაქტები, საიდანაც ცხადყოფს, რომ ამ მთავრობას არაფრის გაკეთება არ შეეძლო ინგლისის სარდლობის სანქციის გარეშე. ამავე დროს ინგლისელებს განუწყვეტლივ გაჰქონდათ ნავთის პროდუქტები სპარსეთსა და ბათომში.

„თბილი კამპანია“

ინგლისელებთან ერთად აქ მუშაობდა დენიკინის მოხალისეთა „კონტრ დაზვერვა“, რომლის მოვალეობა იყო ბოლშევიკების დაპატიმრება. **ხალხს** დღისით აჩერებდენ ქუჩებში, იჭერდენ და მიჰყავდათ სადღაც.

— სამოქალაქო ომის დასაწყისში ჩვენ გულუბრყვილოდ გვეგონა, რომ შესაძლებელია მენშევიკებმა და ესერებმა გაამართლონ დაპირებები, მაგრამ ეს პოლიტიკური გულუბრყვილობა ჩვენი 26 საუკეთესო ამხანაგის სიცოცხლეთ დაგვიჯდა. მაგრამ ამ იმედის გაცრუების შემდეგ, მუშათა მასა სტიქიურად ჩამოსცილდა მათ და დაიწყო ჩვენი ბოლშევიკური ორგანიზაციის აღდგენა.

ინგლისელების ბატონობა

შემდეგ მოწმე ღოლობერიძე ეხება ინგლისელების ბატონობას ბაქოში. აპრილის ბოლოს ინგლისის სარდლობამ გადასწყვიტა 28 გემი დაეტვირთა ნავთის პროდუქტებით და სამხედრო მოწყობილობით და გაეგზავნა თეთრებისათვის. ბაქოს მეზღვაურებმა კატეგორიული უარი სთქვეს გემების დათმობასა და ამ ტვირთების გადაზიდვაზე.

მეზღვაურების გაფიცვა

მოწმე დაწვრილებით ეხება კასპიის მეზღვაურების გაფიცვას, მათ მასიურ დათხოვნას და, დაბოლოს, კასპიის ფლოტის გასვლას ბაქოდან.

პირველი შედეგები

შესვენების შემდეგ, პროკურორი ქავთარაძე ჯამს უკეთებს იმ მასალებს, რომელიც უკანასკნელმა მოწმეებმა მისცეს სასამართლოს ბაქოში მომხდარ ამბების შესახებ.

პროკურორი აღნიშნავს, რომ დენსტერვილის წიგნი უკვე ცხადყოფს, რომ ესერებმა და მენშევიკებმა კარგად იცოდენ რა დღესაც დააყენებდენ ინგლისელები. მათ იცოდენ, რომ ინგლისის სარდლობას, რომელიც მათ მოიწვიეს ბაქოს დასაცავად და გამოსაკვებად, არც საკმაო სურსათი ჰქონდა. და არც საკმაო ჯარები ჰყავდა. მაშასადამე, ცოცხალი ძალების მოშველება და პურის დაპირება—ბაქოს მუშების შეგნებულად დატყუება იყო. ესერების, მენშევიკების და დაშნაკელების მხრივ.

ტერ-გაბრიელიანის, მიკოიანის და მანდელშტამის წერილობითი ჩვენება

შემდეგ თავმჯდომარე აქვეყნებს ტერ - გაბრიელიანის წერილობით ჩვენებას. უკანასკნელი სასამართლოს სხდომას ვერ დაესწრო. თავის ჩვენებაში ტერ-გაბრიელიანი დაწვრილებით ჩერდება იმ პოლიტიკურ მდგომარეობაზე, რომელიც ბაქოში შეიქმნა 1918 წლის ზაფხულის ბოლოს. ლაპარაკობს იმ დიდ ავტორიტეტზე, რომლითაც ბაქოს კომისრები სარგებლობდენ მუშათა მასებს შორის, ეხება ბაქოს ფრონტის მაშინდელ მდგომარეობას.

შემდეგ ქვეყნდება ჩვენებები, რომელნიც წინასწარ გამოძიების დროს მისცეს მანდელშტამმა და მიკოიანმა. მიკოიანის ჩვენება, რომელიც ორჯერ იყო მიცემული, ეხება ბაქოს კომისრების დაპატიმრებას კრასნოვოდსკში და მათ მოთავსებას ასხაბადის ციხეში.

მიკოიანი დაპატიმრებული იყო კომისრებთან ერთად.

ამით დამთავრდა მოწმეების პირადი დაკითხვა და ჩვენებათა გამოქვეყნება.

სტეფანე შაუმიანის და სხვების წერილების გამოქვეყნება

სასამართლო აქვეყნებს სტეფანე შაუმიანის წერილს თავისი ცოლისადმი და აგრეთვე მის წერილს ასხაბადის ციხიდან. შემდეგ კითხულობენ შაუმიანის უმცროსი შვილის, ლევას, წერილს თავისი დედისადმი, აგრეთვე ასლს იმ დეპეშებისას, რომელნიც კრასნოვოდსკის საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე, კუნი, ბიჩერახოვს უგზავნიდა ბაქოს კომისრების დაპატიმრების გამო, სადაც ლაპარაკია დაპატიმრებულების სამხედრო-საველე სასამართლოსათვის გადაცემაზე.

ამბები კასპიის იქითა მხარეში

საღამოს 10 საათზე უზენაესი სასამართლო შეუდგა იმ მოწმეების დაკითხვას, რომელნიც აშუქებენ კასპიის იქითა მხარეში მომხდარ ამბებს. პირველად დაკითხულ იქნენ კასპიის იქითა მხარის რკინისგზელები: **ხრიაპა** და **ხრაბროვი.**

ხრიაპას ჩვენება

მოწმე—შუა-აზიის რკინის გზის რონოდის ხელოსანი ხრიაპა ფუნტიკოვს იცნობდა 1917 წლიდან. ხრიაპა დაწვრილებით ეხება ესერების და მენშევიკების აჯანყებებს ასხაბადში 1918 წელს, რომელთა ლოზუნგებს წარმოადგენდენ: „ძირს სამოქალაქო ომი და უზურპატორი — ბოლშევიკები“.

მოწმის სიტყვით, ესერები ამზადებდენ კიდევ 11 კომისარის დახვრეტას.

„ისეთი უმზგავსოება — ლაპარაკობს მოწმე—როგორსაც ადგილი ჰქონდა ესერების აღმასკომში, რომელსაც ფუნტიკოვი თავმჯდომარეობდა, მე თვით მეფის რეჟიმის დროს არ მინახავს. დახვრეტის განაჩენებს მთვრალები კითხულობდენ, ყოველგან სრული თვითნებობა სუფევდა.

სასამართლოს წევრის ანაშკინის შეკითხვაზე, იმყოფებოდა თუ არა ფუნტიკოვი იმ მატარებელში, რომლითაც 26 კომისარი მიჰყავდათ, მოწმე ხრიაპა აცხადებს, რომ ამხანაგების სიტყვით, ის არა თუ მონაწილეობას იღებდა მგზავრობაში, არამედ თვითონ გაამზადა მატარებელი.

დამცველ კლანკის შეკითხვაზე, საიდან იცის მოწმემ, რომ ფუნტიკოვი დაესწრო განაჩენის გამოტანას ბაქოს კომისრების დახვრეტის შესახებ, მოწმე აცხადებს, რომ ციხეში, სადაც სხვებთან ერთად ისიც იყო მოთავსებული, სწორი ცნობები მოდიოდა ყველაფრის შესახებ.

ფუნტიკოვი ეკითხება მოწმე ხრიაპას:

„იცოდით თუ არა თქვენ, რომ მე ინგლისელებმა დამაპატიმრეს?“ ხრიაპა უპასუხებს: „ეს მე არ შემეხებოდა. მე ვიცოდი მხოლოდ, რომ თქვენ არ დაზოგეთ მუშები და წითელ-არმიელები და ხვრეტდით მათ“.

მეხუთე სხდომა

ხრობროვის ჩვენება

ბაქო, 21 აპრილი. უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მეხუთე სხდომაზე გრძელდება იმ მოწმეების დაკითხვა, რომელნიც აშუქებენ 1918 წლის ამბებს კასპიის იქითა მხარეში და მასში ბრალდებულის როლს.

მოწმე ხრობროვი (ასხაბადის დეპოს მემანქანეს ყოფილი თანაშემწე) ლაპარაკობს, რომ ფუნტიკოვი გამოდიოდა მუშათა კრებებზე და აგიტაციას ეწეოდა სამხედრო აღრიცხვის **წინააღმდეგ, რომელიც ასხაბადის საბჭოთა ხელისუფლებამ გამოაცხადა.**

კრასნოვოდსკში მატარებლის გაგზავნას და ბაქოს კომისრების წამოყვანას პირადათ ფუნტიკოვი მეთაურობდა.

მოწმის სიტყვით 26 კომისარის დახვრეტას დაესწრო ინგლისელი ოფიცერი **ტიმგ-ჯონსონი.**

ფუნტიკოვი და მისი თანამოაზრეები ინგლისელებმა მხოლოდ მუშების თვალის ასახვევად დააპატიმრეს.

შემდეგ ხრობროვი აჩვენებს, რომ მან ფუნტიკოვი სადგურში ნახა, როცა ასხაბადიდან კრასნოვოდსკში მატარებელი იგზავნებოდა კომისრების წამოსაყვანად.

თავმჯდომარის შეკითხვაზე, ვისი თაოსნობით იქნენ მოპატიჟებული ინგლისელები, მოწმე ხრობროვი აჩვენებს, რომ ინგლისელები შემოვიდენ ესერების — ფუნტიკოვის, დორესის, დრუჟკინის, ბაბკოვსკის და სხვების მოპატიჟებით დადებულ ხელშეკრულების თანახმად.

ინგლისელების მოწოდებაში ნათქვამი იყო: „ჩვენ მივალთ ტაშკენტამდე და კიდევ უფრო შორს, განვდევნით არამზადა ბოლშევიკებს, მივსცემთ მოსახლეობას პურს და სანოვაგესო“.

ხელშეკრულება დადებული იყო 15 წლის ვადით და მისი მიზანი იყო „საერთო ფრონტის შექმნა მოსკოვამდე“.

სასამართლოს თავმჯდომარე მოწმე ხრობროვის ჩვენების გარშემო შეკითხვებს აძლევს ფუნტიკოვს, რომელიც ძალიან ბუნდოვან და აბნეულ პასუხს იძლევა. ის უარყოფს მის გამოსვლას ასხაბადში სამხედრო აღრიცხვის წინააღმდეგ.

თავმჯდომარე:—გაეცით თუ არა განკარგულება კომისრების წამოსაყვანად მატარებლის გამგზავრების შესახებ?

ფუნტიკოვი იბნევა, არეულად უპასუხებს:—კი... არა... არ მახსოვს... არა მგონი... მე მაშინ ფრონტზე ვიყავი.

ფუნტიკოვის პირველი გამოსვლა სასამართლოში ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ფუნტიკოვი აცხადებს, რომ ბევრი რამ მას არ ახსოვს. ზოგიერთ თარიღს მისი კიზილ-არვატში და ასხაბადში ყოფნის შესახებ ბრალდებული შემცდარად სთვლის.

პანკინის ჩვენება.

შემდეგ დაკითხულ იქნა თურქმენისტანის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი პანკინი, რომელიც 1918 წლის ამბების აქტიური მონაწილე იყო.

მოწმე მოუთხრობს სასამართლოს, რომ ფუნტიკოვი სცდილობდა რკინისგზელების ამხედრებას რევკომის წინააღმდეგ, მან გაიტყულა პალტარაცკი ასხაბადში, სადაც ის დახვრეტილ იქნა.

მოწმე აცხადებს, რომ ფუნტიკოვი იყო ასხაბადის 9 კომისარის დახვრეტის მთავარი ინიციატორი.

პანკინის დაკითხვა ორი საათი გრძელდებოდა.

შემდეგ დაკითხულ იქნა მოწმე **დმიტრიევი.**

სასამართლოს დარბაზიდან

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

პროცესის მეოთხე დღე იძლევა ახალ ფაქტებს, ახალ საბუთებს და შტრიხებს დიდ და პატარა ფუნტიკოვების მუხანათობის, გამყიდველობის და მოღალატეობისას.

ისტორიას ერთხელ კიდევ თავისი მსჯავრი გამოაქვს სოციალ-კომენდიანტებზე, რომელნიც ამ მოკლე ხნის წინად პროლეტარიატის ბედ-იღბალს განაგებდენ კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე.

ფუნტიკოვი—ეს გარეგნულად მეტად თავშეკავებული, აუღელვებელი კაცი, რომელიც პროცესის დასაწყისში მთელი ყურადღების ცენტრში იყო, უკვე მიიჩქმალა. პირველ ჩვენებაში მას პირადათ არც კი ახსენებენ, როგორც ფუნტიკოვს. ის მაივიწყდათ. არც კი ფიქრობენ მასზე.

სამაგიეროდ ბევრს ლაპარაკობენ საერთოდ ფუნტიკოვებზე. შლიან 1918 წლის სისხლის მღვრელ ამბების ფურცლებს.

ბაქოს მუშებს არ დაავიწყდებათ ამ წლის შიმშილობა.

მოვიდენ ინგლისელები. ბაქოს ორ-სამ პუნქტში მათ მოაწყვეს „სასურსათო დახმარების კომედია“. გულბრყვილო ობივატელებს დაურიგეს რამოდენიმე ტომარი ბრინჯი. სამაგიეროდ მუფტარ-ფაშას მოახლოვებისას, მათმა ოფიცრებმა ოცჯერ უფრო მეტი გაიტაცეს იქიდანვე. ბათომშიც კარგად დაიჯილდოვეს მათ თავი.

ბიჩერახოვმა, ინგლისელების დამქაშმა, ბაქოს „ასეთი ოპერაციისათვის“ ესერებს და მენშევიკებს 105 „გიორგის ჯვარი“ ჩამოჰკიდა. ჯვარების დარიგების ცერემონიას ინგლისელებიც დაესწრენ.

ესერები თეთრგვარდიელების ორგანიზაციების სათავეში; ოფიცრების და ესერების შეთქმულებანი ინგლისელების ფულით; კარიკატურული ფიგურები მენშევიკ პოლიტიკანების, თავისი სამხედრო ძალებით მოვაჭრე ბიჩერახოვი; დაშნაკელები, რომელნიც მუფტარ ფაშას ეპატიჟებოდენ ბაქოში ჩამოსვლას.

მუფტარ-ფაშა... მასზე ლაპარაკობდა სასამართლოში ამხ. გ. სტურუა. ნოე ჟორდანიას მთავრობამ დაუბრკოლებლად გამოატარა მუფტარ-ფაშა ბაქოსაკენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ამავე მიზნით ეპატიჟებოდენ ოსმალეთის ძალებს დაშნაკელებიც.

მოწმეები სასამართლოში არ მიმართავენ მხატვრულ გამოთქმებს, გადაჭარბებულ შედარებებს, სასტიკ გალაშქრებას.

როცა სხდომის დარბაზში ზედი-ზედ იშლებიან მხეცობისა და ხოცვა-ჟლეტის სურათები, თვითეულ დამსწრეს თმები ყალყზე უდგება, ყველას სახეზე წაიკითხავთ აღშფოთებას ამ ხოცვა-ჟლეტის ცოცხალ განსახიერების—ფუნტიკოვის მიმართ.

რ—ძე.

ბაქო—20 აპრილი.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

მუშა-აღმშენებელთა მდგომარეობა

რკინისგზელების, მაღაროს მუშების და მანქანების საამშენებლო ქარხნების შემდეგ, როგორც სჩანს, ჯერი აღმშენებელ მუშებზე მიდგა. როგორც დეპეშები იუწყებიან, მწარმოებლებს განზრახვა აქვთ შრომის ხელფასი 20%-ით შეამცირონ.

მრეწველების „საბუთები“ ჩვეულებრივია: მცირე შემოსავალი, დიდი ხელფასი და სხვ.

მართალია, აღმშენებელთა ეკონომიური მდგომარეობა ახლა უფრო უკეთესია, ვიდრე 1918 წლამდი იყო, მაგრამ აქედან სრულიად არ გამომდინარეობს ის, რომ მათი შრომის ხელფასი დიდია.

1911 წლიდან აღმშენებელთა შორის დაიწყო მოძრაობა ერთი ხელმძღვანელი ცენტრის სასარგებლოდ. ცენტრი შეიქმნა მხოლოდ 1918 წ. სახელწოდებით „მშენებელთა ნაციონალური ფედერაცია“. ფედერაცია მაშინვე შეუდგა ყველა მშენებელ მუშების შეკავშირებას. 1919 წ. ფედერაციამ მოახერხა 46½ საათი სამუშაო კვირის დაწესება მშენებლობისათვის, 1920 წ. კი—44 საათის. ამასთან ერთად ფედერაციამ მოახერხა შრომის ხელფასის გადიდებაც.

ფედერაციის გამარჯვება აიხსნება არა მარტო მშენებელ მუშების ერთსულოვნობით, არამედ იმითაც, რომ ამ დროისთვის ინგლისში წარმოიშვენ „მუშათა საამშენებლო კავშირები“, რომელშიც უდიდესი საფრთხე დაინახეს კერძო მწარმოებლებმა. ამის გამო ისინი დათმობაზე წავიდენ მუშების მიმართ. მაგრამ მუშათა საამშენებლო კავშირებმა ფეხი ვერ მოიმაგრეს. ბანკები მათ კრედიტს არ აძლევდა, ადმინისტრაცია ყოველმხრივ უშლიდა ხელს მათ მუშაობას, მწარმოებლებიც სასტიკ კამპანიას აწარმოებდენ მუშათა საამშენებლო კავშირების წინააღმდეგ. როდესაც ცხადი შეიქნა, რომ მუშათა საამშენებლო კავშირები მწარმოებლებს ვერავითარ მეტოქეობას ვერ გაუწევდენ, უკანასკნელებმა მომენტი ხელსაყრელათ ჩათვალეს აღმშენებელ მუშების წინააღმდეგ შეტევაზე გადასასვლელად: მათ შესძლეს შრომის ხელფასის შემცირება 2 პენსით საათში.

რაც შეეხება „მცირეშემოსავლიანობას“—ეს აშკარა ტყუილია. მცირეშემოსავლიანობას ადგილი ექნებოდა, რომ შემცირებულიყო საამშენებლო სამუშაოები და დაცემულიყო შრომის ნაყოფიერება. ციფრები კი საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. 1925 წ. აგებული იქნა უფრო მეტი სახლი, ვიდრე სხვა რომელიმე წელს 1899 წ. შემდეგ,—სახელდობრ 150.000 სახლი. გარდა ამისა საფუძვლიანად იქნა შეკეთებული 512.987 სახლი.

თუ მივმართავთ აგურის მოხმარების ციფრებს, აქ ასეთ შედეგებს მივიღებთ:

1913 წ. საამშენებლო სამუშაოების დროს იხმარეს 2.800.000.000 ცალი აგური, 1925 წ.—5.489.000.000, 1925 წ მოთხოვნილება აგურზე იმდენად დიდი იყო, რომ უცხოეთიდან შემოიტანეს 148.765.000 ცალი.

ახლა ვნახოთ თუ როგორ მდგომარეობაშია აღმშენებელთა შრომის ნაყოფიერება. 1913 წ. მუშაობდა 69.000 კალატოზი, 1925 წ. კი—65.000; ამრიგათ თითო კალატოზზე 1913 წ. მოდიოდა 40.000 ცალი აგური, 1925 წ. კი—78.000.

ამრიგად მწარმოებლების წუწუნი სრულიად უსაფუძვლოა.

პარტიული ცხოვრება

პარტმუშაობა ქუთაისის მაზრაში

ქუთაისის მაზრაში. კანდიდატთა რიცხვი იზრდება. მოკლე ხნის განმავლობაში პარტკანდიდატად მიღებულია 715 მუშა და გლეხი. იზრდება აგრეთვე ქალთა რიცხვი; პარტიაში ის ამჟამად აღწევს 68.

სწარმოებს უპარტიოთა შორის მუშაობა ღია უჯრედების კრებებზე, კლუბებში, წითელ კუთხეებში, სხვადასხვა წრეებში, პოლიტსკოლებში და სხვა.

არსებობს კავშირი წითელ ჯართან.

პარტგანათლების მუშაობა

ქუთაისში არსებობს ერთი პარტსკოლა. სხვადასხვა მიზეზებმა ხელი შეუშალეს სკოლაში ნორმალურ მუშაობას.

იანვარში გაჩნდა გადამდები სნეულებანი, რის გამო სკოლაში მეცადინეობა შეწყვეტილი იქნა ერთი თვით.

გარდა პარტსკოლებისა არსებობს 5 სტაციონალური სკოლა—347 მსმენელით, და 3 მოძრავი პოლიტსკოლა, 107 მსმენელით. მსმენელთა გამოშვება მოხდება ამ მოკლე ხანში.

ქალთა შორის მუშაობა

ქალთა შორის მუშაობა თანდათან ცხოველდება. ადგილობრივ უჯრედებიდან გამოყოფილია ორგანიზატორი ქალები, რომლებიც აწარმოებენ ქალთა შორის მუშაობას. ქალთა მუშაობაში ჩაბმულია უპარტიო გლეხ-ქალები და უპარტიო ინტელიგენცია, რომელნიც აწარმოებენ მუშაობას უჯრედის უშუალო ხელმძღვანელობით.

მათ აქვთ დამყარებული მჭიდრო კავშირი ა. კ. კ. და პროფკავშირებთან. მაზრის ქალთა სადელეგატო კრებები მოწყობილა მაზრის 25 ადგილას. ქალთა შორის არიან წერა-კითხვის უცოდინარნი, ისინი მიმაგრებულნი არიან სკოლებზე.

გარდა სადელეგატო კრებებისა, ეწყობა საერთო კრებები წარმოება-დაწესებულებებში, მომუშავე ქალების და სოფლად გლეხ-ქალების, სადაც ირჩევა სხვადასხვა კითხვები.

სამაზრო აღმასკომთან არსებობს კომისია, ქალთა ყოფა-ცხოვრების შესასწავლად, რომელიც უმუშევარ ქალებს გზავნის სამუშაოზე, აძლევს მათ რჩევა-დარიგებას და სხვა.

ა. ლ. კ. კ. მუშაობა

ა. ლ. კომკავშირი იზრდება, როგორც რიცხვობრივად, ისე თვისობრივად. ამ მოკლე ხნის განმავლობაში მიღებულია 705 ახალგაზრდა. გაბმულია მჭიდრო კავშირი პარტიასთან. კავშირის უჯრედები მიმაგრებულია პარტიის უჯრედებზე. ეწყობა გაერთიანებული კრებები პარტიის უჯრედებთან; კომუჯრედებიდან გამოყოფილია კომისია კ. კ. უჯრედების მუშაობის შესასწავლად.

პარტიის უჯრედებში კეთდება მოხსენებები კომკავშირლების მუშაობის შესახებ. ა. კ. კ. იზრდება პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ, კომკავშირი თავის მხრივ ზრდის და ხელმძღვანელობს პიონერთა კოლექტივებს.

ჯ.

უჯრედის თაოსნობით

(ნარაზენის თემი, ზუგდ. მაზრა)

ჩვენი თემის კომუჯრედი ენერგიულ მუშაობას ეწევა. ის ხელმძღვანელობას უწევს გლეხობის ყოველგვარ წამოწყებას.

ამ რამოდენიმე ხნის წინად, უჯრედმა უპარტიო გლეხებთან ერთად, კოლექტიურად გააშენა თამბაქოს პლანტაცია. პლანტაციას ეწოდა „სამა გეგეჭკორი"-ს სახელი. დამუშავებულია 4½ დესეტინა მიწა. კოლექტივი უკვე შეუდგა ყაზარმების აშენებას. კოლექტივის წევრები თუმცა ღარიბი გლეხები არიან, მაგრამ მათ ხელს უწყობს სოფლის მთელი მოსახლეობა და ეხმარება მასალების მიწოდებით. კოლექტივის წესდება გადაგზავნილია „წარმოკავშირში".

აღსანიშნავია, რომ „წარმოკავშირი"-ს ადგილობრივი განყოფილება არ ეხმარება კოლექტივს.

დ. თ—ა.

მსმენელები ზარმაცობენ

(საგარეჯო)

თვეზე მეტია, რაც საგარეჯოში პოლიტსკოლა დაარსდა. თავიდან მსმენელები ბლომად დადიოდენ და ყურადღებითაც უსმენდენ ლექციებს, მაგრამ ბოლო ხანებში მათ უკლეს სკოლაში სიარულს და ზარმაცობას მიჰყვეს ხელი.

ადგილობრივმა პარტორგანიზაციამ უნდა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება.

შ. მეცხვარიშვილი.

ფოთის პარტსკოლა

ფოთის საბჭოთა-პარტიულ სკოლაში 55 მსმენელი ირიცხება. სკოლაში ორი ჯგუფია, მეცადინეობა დალტონის სისტემით სწარმოებს. მუშაობის მთელი სიმძიმე პირველ სემესტრში ლაბორატორიებში იყო გადატანილი, მაგრამ მეორე სემესტრში საღამოს მეცადინეობა შეიცვალა პრაქტიკული მუშაობით.

ლექტორები ერთგულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. მეცადინეობა წესიერად მიმდინარეობს და უნდა ვიფიქროთ, რომ ფოთის პარტსკოლა საკმაოდ მომზადებულ ამხანაგებს დაუბრუნებს ორგანიზაციებს.

ნადირაიშვილი.

რაჭის ქოხ-სამკითხველოები

რაჭის მაზრაში 30 ქოხ-სამკითხველოს გამგეებათ შერჩეული არიან, როგორც პარტიული, ისე უპარტიოები.

ქოხ-სამკითხველოებში იკითხება გაზეთები უქმე დღეებში, როდესაც თავს იყრის ბლომად გლეხობა, უფრო მძლავრ სამკითხველოებთან მოწყობილია დრამწრე, ლიტწრე, აგროწრე და სხვა.

12 სამკითხველოსთან გამოდის კედლის გაზეთები, სადაც შუქდება სხვადასხვა ადგილობრივი კითხვები. ქოხ-სამკითხველოებთან და სკოლებთან მოწყობილია წერა-კითხვის სალიკვიდაციო პუნქტები; ასეთი პუნქტები არის 26. მსმენელთა რაოდენობა 950.

ჯ.

ახ. კომუნისტური გვარდია

ა. ლ. კ. კ. მუშაობა წითელ ჯარში

მე-5-თე ლეგიონის ა. ლ. კ. კ. ჯგუფი ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც წითელი ჯარი შეავსო 1903 წელში დაბადებულმა ახალგაზრდობამ. უჯრედმა მთავარი ყურადღება მიაქცია, უპირველეს ყოვლისა სამხედრო დისციპლინას განმტკიცებას თვით ა. ლ. კ. კ. წევრებში, რათა კომკავშირელი მაგალითის მაჩვენებელი ყოფილიყო უპარტიო წითელ არმიელებისათვის.

ამჟამად ჩვენი ა. ლ. კ. კ. უჯრედში შედის 60 კომკავშირელი. მათ შორის მტკიცედ არის დაცული სამხედრო დისციპლინა. ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ლენკუთხის და საკლუბო მუშაობაში, ცალკე ბირთვების მეცადინეობაში და სხვა საკავშირო მეცადინეობა სწარმოებს ყოველ კვირაში ერთხელ. ეხლა უჯრედში სწარმოებს ყრილობის დადგენილებების შესწავლა. თვეში ერთხელ იმართება გაერთიანებული კრება ქუთაისის საქსოვ ქარხნის ა. ლ. კ. კ. უჯრედთან.

უჯრედის ავტორიტეტი უპარტიოთა შორის გაიზარდა. უპარტიო წითელარმიელები ბლომად ესწრებიან ღია კრებებზე. დიდია ლტოლვა მათ შორის კავშირისაკენ.

ამჟამად 12 ახალგაზრდას აქვს შემოტანილი განცხადება კავშირში მიღების შესახებ. კომუჯრედი შესაფერის ხელმძღვანელობას უწევს უჯრედს.

მ. ჭყონია.

ამხ. იოსებ ნაკვეთაურის ხსოვნას

18 აპრილს, გარდაიცვალა ამხ. იოსებ ნაკვეთაური. ქართულ მუშფაკის პარტიულ და კომკავშირის უჯრედს ერთი ენერგიული მუშაკი გამოაკლდა.

ამხ. იოსები, ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. 1924 წელს შევიდა იგი მუშფაკში და ხარბად ეწაფებოდა სწავლა-განვითარებას, მაგრამ ულმობელმა სენმა (ჭლექით იყო დაავადებული) აღარ დააცალა და ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა, გამოაცალა წუთისოფელს.

ამხ. იოსების სახით მუშფაკის კომკავშირის და პარტიულმა ორგანიზაციებმა დაჰკარგა დაუფასებელი ამხანაგი და ერთგული მუშაკი.

მშვიდობით ამხანაგო! შენს ამხანაგებში მუდამ დარჩება შენი ხსოვნა.

ლაგვილავა.

პარტიული ქრონიკა

— **მუშათა კონფერენციები.** თბილისის კომიტეტმა დაადგინა მოიწვიოს რაიონების მუშათა გაფართოებული კონფერენციები შემდეგი დღის წესრიგით: 1. საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა, 2. თბილისის აღმასკომის მოხსენება—(ზოგ რაიონებში დასმული იქნება უმაღლეს სამეურნეო საბჭოს და მ. და გლეხთა ინსპექციის მოხსენებები).

— **ამხანაგების მიმაგრება.** თბილისის კომიტეტმა მიამაგრა 18 პასუხისმგებელი ამხანაგი თბილისის ორგანიზაციაში შემავალ სხვადასხვა თემებზე.

— **ჟურ. „კომუნისტის თანამგზავრი".** თ. კ. დაადგინა მიიღოს მონაწილეობა ჟურნალ „კომუნისტის თანამგზავრის" გამოცემაში.

სამეურნეო ცხოვრება

პროდუქციის ღირსების გაუმჯობესებისათვის

ს. მ. უ. ს. ტყავ ის ტრესტში

პროდუქციის ღირსების გაუმჯობესების კომისიამ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია მრავალ ჩვენს სამეურნეო დაწესებულებებში.

პროდუქციის თვისების გასაუმჯობესებელი ღონისძიებანი გატარებული იქნა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტყავის ტრესტშიც.

ქარხნებში მოწყობილია აუზები გაწმენდილი წყალის შესანახავად, დადგმულია ახალი მანქანა - მოწყობილობანი და სხვა. ფეხსაცმელების განყოფილებაში გატარებულია ნაწილობრივი მექანიზაცია და მიღებულია ზომები კალაპოტების გასაუმჯობესებლად.

ძირითადი პირობა, რომელიც გავლენას ახდენს ტყავეულობის საქონლის ღირსებაზე, არის ნედლი მასალა.

გასულ წელთან შედარებით მიმდინარე წელში მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული იქნა ლანჩას თვისება, რაც აიხსნება იმით, რომ მიმდინარე სეზონისათვის ტრესტის მიერ შარშან დამზადებული იქნა ამერიკული ნედლი მასალა, რომელიც მეტად მაგარ და გამძლე ლანჩას იძლევა.

რაც შეეხება მსუბუქ ლანჩას, მისი დამზადების პირობები მაინცადამაინც დიდათ არ შეცვლილა; მისი თვისება ისევ წინანდელია.

ფეხსაცმელების ფაბრიკის სრული მექანიზაცია ხელს შეუწყობს პროდუქციის თვისების გაუმჯობესებას და ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირებას.

პროდუქციის ღირსების გასაუმჯობესებელი ღონისძიებანი ტარდება აგრეთვე ს. მ. უ. ს. სხვა წარმოებებშიც.

სამეურნეო უთავბოლობა

(„ხლებოპროდუქტი"-ს თბილისის განყოფილების გამოკვლევის შედეგები)

„ხლებოპროდუქტი"-ს თბილ. განყოფილების მიერ ფულების უთავბოლო ხარჯვა. გაუმართლებელი მივლინებები. თანამშრომელთა უხვი დაჯილდოვება. კომპენსაციების უხვი დარიგება.

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია საზ. „ხლებოპროდუქტი"-ს თბილისის განყოფილების მუშაობა და აღმოაჩინა ამ დაწესებულების სრული სამეურნეო უთავბოლობა, რომელიც არღვევს ეკონომიის და მომჭირნეობის რეჟიმს.

სახალხო ფულების უთავბოლო ხარჯვას საკმაოდ ნათლად მოწმობს აპარატის შესანახად გაწეული ხარჯები, რომელიც შეადგენენ განყოფილების მიერ მთელი წლის განმავლობაში დახარჯული თანხების ნახევარს. განსაკუთრებით უხვად არის ფულები დახარჯული მივლინებებზე, რომელთაც ერთი წლის განმავლობაში შეუწირავს 16 ათასი მანეთი. ამასთან ერთად 3 პირისაგან შემდგარ ხელმძღვანელ პერსონალს მივლინებაში გაუტარებიათ 400 დღე (მივლინების დღეების საერთო ჯამი). მივლინებულ თანამშრომლების მიმართ განყოფილება იჩენდა არაჩვეულებრივ სიუხვეს და ჰფარავდა მათ პირად ხარჯებს საკუთარი ბარგის გადასაზიდათ, სამგზავრო ბილეთების შესაძენად და სხვა. ამავე დროს არ აწარმოებდა წარმოდგენილი ანგარიშების არსებითად შემოწმებას.

განყოფილება გადაჭარბებულ სიუხვეს იჩენდა აგრეთვე მოსამსახურეთა დაჯილდოვების საქმეში; ხშირად ტვირთავდა მათ ზედმეტი სამუშაოებით და სანარდო მუშაობით, რისთვისაც უხვად არიგებდა პერსონალურ ჯილდოს,—ეს მაშინ როცა „ხლებოპროდუქტი"-ს თანამშრომელთა უმრავლესობა იღებდა სპეციალურ განაკვეთს და სავსებით დატვირთული იყო. განყოფილების წრე-გადასულ სიუხვეს მოწმობს აგრეთვე კომპენსაციების უხვათ დარიგება სპეც-მუშაკებზე, რომელნიც შვებულებაში წასვლელობისათვის ერთი თვის ჯამაგირის ნაცვლად ღებულობდენ თვენახევრისას.

ყურადღებას იპყრობს გადაჭარბებული ხარჯები ქალაქში მიმოსვლისათვის (8.409 მან.), გაზეთების გამოწერასა და რეკლამებზე (5.881 მან.), ხარჯები თანამშრომლებისათვის ჩაი-შაქრის (თვეში—50-65 მან.) და პორტფელების (თვითეული პორტფელი 40-50 მან.) შესაძენად.

განყოფილებამ სრული უმომჭირნეობა და უთავბოლობა გამოიჩინა განსაკუთრებით თბილისის კანტორის შენობის შეკეთების და მოწყობის დროს, რაზედაც დახარჯულ იქნა 17 ათასი მანეთი, ნაცვლად გათვალისწინებული 10 ათასი მანეთისა.

სამეურნეო უთავბოლობის საუცხოვო ნიმუშად გამოდგება ათასი მანეთის დახარჯვა „ხლებოპროდუქტი"-ს ა.-კ. რწმუნებულის ბინის შეკეთებასა და მისი კაბინეტის მოწყობაზე—მაშინ, როცა რწმუნებული მუდმივად იმყოფებოდა და მუშაობდა ბაქოში. განყოფილებამ არ უღალატა თავის ჩვეულებას და ბუღალტერის გადმოყვანას სხვა ქალაქიდან მოანდომა 770 მანეთი. როცა ეს [illegible] მოადგათ, განყოფილებამ ისევ სხვა ქალაქიდან მეორე ბუღალტერი გამოიწერა, მაშინ როცა ადგილობრივ საკმაოდ მოიპოვებიან კვალიფიციური მუშაკნი.

განყოფილების ასეთი სამეურნეო უთავბოლობა სათანადოთ იქნა შეფასებული ინსპექციის მიერ, რომელმაც მიიღო ზომები ამგვარ მოვლენის აღმოსაფხვრელათ ამ დაწესებულებაში.

კ რ ე დ ი ტ ე ბ ი

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის (აზერბეიჯანი, სომხეთი და საქართველო) ბანკების მთლიანი საკრედიტო გეგმა 1925-26 მესამე კვარტალისათვის—98.631.000 მანეთის რაოდენობით.

ამასთანავე აღძრულია შუამდგომლობა საკავშირო ორგანოების წინაშე, რათა სრულიად საკავშირო ბანკმა გადასცეს ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს სას.-სამეურნეო კრედიტის ჩასატარებლათ ერთი მილიონი მანეთი. აღნიშნული თანხა დანიშნულია სამელიორაციო ამხანაგობებისათვის სესხის მისაცემათ.

ფინსახკომს მიენდო მომავალ საკრედიტო გეგმაში შეიტანოს ა.-კ. სას.-სამეურნეო ბანკისათვის და სახელმწიფო ბანკის ა.-კ. განყოფილებისათვის მისაცემი 500.000 მანეთი საკრედიტო რეზერვების გასადიდებლად.

ამავე დროს აღიარებულია საჭიროთ, რომ ყველა საკავშირო მნიშვნელობის ორგანოები ღებულობდენ სესხს სახელმწ. ბანკის განყოფილებიდან.

მომავალი კვარტალისათვის საკრედიტო გეგმის გამომუშავების დროს საჭიროთ იქნა აღიარებული საპროცენტო დანარიცხების შემცირება ყველა რესპუბლიკებისათვის.

ა.-კ. საგეგმო კომისიაში

საყოველთაო სავალდებულო სწავლება

ამიერ - კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მიიღო საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების გატარების პერსპექტიული გეგმა, რომლის ძალით სავალდებულო სწავლება შემოღებული უნდა იქნეს სოფლის ყველა სკოლებში და ქალაქებში ახლად გახსნილ კომპლექტებში. მთელი გეგმა გატარებული უნდა იქნეს 15 წლის განმავლობაში, ამასთანავე მისი ორი მესამედი უნდა გატარდეს უახლოეს ათი წლის განმავლობაში.

25 აპრილისათვის დანიშნულია საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის სხდომა გეგმის საბოლოოთ ჩამოსაყალიბებლად; სხდომაზე მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკანური საგეგმო კომისიების და განათლების სახალხო კომისარიატების წარმომადგენლები.

სათესლე ფონდი

მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის მიზნით ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის მიერ მიღებულ პროექტის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო ბანკებთან არსდება მუდმივი ფულადი სათესლე ფონდი. თვითეული რესპუბლიკის მოსახლეობისათვის მისაცემ თანხების რაოდენობას ამა თუ იმ წლისათვის აწესებს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და ამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭო. სათესლე ფონდის უშუალო განაწილებას ადგილებზე აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო ბანკი ქვედა საფეხურის სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო სისტემის საშუალებით.

საციებელი კომიტეტი

ამიერ - კავკასიის საგეგმო კომისიამ მიზანშეწონილად სცნო დაარსებული იქნეს ამიერ - კავკასიის მასშტაბით სპეციალური კომიტეტი, რომელმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს საციებელ საქმეს.

სასურველად იქნა ცნობილი, რომ ამ ორგანოში მონაწილეობა მიიღონ ტრანსპორტმა და ბაქოს და თბილისის აღმასკომებმა.

ცენტრალურ ორგანიზაციას უფლება ექნება საერთო ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიოს საქმეს, ტეხნიკური და საექსპლოატაციო მმართველობა კი გადაეცემა იმ მსხვილ აქციონერებს, რომელთა ხელში იქნება საციებელი მოწყობილობა. ამიერ-კავკასიის ოპერატიული ცენტრის სახელი იქნება „ამიერ-კავკასიის საციებელი კომიტეტი".

სამკურნალო დაწესებულებანი

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის დადგენილებით, ნებადართულია თვითეულ სამკურნალო - სანიტარულ და სამეცნიერო - საჩვენებელ დაწესებულებასთან დაარსდეს სპეციალური ფონდი იმ თანხებიდან, რომელიც შედის დაწესებულებაში მკურნალობის ქირის, გამოცემების ღირებულების და სხვათა სახით. ეს ფონდი უნდა მოხმარდეს სამკურნალო - სანიტარული საქმის გაუმჯობესებას.

წყალდიდობის მოლოდინში

აჭარისტანი

ხანგრძლივი ავდრების შემდეგ, აჭარისტანის მაზრებში თბილი ამინდი დადგა. მთებზე დაიწყო თოვლის დნობა. მთიდან დაშვებული ნიაღვრების გამო მდინარეები ადიდდენ. მდ. აჭარისწყალი და ფოროლისწყალი ნაპირებს ასცდენ. თუ თბილი ამინდები გაგრძელდა მოსალოდნელია წყალდიდობა ქედის და აჭარისწყალის მაზრებში.

ჯავახეთი

აპრილის მე2-რე კვირაში დიდი თოვლი დასდო აგრეთვე ჯავახეთის მაღლობ და დაბლობ ადგილებში. ალაგ-ალაგ თოვლის სიმაღლე ორ არშინს აღწევდა. შუა აპრილიდან დაიჭირა ისევ თბილი ამინდები. თოვლმა დნობა იწყო. ძალზე ადიდდენ ახალციხის და ახალქალაქის მაზრის პატარა მდინარეები. დიდათ იმატა წყალმა აგრეთვე მტკვრის კალაპოტში. წყალდიდობა მოსალოდნელია მცხეთის ქვევით.

სამხრეთ-ოსეთი

გასულ კვირეებში, სამხრეთ-ოსეთის დაბლობი ნაწილი მთლიანად ღრმა თოვლით დაიფარა, რის გამოც გლეხები იძულებული გახდენ შეეწყვიტათ ხვნა-თესვა და სხვა საგაზაფხულო მუშაობა. უკანასკნელ დღეებში თბილი ამინდი დადგა და თოვლმა სწრაფათ იწყო დნობა. ლიახვი თანდათან მატულობს და წალეკვით ემუქრება ცხინვალის მარჯვენა ნაპირს. საოლქო აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილება შეუდგა ენერგიულ მუშაობას ადიდებულ წყლის შემკავებელი და ნაპირების გასამაგრებელი ჯებირების გასაკეთებლად. მასალა უკვე მომარაგებულია და ჯებირების კეთებაც დაიწყო.

რაჭა

წყალდიდობა მოსალოდნელია აგრეთვე რაჭის დაბლობ ნაწილებში, რადგან გასულ კვირაში დიდი თოვლი დასდო აგრეთვე რიონის სათავეებში და ზემო-რაჭის მთიან ადგილებში.

გურია

თოვლის სქელი ფენებით დაიფარა აგრეთვე აჭარის ქედის ნაწილი ბახმაროს რაიონში, სადაც თოვლის სიმაღლე ალაგ-ალაგ 4 არშინს აღწევს. თოვლის დნობა დაიწყო და წყალი ნიაღვრებად ეშვება დაბლობ ადგილებში.

დუშეთის მაზრა

დიდი თოვლი ძევს აგრეთვე გუდაურის რაიონში, სადაც თოვლის სიმაღლე ორ არშინს აღემატება. მოსალოდნელია არაგვის ადიდება.

სააგარაკო სეზონისათვის

დასასვენებელი სახლები

ამიერ-კავკასიის საოლქო კავშირის სამმართველომ ფასანაურსა და მლეთში (საქართველოს სამხედრო გზაზე, დუშეთის მაზრა) საფუძვლიანად შეაკეთა მის უწყებაში მყოფი სახლები, რომელიც დასასვენებელ სახლებად იქნენ გადაკეთებული. ამ ორივე სახლში მოთავსებულია 35 საწოლი. ფასანაურის და მლეთის დასასვენებელ სახლებში გაიგზავნებიან მხოლოდ ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც დასვენებას საჭიროებენ. დასვენების ვადა და სხვა საცხოვრებელი პირობები ამ სახლებშიდაც იგივეა, როგორც საქართველოს დანარჩენ მსგავს სახლებში.

ციხის-ძირის დასასვენებელი სახლი

აჭარისტანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა ყოფილ პოლიტიკურ კატორღელების და პოლიტ. გადასახლებულების საზოგადოებას ციხის-ძირში გადასაცა კეთილმოწყობილი აგარაკი, სადაც აგებულია ორსართულიანი სახლი. მიმდინარე სეზონიდან ციხის-ძირის აგარაკი იქნება ყოფილ პოლიტკატორღელთა დასასვენებელი ადგილი.

დასასვენებელი სახლები გუდაუთაში

აფხაზეთის საკურორტო სამმართველო მიმდინარე სააგარაკო სეზონისათვის გუდაუთაში აწყობს სამ დასასვენებელ სახლს მუშა-მოსამსახურეებისათვის და ერთს სამთო-კლიმატიურ სადგურს სოფელ წებელდაში.

ბ ო რ ჯ ო მ შ ი

საკურორტო სამმართველო შეუდგა ბორჯომში 15 ახალი ვანის მოწყობას პოლიკლინიკასთან. ვანები მოწყობილი იქნება მინერალური წყლების მახლობლად.

წითელ ჯარში

მზადება 1904 წელში დაბადებულთა გასაწვევად

(წერილი შორაპნიდან).

შორაპნის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა ჩაატაროს მაზრის ფარგლებში ახალწვეულთა მოსამზადებელი კამპანია. კამპანიის ჩასატარებლად ყველა თემებში გაიმართება გლეხთა ყრილობები, სადაც მოხსენებებით გამოვლენ სამხედრო მაგიდების გამგეები და მისცემენ დამსწრეებს ახსნა-განმარტებას, თუ რა წესით იწარმოებს 1904 წელში დაბადებულთა გაწვევა, ან რა შეღავათები ექნებათ ახალწვეულებს და სხვ.

გარდა ამისა, მაზრაში არსებულ სამხედრო კუთხეებში დაარსდებიან ახალწვეულთა წრეები. წრეების მიზანია მისცენ ახალწვეულებს საერთო მომზადება-განვითარება.

სამაზრო აღმასკომმა დაადგინა გამოჰყოს სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის ჯარში გასაწვევ მოქალაქეთათვის შეღავათების მინიჭების საქმეს და გამოსცემს არსებულ წესებს შეღავათების შესახებ, რომლებიც გაკრულ იქნება თემებში გამოსაჩენ ადგილებზე.

სამაზრო აღმასკომის კომისიას ამასთანავე ევალება გამოარკვიოს, თუ გასაწვევებში ვის ეკუთვნის შეღავათი და შემდეგ ამის შესახებ წარადგინოს ცნობები სამაზრო საბჭოში.

ბ. გ.

წითელარმიელთა კლუბები და ანტირელიგიური პროპაგანდა

ანტირელიგიურ პროპაგანდის წარმოებას კლუბებში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. ეს ასეც უნდა იყვეს, ვინაიდან სოფლიდან მოსული წითელარმიელი ყაზარმაში უნდა გაეცნოს ანტირელიგიურ პროპაგანდის წარმოებას, რათა შეეძლოს სახლში დაბრუნებისას შესაფერი სარგებლობა მოუტანოს სოფელს.

კლუბებთან ჩამოყალიბებულია ანტირელიგიური წრეები. ხელმძღვანელებად მიმაგრებული არიან გამოცდილი ამხანაგები. წრეებს ჰყავთ გამგეობა, რომელიც იმუშავებს სამეცადინო გეგმას და თვალყურს ადევნებს მუშაობის მსვლელობას.

ანტირელიგიურმა წრეებმა ბევრჯერ განიცადეს გარდაქმნა მეთოდის მხრივ. ძველი მეთოდები მიტოვებულია და ეხლა მუშაობა დაყენებულია სად მეცნიერულ საფუძველზე.

სანამ ახლად მოსული წითელარმიელები ჩაებმებოდენ ანტირელიგიურ წრეების მუშაობაში, სწარმოებს შესწავლა იმისი, თუ რამდენათ არის იგი მორწმუნე და რა მხრივ უნდა მიუდგეს მას ხელმძღვანელი, რომ წითელარმიელი ერთბაშად არ შეშინდეს და სრულიად არ ჩამოშორდეს მუშაობას.

ამ „დამუშავების" შემდეგ სწარმოებს წევრების ჩაწერა წრეში მათი სურვილისამებრ. აქ ძალადობას არ აქვს ადგილი, აქ სრული ნებაყოფლობაა. არიან ისეთი წითელარმიელნიც, რომელთაც არა სურთ მუშაობა ანტირელიგიურ წრეში. ასეთები აყვანილნი არიან აღრიცხვაზე და მათთან ცალკე სწარმოებს მუშაობა.

წრეში ყურადღება აქვს მიქცეული ბუნებისმეტყველებას, გეოლოგიას და ბიოლოგიის შესწავლას.

თეორიულ მეცადინეობასთან ერთად მიმდინარეობს პრაქტიკული მეცადინეობაც ექსკურსიების სახით. ეწყობა ექსკურსიები ქარხნებში, მუზეუმებში, ობსერვატორიაში. ხშირად ეწყობა გასეირნება ქალაქ გარედ ბუნების სხვადასხვა მოვლენების გასაცნობად. თვით ნაწილებში იკითხება ლექციები შესაფერ თემებზე—ბუნდოვანი სურათების ჩვენებით.

კედლის გაზეთებში გამოყოფილია სპეციალური განყოფილებები, რომელშიაც თავსდება წითელარმიელთა შენიშვნები სარწმუნოების შესახებ, მოგონებები და სხვ.

სხვადასხვა ხასიათის საეკლესიო დღესასწაულების მოახლოვების დროს ნაწილებში ტარდება ფართე ანტირელიგიური კამპანიები. ამ ხანებში სწარმოებს ინტენსიური მუშაობა წრეების გასაძლიერებლად და მათ მუშაობაში წითელარმიელთა მეტი რიცხვის ჩასაბმელად.

ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოებამ ჯარში გამოიღო შესაფერისი ნაყოფი. უვადო შვებულებაში დათხოვნილი წითელარმიელნი მუშაობენ სოფლად ამ დარგში, აარსებენ წრეებს და ავრცელებენ გლეხობაში სამეცნიერო ცოდნას.

ე. ხუციშვილი.

წერაკითხვის უცოდინარობა მოსპეთ.

(მე-2-ე ლეგ. მე-2-ე ათასეული).

შემოდგომაზე გაწვეულ წითელარმიელთა შორის იყვნენ წერაკითხვის უცოდინარნი. ყაზარმაში მოსვლისას ისინი აიყვანეს აღრიცხვაზე და დაიწყო მათთან მეცადინეობა.

ამჟამად ნაწილში მოსული უცოდინარი წითელარმიელნი ახლა თამამად სწერენ წერილებს მშობლებს და ზოგიერთი მათგანი ითვლება გაზ. „წითელი არმიელი"-ს სამხკორად.

ხ—ი.

მუშათა ცხოვრება

„ა ლ დ გ ო მ ა"

(პატარა ფელეტონისებური)

წინეთ, ყოველთვის დარდები ეშლებოდა ხოლმე მუშა მიხოს ახალი წლის და აღდგომის მოახლოვებაზე. რადგან ესენი მოულოდნელ ხარჯებს იწვევდა და ეს კი მას არა ჰქონდა. მართალია ეს დღესასწაულები მას არ სწამდა, და „აღდგომის" დახვედრაზედაც მას ძალას არავინ დაატანდა, მაგრამ სწყინდა, რომ მისი ამხანაგები იხდიდნენ და ის კი შორიდან მაყურებელი იყო...

მიხოს ეს ისე მეტომ სწყინდა, რომ სხვების ოჯახი იმ დღეს ხარობდა და მისი ოჯახი კი... განზე იდგა, თითქო გარიყულია და ცხოვრების გარეშეაო...

მიხოს მასთანავე ჯავრიც მოსდიოდა კოოპერაციის მაღაზიებზე: — გვიქადაგებენ ძველ გამაჩანაგებელ ადათ-ჩვეულებაზე და დახე რა რიგ გაუჩაღებიათ, პასკები და კულიჩებიც კია, ნეტავ, ვისთვის უნდათ, განა ეს ყაირათი, მომჭირნეობა, მოხრაკული და გაპრაწილი ბატკანი და გოჭი. ისე მიშლის მადის სადერღელს, რომ, ლამის არის, წამძლიოს და... შევალო ფანჯრები...

* *

— შენ რატომ ეგრე ხელცარიელი შემოტლაკუნდი სახლში?—უსაყვედურა მიხოს ცოლმა. ვერ გაიგე, რომ აღდგომა გვიახლოვდება —ეგეგე მერე? ან არა და... რის აღდგომაა, რის აღდგომაა?!

— შედი და გაიგე კოოპერატივში...

— ის მდიდრებისაა...

— თუ კი შენი ამხანაგი ბესო იხდის და იმის ცოლი დიდ მზადებაშია, ჩვენ რაღა გამონაკლისი ვართ?!

— ეს მათი შეუგნებლობის შედეგია. ჩვენ კი ასე არ მოვიქცევით. ოჯახს მოვლა უნდა. ბავშვებს ჩაცმა-დახურვა და სწავლა-განათლება. ბი რას უნდა მოვახმაროთ, თუ კი რამე სახსარი გვაქვს.

— მაშ, კარგი არ გაწყენინებ. გეთანხმები, რომ პასქას უნდა მოხმარდეს ბავშვების ქალაქები და ჩვენი ბავშვების აღდგომაც ეს იქნება. სთქვა ცოლმა და ქმარს მეგობრულად ხელი ჩამოართვა.

— ვ. დუშელი.

ეს საავადმყოფო უნდა გაფართოვდეს

(ტყიბულის მაღაროების მუშათა ცხოვრებიდან)

ტყიბულის მაღაროების დაარსებიდან აქ მოეწყო ერთი საავადმყოფო, რომლის გადიდებას ვერც წარმოების აწევამ უშველა და ვერც მოთხოვნილებამ.

ტყიბულის მაღაროებში მუშაობს 1.100 მეტი მუშა, ამ მუშების უმრავლეს ნაწილს ოჯახებიც მაღაროებში და ახლო-მახლო სოფლებში ჰყავთ. საჭიროების დროს მათაც მხოლოდ ეს საავადმყოფო დარჩენიათ საშველად. ეს საავადმყოფოც ორი ვერსით არის დაშორებული მუშების სამუაშოდან; იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც მუშა გვირაბში დასახიჩრდა და საავადმყოფოში მიყვანამდის გარდაიცვალა.

ყველაფერ ამას თავი დავანებოთ, თვით საავადმყოფოს შენობა იტევს 20 ლოგინს იმ დროს, როდესაც დღიურად 6—7 ავადმყოფი მიდის იქ დასაწოლად როგორც მუშები, ისე მათი ცოლშვილი. აქაც ასეთი შემთხვევაა, როდესაც საავადმყოფოს დერეფანში სდგამენ ლოგინს და ამაზე ათავსებენ ავადმყოფს.

ამ საკითხზე ამას წინად მაღაროში ჩამოსულმა კომისიამ, რომლის მოვალეობას შეადგენდა მაღაროების მუშების მდგომარეობის შესწავლა, გამოიტანა დადგენილება, რათა საავადმყოფო იქნას გადიდებული. და მის სასარგებლოდ გადასდვეს კიდეც სხვადასხვა ორგანიზაციებმა 4.500 მან., მაგრამ ამ მხრივ არავითარი მუშაობა არ სწარმოებს.

გ. ხუციბერიძე.

მასწავლებელთა პენსიის შესახებ

(დამზღვევ სალაროს საყურადღებოდ)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლის განმავლობაში დამზღვევმა სალარომ თავისი ფუნქციები იმდენად გააუმჯობესა, რომ შედარებაც კი არ შეიძლება მისი ეხლანდელი მდგომარეობის, მის პირვანდელ მდგომარეობასთან. თუ პირველი ორი წლის განმავლობაში დაზღვეული მთელი დღეები. რიგში დგომის უნდებოდა და ხეირიან დახმარებას მაინც ვერ იღებდა, ეხლა სალაროს აპარატი იმდენად კარგადაა დაყენებული, რომ ასეთ შემთხვევებს ადგილი აღარ აქვს. მაგრამ უნდა ,ითქვას, აგრეთვე ისიც, რომ დამზღვევ სალაროს კიდევ ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი, ჯერ კიდევ მას ბევრი საკითხების მოგვარება აქვს ვალად. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მასწავლებელთა პენსიების საკითხი.

თანახმად არსებული წესებისა, ჩვენ ვიცით, რომ პენსია ეძლევა მხოლოდ ისეთ მასწავლებელს, (დამსახურების მხრივ) რომელმაც იმსახურა ოცდახუთი წელიწადი პირველ საფეხურის შრომის სკოლაში. რის გამო ჯერ კიდევ ნაწილი მასწავლებლებისა უპენსიოდ რჩება.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მასწავლებელმა ტეხნიკუმში იმსახურა 20 წელი და პირველ საფეხურის სკოლაში კი 15,—მას პენსია არ დაენიშნება. ასეთი მაგალითები ძალიან ბევრია და ფაქტიურად დამსახურებული მასწავლებლები უპენსიოდ რჩებიან. ასეთი დადგენილების გამოცემის დროს მთავრობას მხედველობაში ჰქონდა სოფლის მასწავლებლის მდგომარეობის გაუმჯობესება, რომელიც სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიდა მეფის რეჟიმის დროს.

მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ ბევრი მასწავლებელი, რომელიც წინად გიმნაზიებში მსახურობდენ და შემდეგ სოფლის სკოლებში გადავიდენ, პენსიის გარეშე რჩებიან თუნდაც მთელი მისი ნამსახური 40 წელს უდრიდეს. ეს კი სამართლიანი არ არის.

საჭიროა ასეთ შემთხვევებს ანგარიში გაუწიოს დამზღვევმა სალარომ და საკითხი შესაფერად გადასჭრას.

ამით ჩვენ მასწავლებლების დიდ ნაწილს გამოვიყვანთ გაჭირვებულ მდგომარეობიდან.

სირიუს.

ექიმიც ასეთი უნდა

10 აპრილს უეცრად გახდა ავად მუშა-ხელოსანი ამხ. თედო ბატონისაშვილი, რომელიც ცხოვრობს კახუბევის ქუჩაზე. ავადმყოფის პატრონი გაეშურა ახლო-მახლო მცხოვრებ ექიმებთან, და სხვათა შორის სახელგანთქმულ ექიმს და ამავე დროს რამოდენიმე ნაბიჯის მანძილზე მცხოვრებ წინამძღვარიშვილსაც მიმართეს, რომ აღმოეჩინა პირველი დახმარება ავადმყოფისათვის, მაგრამ მოქ. წინამძღვარიშვილმა განუცხადა ცივი უარი, შემდეგი სიტყვებით: მე არ შემიძლიან წავიდე, დაღლილი ვარ და თანაც მშიანო, წადით და სხვა ექიმს დაუძახეთო, ვერაფერმა მუდარამ მაზე ვერ იმოქმედა.

მიმართეს სხვა ექიმს, რომელიც უფრო დაშორებით ცხოვრობდა. ეს ექიმი მაშინათვე წამოვიდა და ავადმყოფ მუშას გაუწოდა ძმური ხელი.

რას მივაწეროთ ესეთი გულგრილობა მოქ. წინამძღვარიშვილისა? ნუ თუ იმიტომ არ ისურვა მან წამოსვლა, რომ ავადმყოფი არ ეკუთვნის მდიდართა წრეს?

ექიმის ასეთი გულგრილობა მუშისადმი დაუშვებელია და დროა მოქ. წინამძღვარიშვილსაც ეს შეაგნებიოთ.

მუშკორი ლიაპისი.

ბოროტად ნუ იყენებენ თავის უფლებებს

მთავარ სახელოსნოებში ცამეტი საამქროებია და ყველა საამქროს ყავს თავისი გამგე და რამოდენიმე თანაშემწეები, რომლებიც ბრძანებლები არიან რამოდენიმე ასეულ შავ მუშებისა. თუ ვისმე მათგანს დასჭირდა რასმეს მოტანა, მაგალითად ავილოთ ნავთის, ის ხსნის შავ მუშას თავისი საქმიდან და გზავნის მთავარ საწყობში ნავთისათვის.

ამისთანა საქციელი დაუშვებელია ვისგანაც უნდა იყვეს, რადგანაც მუშას ეძლევა ქირა მხოლოდ წარმოებაში მუშაობისათვის და არა კერძო საქმიანობისათვის.

ნურავის ნუ ეწყინება ეს სიმართლე და მიიღონ ერთხელ და სამუდამოდ მხედველობაში, რომ მუშის კერძო საქმისათვის გამოყენება დაუშვებელია.

მუშკორი წუმწუმა.

გამოგზავნილი წერილებიდან

—**მტვირთველ მუშებს ნუ დააჩაგვრინებთ.** რკ. გზის მთავარ საწყობის მტვირთავი მუშები შრომის ხელფასს იღებენ ნარდად გადაზიდული ტვირთის [illegible] ხშირად ეს წონა არ არის ადმინისტრაციის მიერ სწორად ნაჩვენები და მუშებს აკლდებათ ხელფასი. სამჯერ თვით მუშებმა თავიანთი რევიზიების საშუალებით აღმოაჩინეს ეს. მაგრამ ამას ბოლო მაინც არ ეღება. საჭიროა უბკავშირმა ბოლო მოუღოს ამ უსამართლობას.

მუშკორი გვაზარეელი.

— **დავიტანჯეთ სიბინძურეში და უსინათლობის გამო.** მე-8 უბანში (რკინისგზის გადაღმა) არსენალის ყაზარმის გვერდით სურ. პვარაპეტის ხევში უმეტესად ცხოვრობს მუშათა მოსახლეობა. აქ ჩვენ გზები არ გვივარგა. ფეხის ადგილ. გაბინძურებულია. იქვე ხევში ჰყრიან არსენალის ცხენების ნაკელს. მკვდარ საქონლის ლეშს. სიბინძურის აქედან გატანა საზოგადო გზების უვარგისობის გამო შეუძლებელია. არა გვაქვს აგრეთვე განათებაც.

აღმასკომო, ერთი ჩვენსკენაც გადმოიხედე!

ხელს აწერს 11 კაცი.

— **დაიცავით მუშები ამ ხიფათისგან.** ყუბანის ქუჩა სახ. № 18-ში ცხოვრობენ მხოლოდ მუშები. სახლის პატრონი ნესტორ მაღლაკელიძე გაქცეული ვაჭარია. სახლს არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ღუმელების გაუწმენდლობის გამო სახლს რამდენჯერმე ცეცხლი გაუჩნდა. მუშებს ყოველ ღამე ხიფათი მოელის ცეცხლის გამო და ღამე მშვიდობიანად არ სძინავთ.

აღმასკომო, აქაც ასწავლეთ სახლის პატრონს!

იქაური.

— **გაბინძურებული კარ-მიდამო.** გაზაფხული დადგა და დათბა კიდეც, მაგრამ ჩვენი კარ-მიდამო მაინც გაბინძურებული რჩება და თუ ზომები არ იქნა მიღებული, იძულებული გავხდებით აქედან გადავსახლდეთ. მე ვამბობ ქალ. სურამის თებერვლის ქუჩა სახლი № 168 კარმიდამოზე. აქ ფეხისადგილები გაფუჭებულია. მათ შეკეთებაზე და გასუფთავებაზე სახლის პატრონი არც კი ფიქრობს.

სანიტკომო, მიიღეთ ზომები!

სვიმონი.

— **ჩვენი საწყობის გამგე უხეშია და უდიერიც.** შავი ზღვის რკინისგზის მეორე უბნის საწყობის გამგედ არის (ქ. ზუგდიდშია) ვინმე ნიკო ხახუბიშვილი. ეს ბატონი აქაურ მუშა-მოსამსახურეთ მეტად უდიერად ეპყრობა. სულ უბრალო რამისათვის სამსახურიდან მოხსნით ემუქრება. მუშებს იგი უყურებს ძველებურად (ბატონყმურად) და ცდილობს მათ კანონიერ მოთხოვნილებაზედაც უარი უთხრას.

ზუგდიდის პროფბიუროვ, მიიღე ზომები ურჯულოს მოსარჯულებლად.

ტოკი.

საბჭოთა საქართველო

ახალი ჯებირები

ოზურგეთი, 21 აპრილი. სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა გაამაგროს ახალი ჯებირებით მდ. ნატანების და ბჟუჟის ნაპირები. განზრახულია ორი ახალი ქვის ჯებირის აშენება.

ყინულის ქარხანა

ოზურგეთი, 21 აპრილი. სამაზრო აღმასკომმა დაადგინა ააშენოს ქ. ოზურგეთში ყინულის ქარხანა და მისი ექსპლოატაცია გადასცეს კომუნალურ განყოფილებას.

ტეხნიკურ განყოფილებას მიეცა დავალება სასწრაფოთ შეიმუშაოს ქარხნის საშენებელი ხარჯთაღრიცხვა.

ფართო ლიანდაგიანი რკ. გზა

ბორჯომი, 21 აპრილი. ბორჯომსა და პარკს შორის ფართო ლიანდაგიანი რკ. გზის გასაყვანათ მუშაობა გაძლიერებული ტემპით სწარმოებს.

ამჟამად პარკში მდინარე თირის წყალზე კეთდება ხიდი.

მარგანეცის ექსპორტი

ფოთი, 21 აპრილი. ამერიკაში წავიდა ნორვეგიის გემი „სტაკლესტატი", რომელმაც წაიღო 10.458 ტონა მარგანეცი.

ხმამაღლა მოლაპარაკე

ფოთი, 21 აპრილი. ადგილობრივ ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის კლუბში დადგმულია ძლიერი ხმამაღლა მოლაპარაკე.

კავშირი უცხოელ მეზღვაურებთან

ფოთი, 21 აპრილი, ტრანსპორტის მუშაკების ინტერნაციონალურმა კლუბმა ფოთში მყოფ უცხოელ მეზღვაურებს საღამო კონცერტი გაუმართა.

საღამოს დაესწრო 60 ინგლისელი და ნორვეგიელი მეზღვაური. საღამოს დამთავრების შემდეგ სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს საღამოს მომწყობთ ძმური დახვედრისა და მათდამი გულითადი დამოკიდებულებისათვის.

გაზაფხული ფოთში

ფოთი, 21 აპრილი. ხანგრძლივი წვიმების შემდეგ გაზაფხულის თბილი ამინდი დაიჭირა. აყვავდა მცენარეულობა.

საოლქო სასამართლოს სესია

ოზურგეთი, 21 აპრილი. ჩამოვიდა დასავლეთ საქართველოს სასამართლოს სესია, რომელიც გაარჩევს ადგილობრივ დაგროვილ საქმეებს.

ჩაის ახალი ფაბრიკები.

ოზურგეთი, 21 აპრილი. სააქციონერო საზოგადოებას „ქართული ჩაი"-ს ნებადართული აქვს ააშენოს ორი ახალი ფაბრიკა სოფ. მიქელ-გაბრიელსა და აცანაში.

ეს სოფლები წარმოადგენენ ჩაის კულტურის ცენტრებს გურიაში.

აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა.

თელავი, 21 აპრილი. მიღებულია მანქანები აბრეშუმის სახვევი ფაბრიკისათვის. წლევანდელ სეზონში ფაბრიკა სავსებით მოწყობილი იქნება და მუშაობას დაიწყებს.

ხანძარი შუშის ქარხნის რაიონში.

ბორჯომი, 21 აპრილი. 20 აპრილს ღამით შუშის ქარხნის მუშების რაიონში დაიწვა მუშების 13 ბინა. ხანძარის ლიკვიდაცია დროზე მოხდა, ასე რომ მან ვეღარ შესძლო გავრცელება მახლობელ შენობებზე. ზარალი უმნიშვნელოა. ირკვევა მიზეზები.

სამხრეთ-ოსეთში

ხანძარი ცხინვალში

ცხინვალი, 21 აპრილი. ხანძარი შემდეგ პირობებში დაიწყო მუშაობის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ბურბუშეთავრების შემდეგ ბურბუშელა შეკეთებული იქნა ორთქლის ქვაბის ქვეშ. ანთებული ბურბუშელა უცაბედათ გადავარდნილა ქარხანაში დაგროვებულ ნაფოტებში და ცეცხლი გაჩენილა.

მიუხედავათ მიღებული ზომებისა ფაბრიკა ვერ გადაარჩინეს. დაიწვა თითქმის მთელი მოწყობილობა გარდა ზოგიერთ მანქანისა და დაზგისა. დაიწვა დიდძალი დამზადებული დგამი და ნედლი მასალა.

წინასწარი გამოანგარიშებით ზარალი 10.000 მანეთს უდრის.

1 მაისის დღესასწაულისათვის

ცხინვალი, 21 აპრილი. სამხრეთ-ოსეთის საოლქო პარტკომმა აირჩია განსაკუთრებული კომისია საერთაშორისო პროლეტარულ დღესასწაულის, 1 მაისის ჩასატარებლად.

კომისიის მიერ შემუშავებული გეგმით 1 მაისის დღესასწაული ჩატარებული იქნება ყველა რაიონებში. ცხინვალში დღესასწაულს ექნება განსაკუთრებული ზეიმის ხასიათი.

გზების აღმშენებლობა

ცხინვალი, 21 აპრილი. საქართველოს გზა-ტკეცილების სამმართველოს განზრახული აქვს საერთო საკავშირო და რესპუბლიკანურ მნიშვნელობის გზების გაყვანა სამხრეთ-ოსეთში.

უნდა გაკეთდეს ჯებირები

(სენაკის მ.)

სენაკის მაზრის სოფ. მაიდანთან მდ. ცხენისწყალი ანგრევს ნაპირებს და ლამის არის, ს. საჭილაოში რკ.-გზის ქარხნის მუშაობასაც ხელი შეუშალოს.

სამაზრო აღმასკომმა მიიღო ეს მხედველობაში და დაადგინა სთხოვოს რკ. გზის სამმართველოს, მიიღოს ზომები, რათა აღნიშნულ ალაგს დ. ცხენისწყალის ნაპირები იქნეს გამაგრებული. რკ. გზის უწყებას დაეხმარება, როგორც სამაზრო აღმასკომი, აგრეთვე მოსახლეობა.

ყურადღების ღირსია მდ. ცივის საკითხი. ამ მდინარის მარცხენა ნაპირზე აუცილებლად საჭიროა ს. თეკათთან გრძელი ჯებირების გაკეთება, რომ ამით დაცულ იქნას მოსახლეობა მდინარისაგან. არა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა, როდესაც მდ. ცივი გადასულა და დიდი ზიანი მიუყენებია ადგილობრივ მოსახლეობისასათვის.

სამაზრო აღმასკომმა ეს გარემოებაც მიიღო მხედველობაში და სთხოვს წყალშენთა სამმართველოს, რათა მან მიიღოს საჭირო ზომები ჯებირების გასაკეთებლად.

ბ. უჩანეიშვილი.

წ ე რ ი ლ ე ბ ი დ ა ნ

ქვენობანი, (გურია)

გზა არ გაჰყავთ. ხიდისთავსა და ოზურგეთს შორის მიმავალი გზა სცილდება დასახლებულ ადგილებს და სოფელს გარეთ გადის. ქვენობნის მცხოვრებლებმა აღძრეს შუამდგომლობა ხიდისთავის თემის აღმასკომის წინაშე, რათა ეს გზა სოფელში ყოფილიყო გაყვანილი. გზის გაყვანას გლეხები თვით კისრულობენ, აღმასკომი უარზე სდგას რაც უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში.

ი. რუისპირელი.

სამღუთოს თემი, (გურია)

სკოლა უვარგის ადგილას ააშენეს. ამ თემში დაიწყეს შვიდწლედისათვის შენობის აგება, მაგრამ ისეთ ცუდ ადგილას, რომ მის აგებას ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგება. ეზო ვიწროა და ტალახიანი. შესაძლებელი იყო სკოლისათვის უკეთესი ადგილის მოძებნა.

ი. გ.

ქუთაისი

როსკიპები გამრავლდენ. ქუთაისში პრ. მარის ქუჩა არ არის განათებული. ამ ბნელ ქუჩაზე საღამოობით თავს იყრიან როსკიპები. საჭიროა ქუჩის განათება და როსკიპების განდევნა.

ი. გ.

ხორგა (ზუგდიდის მაზრა).

გაერთიანება არ არის მიზანშეწონილი. ზუგდიდის მაზრაღმასკომს განზრახული აქვს ხორგის, შუა-ხორგის და ქარიატის თემების გაერთიანება. ეს არ არის მიზანშეწონილი, რადგან ეს თემები თავის მდებარეობით არ არიან ერთი-მეორესთან დაკავშირებული.

გლეხობა არ არის კმაყოფილი ამ თემების გაერთიანებით.

სუგურყელი.

ჩხოროწყუ (ზუგდიდის მაზრა).

ხიდი უნდა შეკეთდეს. ზუგდიდ-ჩხოროწყუს გზაზე მდინარე ხობის-წყალზე გაკეთებული ხიდი ძალზე დაზიანებულია. მასზე გავლა სახიფათოა. ჩხოროწყუს აღმასკომი თავს არ იწუხებს შესაკეთებლად. ალბად, უბედურ შემთხვევას თუ ელოდება!

გამვლელი.

სოფლის ქრონიკა

— **საექიმო პუნქტი სოფლად.** სოფ. ოლესში (გორ. მაზრა) იხსნება საექიმო პუნქტი.

— **თათბირის მოწყობა.** თელავის აღმასკომმა დაადგინა მოაწყოს სარაიონო მილიციის უფროსების თათბირი.

— **სენაკის აღმასკომი** შეუდგა გლეხთა სახლის შეკეთებას.

— **ახალქალაქის** სამაზრო გლეხკომი შეუდგა თემებში შრომის ფონდების მოწყობას.

— **ახალციხის აღმასკომმა** დაადგინა მიამაგროს სათემო აღმასკომებს თავის წევრები.

— **ბორანი.** ახალციხის აღმასკომმა გააკეთა ბორანი სოფ. აგარაში.

— **ხიდების შეკეთება-აგება.** სოფ. ალი (გორ. მ.) გლეხებმა დაადგინეს გამოვიდენ ურმებით მდ. ჭერათხეულაზე ძველი ხიდების შესაკეთებლად და ახლების ასაგებათ.

— **დოესის** თემაღმასკომმა დაადგინა გაიყვანოს გზა სადგ. გრაკალიდან სოფ. ხოვლემდე.

— **თელავის სამაზრო აღმასკომთან დაარსდა** ინსტრუქტორთა მუდმივი სათათბირო საბჭო.

— **გორის აღმასკომმა დაადინა ხაშურის** სახ. სასამართლოსთან დაარსოს საადგილმამულო სასამართლოს კოლეგია.

— **ხაშურში არსდება** აგროპუნქტი, გლეხებისათვის აგრონომიული რჩევა-დახმარების მისაცემათ.

— სოფ. ჩოჩხათში (გურია), შეუდგენ სახალხო სახლის აგებას.

დაზოგვის რეჟიმი სოფლად

მომჭირნეობის რეჟიმი ერთნაირი სიმტკიცით უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. მართალია, მრეწველობის და ვაჭრობის მთავარ ადგილებს ქალაქები წარმოადგენენ, მაგრამ ისიც ხომ უდავოა რომ ჩვენს საერთო სამეურნეო ცხოვრებაში სოფელს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

კოოპერატივები, აღმასკომები, გლეხკომები სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი, სახალხო მამულები, შინამრეწველთა არტელები და სხვა, აი სოფლად მომუშავე ეკონომიურ და ადმინისტრატიულ აპარატის ქსელის ცალკე უჯრედები, რომელთაც უნდა შეითვისონ პირველყოვლისა ეკონომიის რეჟიმი. მართალია, ფინანსიური ხელმოკლეობა და ნივთიერი სიღარიბე სოფლად მომუშავე ყველა ორგანიზაციების დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს, მაგრამ ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ დაზოგვა და უმიზნო ხარჯების შემცირება ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი რამ იყვეს.

პირიქით, სწორეთ იმიტომ, რომ ჩვენი ღარიბი სალარო ვერ აუდის ყველა მოთხოვნილებას, სწორეთ იმიტომ, რომ თვითეულ უმიზნოდ დახარჯულ მანეთს შეუძლია საერთო ჯამით უდიდესი ზიანი მოგვიტანოს, საჭიროა გეგმიანი და წინასწარ გათვალისწინებული მუშაობა. ვერავინ უარჰყოფს იმ ფაქტს, რომ ბოროტმოქმედება, დაუდევრობა და ზოგჯერ საქმის უცოდინარობა, კიდევ საკმარისზე მეტია სოფლად მომუშავე ორგანიზაციებში.

გარდა ამისა, მომჭირნეობის რეჟიმი ჩვენ არ უნდა გავიგოთ, როგორც მხოლოდ დაზოგვის და უმიზნო ხარჯების შეკვეცის საქმე. ამასთან ერთად საჭიროა მუშაობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა ამ სიტყვის ფართე გაგებით. მუშაობის გაუმჯობესება უნდა გვესმოდეს, როგორც თვით დაწესებულება - ორგანიზაციათა აპარატში, ისე ცალკე გლეხის მეურნეობაში, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის პროდუქციის თვისობრივ და რაოდენობითი ზრდას.

მარტო ამის დაზოგვით, რაც უკვე გვაქვს, ჩვენ შორს ვერ წავალთ, თუ არ ვიზრუნეთ ახალი დოვლათის შექმნაზე და ამ დოვლათის თვისობრივ გაუმჯობესებაზე. სოფელს ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენს საერთო სამეურნეო ცხოვრებაში.

ამ რიგათ, დაზოგვა, უსარგებლო ხარჯების შემცირება, აპარატის მუშაობის გამარტივება, სოფლის მეურნეობის ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესება, აი რა უნდა ახსოვდეთ სოფლად მომუშავე ამხანაგებს და მოწინავე მშრომელ გლეხკაცობას მომჭირნეობის ლოზუნგის განხორციელების საქმეში და როგორც უნდა იქნას ეს ლოზუნგი გაგებული სოფლად.

შურდული.

ბებია-ექიმბაშობას ბოლო მოუღოთ.

(წერილი გურიიდან)

ჩვენში ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვებიან სოფლად ექიმბაშ-ბებია-ბებრუხანები, რომელთაც თავიანთი უხეში ექსპერიმენტებით, შელოცვებითა თუ სხვა საშუალებებით მსხვერპლად შეუწირავთ არა ერთი ახალგაზრდა ქალის სიცოცხლე და ან მშობიარობის ხელოვნურად გართულებით გამოუწვევიათ სრულიად ზედმეტი ხარჯები.

ხალხიც ბევრ ადგილას ვერ არის სავსებით განთავისუფლებული მათი ხელებიდან.

გართულებულ მშობიარობის დროს ხშირია შემთხვევა, როდესაც მშობიარე ქალს, ექიმბაში ბებია თავის ჭუჭყიან ფრჩხილებს და ჟანგიან „სადოსტაქრო" დანას ახმარს. რა თქმა უნდა ამის შემდეგ თვით დახელოვნებული ექიმის დახმარებაც ხშირად უნაყოფო ხდება და დედაკაცი მსხვერპლად ეწირება ექიმბაშის უვიცობას. თემებში სპეც-ბებია-ქალების [illegible] გამო და იმის გამო რომ, რაიონული საავადმყოფოები დაშორებული არიან მოსახლეობას, [illegible] ქალის პატრონი იძულებული ხდება მიმართოს სოფლის ბებიებს. არის შემთხვევები, როდესაც მათი „დახმარება" იწვევს დედაკაცის სისხლის მოწამვლას.

— იმ ადგილებში, სადაც ჯანმრთელობის განყოფილებას ჰყავს დაქირავებული ბებია —ხალხიც სიამოვნებით შორდება სოფლის ბებიებს, (მით უმეტეს, რომ იციან ახლად დანიშნული ბებია ჯამაგირიანია და მისგან არაფერს აიღებს) სამწუხაროდ ბებია-ქალების შტატი მაზრაში ძალიან მცირეა (სულ ცამეტია) და ისინიც, უმთავრესად, ცენტრალურ საავადმყოფოებსა და ამბულატორიებში მუშაობენ. თემებში, ბებია-ქალები ექიმის თანაშემწეები ნაკლებ არ არიან საჭირო. ბებია-ქალებს შეუძლიათ დახმარება აღმოუჩინონ ქალებს ზაფხულობით, მალარიის საწინააღმდეგო ნემსების კეთებითაც.

საჭიროა დიდ თემებში მაინც ჯამაგირიანი ბებია-ქალების დანიშვნა, რაიც ხელს შეუწყობს ქალთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

ხვე—ნი.

პროფკავშირებში

ყველა პროფსაბჭოს, სამ პროფბიუროებს და კავშ. ც. ბ.

შ. ს. კ. მუშაობის პრაქტიკაში ჩვენ ხშირად ვხვდებით მათი დადგენილებების ზედამხედველობითი წესით დარღვევას, რადგან ისინი ეწინააღმდეგებიან შრომის კანონმდებლობას და კოლხელშეკრულებას. ეს გარემოება უმთავრესად იმით აიხსნება რომ შ. ს. კ. მუშაობას კავშირების და მისი ძირითადი ორგანოების მიერ არ ექცევა სათანადო ყურადღება, შ. ს. კ. მუშათა ფრაქციაში ხშირად იგზავნებიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც ნაკლებად ერკვევიან შრომის კანონმდებლობაში და გასაკვირველი იქნება. თუ მათ ვერ შესძლეს საკითხის სათანადოთ გატარება.

შ. ს. კ. მუშაობით მომუშავენი პრაქტიკულად ეცნობიან შრომის კანონმდებლობას. ფაბქარხკომებმა უნდა გამოიყენონ შ. ს. კ. ნამუშევარი ამხანაგები ამავე მიზნისათვის, ეხლა კი შ. ს. კ. იგზავნებიან სულ ახალი და ახალი ამხანაგები, რომელთაც კიდევ მოუნდებათ კანონმდებლობის გასაცნობად დროს დაკარგვა და სანამდე მომუშავე შეისწავლიდეს კანონმდებლობას ბევრი საკითხები არ გადიჭრება სწორად.

შ. ს. კ. ადმინისტრაციის ფრაქცია არ განიცდის ხშირ ცვლილებებს, ასე რომ ეს გარემოებაც არის მისაღები მხედველობაში, რადგან მეორე მხარე ყოველთვის მეტი მომზადებული იქნება.

შ. ს. კ. წინადადებას ვაძლევთ პროფორგანოებს მეტი ყურადღებით მოეპყრან შ. ს. კ. მუშათა ფრაქციის შერჩევის საკითხს. კომისიაში გაგზავნონ, რაც შეიძლება, მეტად მომზადებული ამხანაგები. რომლებიც ამავე დროს სარგებლობენ ავტორიტეტით ფართო ფენებში, შ. ს. კ. მუშათა ფაბქარხკომის არჩევის ვადამდე, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და თუ შ. ს. კ. მუშათა ფრაქციის წევრები ფაბქარხკომის სულ ახალი არჩევნების შემდეგ ისევ იქნებიან არჩეულნი ფაბქარხკომში მათი კანდიდატურა ,როგორც მომზადებული ამხანაგების, იქონიონ მხედველობაში.

გევალებათ მისცეთ სათანადო დირექტივები ფაბქარხკომებს.

ს. პ. კ. ს. თავმჯდომარე გ. ყურულიშვილი.

ს. პ. კ. ს. სატ.-საეკ. განყ. გამგ. მოადგილე გოდაბრელიძე.

პროფმუშაობის ქრონიკა

სამხრეთ ოსეთის პროფსაბჭოში

— **კურორტებზე ადგილების დასათმობათ** სამხრეთ-ოსეთის პროფსაბჭომ სთხოვა საქ. პროფსაბჭოს კურორტებზე 45 ადგილის დათმობის შესახებ.

— **მუშაობა ახალგაზრდათა შორის.** ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობამ დაავალა ახალგაზრდათა შორის მომუშავეს, ახლო მომავალში მოხსენება გააკეთოს თავის საქმიანობაზე ცენტრალურ გამგეობაში.

— **თვითმფრინავი „წითელი ტრანსპორტელი".** ც. გამგეობამ აირჩია კომისია ამხ. ამხ. ფრუიძის, ანთიძის და პაიჭაძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა სახსრის გამოძებნა თვითმფრინავი „წითელი ტრანსპორტნიკის" ასაგებად.

მიწა-ტყის კავშირში

— **საწარმოო წრეების დაარსება.** მიწატყის კავშირის დადგენილებით, საწარმოო წრეები მოეწყო ყარაიაზში, მუხრანში და სკრაში.

— **პროფწრე.** წინანდალის და ნაფარეულის საბჭოთა მამულების ადგილკომებთან მოეწყო პროფმოძრაობის შემსწავლელი წრეები.

— **ნარდი მუშაობის სისტემა.** ტყის მრეწველობაში შემოღებულია ნარდი მუშაობის სისტემა. შრომის ნაყოფიერება წინა თვეებთან შედარებით ერთი-ორად გაიზარდა.

◆ **ურთიერთ დამხმარე სალარების დეცენტრალიზაცია.** მიწა-ტყის კავშირმა დაადგინა დეცენტრალიზაცია უყოს კავშირთან არსებულ საქალაქო გაერთიანებულ ურთიერთ დამხმარე სალაროებს.

◆ **მუშაობა მოჯამაგირეთა შორის.** მიწა-ტყის კავშირმა ორთაჭალის, ვერის და დიდუბის რაიონში მოჯამაგირეთა შორის სამუშაოდ გამოჰყო ამხ. ბუაჩიძე.

◆ **ინსტრუქტორის გაგზავნა.** ამავე კავშირმა ბათომში მიავლინა ცენტრალური გამგეობის ინსტრუქტორი ამხ. კოდუა ადგილობრივ მიწა-ტყის კავშირის მუშაობის გასაჯანსაღებლად.

◆ **მუშაობა ქალთა შორის.** მიწა-ტყის მუშაკთა კავშირმა ქალთა შორის მუშაობის გასაცხოველებლად გამოჰყო სპეციალური კომისია.

◆ **რადიომიმღების მოწყობა.** რეზინოტრესტის საცდელ სადგურთან განზრახულია მოეწყოს რადიომიმღები.

ფეიქართა კავშირში

◆ **პიონერთა შორის მუშაობისათვის.** პიონერთა შორის მუშაობის გასაუმჯობესებლად გამგეობამ დაადგინა გამოჰყოს პასუხისმგებელი ხელმძღვანელი.

◆ **წიგნსაცავი.** ფეიქართა კავშირთან მოეწყო წიგნსაცავი, საიდანაც მუშებს სახლში წასაკითხავად მიეცემათ წიგნები.

გამოვიდა და იყიდება
ჟ უ რ ნ ა ლ ი
„სოფლის კომუნისტი" № 3
შ ი ნ ა ა რ ს ი:
ფ. მახარაძე—პარტიული მუშაობის შესახებ სოფლად.
გ. მუშიშვილი—ახალი საბჭოები და პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი.
აკ. ჭყონია—გლეხობა და პირველი მაისი.
ივ. ბუაჩიძე—სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები.
ვ. კარპინსკი—რა არის სოციალისტური აღმშენებლობა.
ჟ. ფრანგიშვილი—სასოფლო-მეურნეობა და კომკავშირის ამოცანები.
ადგილობრივი ცხოვრება:
ამბერკი ურუშაძე—სოფლის უპარტიო აქტივი და პარტიული ხელმძღვანელობა.
მელ ქაძე—პარტიული მუშაობა თემებში.
ა. დუშეთელი—საზოგადო და პარტიული მუშაობა დუშეთის მაზრაში
გ. ლეშკაშელი—სოფლის კომუჯრედების საქმიანობა.
ხ. ვ-ძე—წერილი ზემო-სვანეთიდან.
ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა:
ფ—ნი: თედო ღლონტი—ეროვნული საკითხი და საქართველოს ფინანსები.
გლეხიშვილი—არის თუ არა უკან დახევა ახალი ეკონომიური პოლიტიკა.
იქსი: ვ. ლოხვევი—სახელმწიფო მრეწველობა.
ობოლი გლეხი—რა სთქვა მე-14 პარტიულმა ყრილობამ გლეხობის შესახებ.
ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერლებს და გაიყიდება ყველგან. ნ. 1184 2—2

საფოსტო კავშირი

ტელეგრაფის ახალი აპარატები

ფოსტა-ტელეგრაფის ა.-კ. საოლქო სამმართველო უკვე შეუდგა დიდ სამუშაოების წარმოებას სატელეგრაფო-სატელეფონო კავშირის გასაფართოებლად ამიერ-კავკასიაში. ყველა საფოსტო სადგურებზე მორზეს აპარატის ნაცვლად შემოღებული იქნება ბოდოს ახალი სისტემის აპარატები, რომელიც საშუალებას იძლევა ერთს მავთულზე ერთ და იმავე დროს იმუშაოს ოთხმა აპარატმა. ამჟამად სწარმოებს მთავარი ხაზების თანდათანობითი გადაყვანა ამ აპარატებზე.

ახალი აპარატები საგრძნობლად ადიდებენ, როგორც დატვირთვას, ისე დეპეშის გადაცემის სისწრაფეს.

ტელეფონის ხაზები სოფლად

დამტკიცებულია სატელეფონო ქსელის გაფართოების გეგმა სოფლად. ამ გეგმის თანახმად, გაყვანილი უნდა იქნეს ტელეფონის ხაზი 800 კილომეტრის მანძილზე სამხრეთ ოსეთის, აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკების სოფლებში და აზერბეიჯანში. მუშაობა უკვე დაიწყო და დამთავრდება მიმდინარე წლის ოქტომბერში.

განათლების ფრონტზე

სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი

განათლების კომისარიატს განზრახვა აქვს ლეჩხუმის მაზრაში გახსნას სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი.

განთავისუფლება თანამდებობიდან

განათლების კომისარიატის დადგენილებით, ს. კაკაბაძე განთავისუფლებული იქნა ცენტროარქივის გამგის თანამდებობიდან.

ეროვნულ უმცირესობათა საბჭოში

ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს თავმჯდომარედ განათლების კომისარიატის დადგენილებით, დაინიშნა ამხ. **მარიამ ორახელაშვილი**, ხოლო იმავე ეროვნულ უმცირესობათა განყოფილების გამგედ **ნ. მახარაძე.**

ბაქოს პედაგოგიურ ინსტიტუტში

განათლების კომისარიატმა აიღო 2 ადგილი სტიპენდიანტებისათვის.

თურქული შრომის სკოლა

საქართველოში არსებულ თურქული შრომის სკოლებისათვის, განათლების კომისარიატმა აზერბეიჯანში განათლების კომისარიატს სთხოვა 10 მუსულმანი მასწავლებლის გამოგზავნა.

სკოლების გამოკვლევა

განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა, აზერბეიჯანის განათლების კომისარიატთან შეთანხმებით, მოახდინოს ზაქათალის ოლქში არსებულ ქართული სკოლების გამოკვლევა.

კოლექტიური ხელშეკრულება

განათლების კომისარიატმა დაამტკიცა განათლების მუშაკთა კავშირთან დასადები კოლექტიური ხელშეკრულების პროექტი.

გეოლოგიური ინსტიტუტი

მთის ქანების გამოკვლევა

ამ ახლო ხანში დაარსებულ საქართველოს გეოლოგიურ ინსტიტუტს უკვე გამომუშავებული აქვს სამუშაო გეგმა მიმდინარე წლის ზაფხულისათვის. პირველ რიგში ინსტიტუტს განზრახვა აქვს შეუდგეს ძირულის ქედის და რაჭა-ლეჩხუმის მთის ქანების გამოკვლევას.

ძირულის ქედი, რომლის შესწავლაც დიდს სამეცნიერო და პრაქტიკულ ინტერესს შეიცავს, დღემდე ყველა მთებზე ნაკლებად არის გამოკვლეული გეოლოგიურ თვალსაზრისით.

როგორც წარსულში მოხდენილი შემთხვევითი გამოკვლევები მოწმობენ ძირულის მთის წიაღში უხვად მოიპოვება გრაფიტის, ბარიტის, სპილენძის, მაგნეტატის, ინფუზორიტის, ოხრის და სხვა მინერალური სიმდიდრის მადნები.

მეცნიერული თვალსაზრისით ძირულის მთის გამოკვლევა ნათელს მოჰფენს ბევრს ისეთ კითხვებს, რომელთაც კავშირი აქვთ კავკასიის გეოლოგიურ აგებულებასთან, რადგან ძირულის მთა მთელს საქართველოში წარმოადგენს ერთ-ერთს გრანიტის კლდის მასივს, რომელიც უძველესი ხნის მთის ნიმუშად ითვლებოდა მთელს მსოფლიოში. როგორც გეოლოგები ფიქრობენ, ძირულის მთას უდიდესი როლი უნდა ეთამაშოს წინად ზღვის და ხმელეთის გაწესრიგებაში.

მუშაობა ძირულის მთის მასივის გამოსაკვლევად დაიწყება ზაფხულის დამდეგს.

მიმდინარე წლის ზაფხულშივე გეოლოგიური ინსტიტუტი იწყებს რაჭის და ლეჩხუმის მთების გადაღებას. შედგენილი იქნება ამ კუთხეების ზოგიერთ მთიანი ადგილების განაჭრები (ე. ი. მთის ჯიშების ურთიერთ მდებარეობის სქემა).

სამუშაოების წარმოება რაჭა-ლეჩხუმში დავალებული აქვს პროფ. ალ. ჯანელიძეს.

რკინის გზებზე

შემთხვევები.

სადგ. იაშმაში.

20 აპრილს 2 საათზე და 40 წუთზე პირველი ხაზიდან მატარებელ № 22-ის გავზავნის დროს უკანიდან დაეტაკა მეორე ხაზზე მომავალი მატარებელი № 2040.

დაიმტვრა სამი ვაგონი, ორთქლმავალი კი გადავარდა ლიანდაგიდან. მოძრაობა შეჩერებულ იქნა. შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებელი და მოძრაობა აღადგინეს მესამე ხაზით 3½ საათ. შემდეგ. პირველი ხაზი დაზიანებულ იქნა 32 მეტრის მანძილზე და მეორე—38 მეტრის მანძილზე.

ორთქლმავალი და ვაგონები ამოღებულ იქნენ 21 აპრილის 12 საათზე.

უბედურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

სადგ. სალიეთში.

ამავე დღეს 4 საათზე და 40 წუთზე მესრის მიერ შეცდომით დაკავებულ ხაზზე მიღებულ იქნა მატარებელი. კონდუქტორების და მემანქანეთა მიერ სასწრაფოდ მიღებულ ზომებით მატარებლების დატაკება თავიდან იქნა აცილებული.

ა.-კ. სახ. კომისართა საბჭოში

შეღავათი კოოპერატივებს

ა.-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, სოციალურ დაზღვევის საქმეში შეღავათი მიენიჭა მხოლოდ სამომხმარებლო კოოპერატივებს, რომლებიც გაერთიანებული არიან ა.-კ. კოოპერატივთა კავშირში.

„ცენტროკრობიზოლის“ ლიკვიდაცია

კომისართა საბჭომ აუცილებლად სცნო, მოხდეს „ცენტროკრობიზოლის“ თბილისის განყოფილების ლიკვიდაცია. განყოფილების საქონელი განაწილებული იქნება სათანადო ორგანოებს შორის.

ფასები აბრეშუმის თესლზე

ა.-კ. კომისართა საბჭოს დადგენილებით აბრეშუმის თესლზე დაწესებული იქნა საბაზრო ფასებათ საქართველოსათვის 2 მ. 35 კ., ხოლო სომხეთისათვის—2 მ. 20 კ. მისხალი.

ქობულეთის საბაჟო

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე ქობულეთის საბაჟოს აღდგენის შესახებ.

სახალხო სახლი სომხეთში

კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ა.-კ. ფინსახკომს სომხეთის ცაკს მისცეს კრედიტის სახით 100.000 მან. ერევანში სახალხო სახლის ასაგებათ.

გადასახადების არგადამხდელების დაპატიმრება და ქონების გაყიდვა

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილების პროექტი სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადების შემოუტანლობის გამო დამნაშავეთა დაპატიმრებისა და მათი ქონების საჯაროთ გაყიდვის შესახებ.

სოც. უზრუნველყოფა

19 აპრილს, საღამოს 6 საათზე, სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში შესდგა თათბირი სოც. უზრუნველყოფის სხვადასხვა დარგების მუშაობის შესახებ. თათბირს თავმჯდომარეობდა ამხ. კ. ხომერიკი.

თათბირზე მოსმენილ იქნა რამოდენიმე საყურადღებო მოხსენება, რომელთაგან განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საინვალიდო სახლების გამგეების მოხსენებამ. მოხსენებებში აღნიშნული იყო საინვალიდო სახლების დღევანდელი მდგომარეობა და წარმოდგენილ იქნა პრაქტიკული მოსაზრებანი სახლების გამოსაცხოველებლად.

თათბირმა მოისმინა აგრეთვე საკლუბო კომისიის მოხსენება და გამოიმუშავა კონკრეტიული ღონისძიებანი სათამაშო დაწესებულებათა მომავალი მუშაობის შესახებ.

სოც. უზრ. კომისარიატის საორგანიზაციო-სინსტრუქტორო განყოფილებამ წარუდგინა თათბირს ახალი გეგმა, თუ როგორ უნდა აწარმოონ საინვალიდო ნადებმა და არტელებმა მუშაობა. დასახულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებებისა ნადების გასაჯანსაღებლათ.

დასასრულ თაბირმა მოისმინა სოც. უზრ. თბილისის განყოფილების გამგის მოხსენება თბილისის მაზრაში სოციალური უზრუნველყოფის საქმის მდგომარეობაზე და სხვა მიმდინარე საკითხები.

სასამართლო

ხულიგნობისათვის.

სახალხო სასამართლომ მოქ. **ზაზუნაშვილს** ხულიგნობისათვის მიუსაჯა ორი თვით თავისუფლების აღკვეთა.

მოქ. ჭანტურიძის საქმე.

სასამართლოში ზის ახალგაზრდა ბრალდებული **ჭანტურიძე.**

სასამართლომ 1 ნახ. წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა მოქ. **ჭანტურიძეს,** რომელსაც ბრალად ედებოდა სიმთვრალის დროს ადამიანის მოკვლა.

ივანე იაიჩნიკოვის საქმე.

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. **პაპავას** თავმჯდომარეობით გაარჩია **ივანე იაიჩნიკოვის** საქმე.

იაიჩნიკოვს ბრალად ედო ივანე დობროვსკის მოკვლა.

საქმის შინაარსი ასეთია: ბრალდებულის და—ფროსია იაიჩნიკოვის ასული მითხოვილი იყო ივანე დობროვსკიზე. რამდენიმე თვე კარგად ცხოვრობდნენ. შემდეგ დობროვსკიმ დაიწყო ლოთობა და ოჯახს ყურადღებას არ აქცევდა. ფროსია იაჩნიკოვამ მიატოვა ქმარი და მშობლებთან წავიდა. ეს შეურაცხყოფად მიიჩნევია დობროვსკის და ეძებდა მოხერხებულ დროს სამაგიეროს გადახდისათვის. ერთ დღეს დობროვსკი სტუმრად ეწვია ყოფილი ცოლის ძმას იაიჩნიკოვს და ბევრი სცემა. იაიჩნიკოვმა სულიერი მღელვარების და მძიმე შეურაცხყოფის ნიადაგზე რევოლვერით მოჰკლა დობროვსკი.

სასამართლოში იაიჩნიკოვმა თავი სცნო დამნაშავედ.

სასამართლომ, მიიღო რა მხედველობაში, რომ იაიჩნიკოვს მკვლელობა არ ჩაუდენია წინასწარი განზრახვით, არამედ სულიერი მღელვარების დროს—მიუსაჯა მას ორი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

სტეფანე ფილიშვილის საქმე.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩა **სტეფანე ფილიშვილის** საქმე.

ფილიშვილს ბრალდებოდა 6 წლის ბავშვის გაუპატიურების ცდა.

სასამართლომ ფილიშვილი სცნო უდანაშაულოდ და გაამართლა.

ქრონიკა

◆ **ქიაზიმ-ფაშა და ამხ. როშალი თბილისში.** გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის კონსული ყარსში ამხ. როშალი და ოსმალეთის დივიზიის უფროსი ქიაზიმ-ფაშა.

მანუფაქტურის გატანა.

ვინაიდან დიდი განსხვავებაა ფართლის ფასებში თბილისსა და რუსეთის და უკრაინის ქალაქების ბაზრებზე, ამ უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია ფართლის გატანა თბილისიდან და, საერთოდ, ამიერ-კავკასიიდან, საბჭოთა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებში.

უმეტეს შემთხვევაში გააქვთ კამვოლის ნაწარმოები ქსოვილები და სათეთრეულო მასალა.

სასოფლო - სამეურნეო იარაღების გამოწერა.

ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხან-ამ უცხოეთიდან გამოიწერა დიდი რაოდენობით ს.-სამ. იარაღები და მასალები. მათ შორის: 100.000 ავსტრიული ცელი, 80.000 ფუთი შაბიამანი, 60.000 ფუთი გოგირდი, 4 მილიონი მეტრი ამერიკული ლერწი, 20.000 ცალი სეტყვის წინააღმდეგ საბრძოლველი შუშხუნა. ნაწილი გამოწერილი მასალებისა უკვე მიღებულია.

აბრეშუმის პარკის გატანა.

მიმდინარე საოპერაციო წლის პირველ მეოთხედში საზღვარგარეთ გატანილ იქნა 252.400 მანეთის აბრეშუმის პარკი.

აბრეშუმის პარკის დამზადების კამპანია.

მიმდინარე წლის დამზადების კამპანიისათვის სააქციო საზოგ. „აბრეშუმ“-მა მოაწყო აბრეშუმის სახმობები 46 პუნქტში. საზოგადოება მეაბრეშუმეთ ხელსაყრელ ფასებში ურიგებს კარგი ხარისხის აბრეშუმის თესლს. უკვე დარიგებული აქვს მას 100.000 კოლოფამდე.

სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოში.

◆ **ქსანის კრამიტის ქარხანა.** სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გააფართოვა ქსანის კრამიტის ქარხანა.

◆ **ახალი ქარხნის აგება.** საბჭომ ეკონომიურ სამმართველოს დაავალა სატყეო მრეწველობის ტრესტთან ერთად გამოარკვიოს ქსანში ხე-ტყის სახერხი ქარხნის აგების შესაძლებლობა.

საკურორტო კამპანია.

◆ **საკურორტო კომისია.** საკურორტო-გადამრჩევი კომისია უკვე შეუდგა აგარაკებზე და დასასვენებელ სახლებში გასაგზავნ დაზღვეულების შემოწმებას.

◆ **„არაზინდო“-ში** მთელ ამიერ-კავკასიისათვის გამოყოფილია 200 საწოლი, მათ შორის საქართველოსათვის—125, აზერბეიჯანისათვის—72 და სომხეთისათვის—3.

◆ **ჩრდილოეთ-კავკასიის სანატორიუმებში** საქართველოს სოც. დაზღვევის სამმართველო გზავნის 27 კაცს, აქედან კისლოვოდსკში—12, ესენტუკში—9 და ჟელეზნოვოდსკში—6.

◆ **საზამთრო აგარაკებზე** გაგზავნილ დაზღვეულ ავადმყოფების უკანასკნელი წყება დაბრუნდება აპრილის დამლევს.

◆ **ა.-კ. სოც. დაზღვევის სამმართველომ** დაადგინა დელიჟანში (სომხეთშია) ამიერ-კავკასიიდან გაგზავნოს 135 დაზღვეული.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **დედათა და ბავშვთა სახლი.** ახლო მომავალში თბილისში გაიხსნება დედათა და ბავშვთა სახლი, სადაც მოთავსდება 100 ბავშვი.

◆ **მუზეუმები.** ჯანმრთელობის კომისარიატს განზრახვა აქვს გააერთიანოს თავისი და შრომის კომისარიატის სოციალური ჰიგიენის მუზეუმები.

◆ **ახალგაზრდათა ჯანმრთელობის დაცვა.** ჯანმრთელობის კომისარიატთან არსდება განსაკუთრებული კოლეგია, რომელსაც დაევალება უხელმძღვანელოს ფიზკულტურის წრეებში დაბანდებულ ახალგაზრდობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

სხვადასხვა.

განათლების მუშაკთა სახლში. დღეს, 22 აპრილს, საღ. 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ამხ. კალ. გიგინეიშვილის მოხსენება—„ამინდის პროგნოზი და სუსხიან ზამთრის მიზეზები საქართველოში“.

ახალი წიგნი

მეთაურთა სკოლის ინიციატივით სამხედრო გამომცემლობას გადაეცა გამოსაცემად შიფრესის წიგნის ქართული თარგმანი „პოლიტიკური მუშაობა ტერიტორიალურ ნაწილებში“.

შემთხვევები

◆ **დაჭრა.** 20 აპრილს პარუნ მატეოსიანცმა დანით მძიმედ დასჭრა თავისი მეუღლე მანია მატეოსიანცი. დამნაშავე შეიპყრეს.

◆ **ავტომობილის ქვეშ.** პლეხანოვის პრ. 20 აპრილს დამზღვევ სალაროს ავტომობილმა გაიტანა 6 წლის ბავშვი მარუსია ტელაროვი. შოფერი გიორგი მდივანი შეიპყრეს.

◆ **რომანიულ ნიადაგზე.** 20 აპრ. მიხეილ თვალაძემ დანით დასჭრა თავისი ცოლი ვერა თვალაძე.

◆ **კიდევ ავტომობილის მსხვერპლი.** 19 აპრ. დილით სადგურის ქ. მოგუშაგე მილიციელს ქაჯაიას დაეჯახა კერძო ავტომობილი და მძიმედ დააშავა. შოფერი როზემბაუმი შეიპყრეს.

◆ **ქურდობა.** 19 აპრილს რუსთ. გამზირი № 14 გაქურდეს ალექსანდრე ვარდაშევის ბინა.

— ამავე დღეს კლარა ცეტკინის ქ., № 3, გიორგი ანანოვის ბინიდან მოიპარეს 1200 მანეთის ნივთები.

— 20 აპრილს არსენალის შესახვ., № 5, გაქურდეს ბაგრატ კაკოიანცის ბინა.

— 19 აპრილს გოგოლევის ქ., № 45, გაქურდეს ქსენია შკოლინის ბინა.

ხელოვნება

ბარბალე ალექსი-მესხიშვილის გასტროლები

20 აპრილს რუსთაველის თეატრში დაიწყო გასტროლები ბარ. ალექსი-მესხიშვილისა.

ამ დღეს წარმოდგენილ იქნა ფრანგული პიესა „პარიზი—მეექვსე სართული“.

ეს ანეგდოტურ შემთხვევაზე აგებული პიესაა. როგორც სჩვევიათ ფრანგულ პიესებს, დაწერილია მსუბუქი ტონით და ვითარდება სცენიურად. ბოლოვდება კეთილად: ქორწილითა და ბედნიერებით.

პიესა ხალისიანია, მაგრამ უშინაარსო. ამასთან სიყალბეც ეტყობა პიესის უმთავრეს გმირ-ქალს—მაიკოს: პარიზში ჩასული ქალი, საექიმო ფაკულტეტზე მყოფი, ამასთან სამი წლის განმავლობაში ქმართან მცხოვრები შეუძლებელია, ისეთი მიამიტი იყოს, როგორც ეს გამოყვანილია პიესაში.

შესრულების მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პირველ მოქმედებას: მართალია, ტექსტში არავითარი შეუფერებლობა არ არის, მაგრამ შესრულებაში იმდენ გადაჭარბებულ „ერთგულობას“ იჩენენ დაუმთავრებელი ხვევნა-კოცნით, რომ ძალაუნებურად გადადის პორნოგრაფიაზე და შარჟზე.

აქ უეჭველად აკლია „გონიერი ზომიერება“.

ეს ნაკლი კი დაუშვებელია დღევანდელ ხანაში გაწვრთნილ ხელოვნების მსახურისთვის.

სხვაფრივ შესრულება ყოვლად სცენიური და მხატვრული იყო.

თვითონ ალექსი-მესხიშვილი არსულებდა მაიკოს როლს. მას უკვე იცნობს თბილისის საზოგადოება. მკვირცხლი, ხალისიანი და მოხერხებული — სცენიურ განსახიერებაში. მოქნილი და ფერადოვანი—მეტყველებაში, გამოთქმაში. ყველაფერ ამას კი ალამაზებს ბუნებრივი გულითადობა და რაღაც მხატვრული სიგიჟმაჟე.

ამ საღამოსაც ასეთი იყო.

შესანიშნავი იყო გრაფ დე-ვარინიის როლში—სმირანინი.

მტკიცედ აღებული ტონი, საერთო სტილი და ღირსეული დიქცია იმის თამაშს აძლევდა დამთავრებულ მხატვრულ იერს.

ცოცხლად ჩაატარა ჟანის როლი—ვასილიევმა.

არა უშავდარა ვორონოვს დე-ლა-ბუდელერის როლში. მხოლოდ ზოგ ადგილას გამოთქმა მისი ბუნდოვანობდა.

დადგმაც საკმაოდ მხატვრული და თავისებური იყო.

ლელი.

ხელოვნების ქრონიკა.

◆ **„დეზერტირკა“-ს გასამართლება.** კვირას „ჰაიარტუნ“-ის თეატრში სომხურ ენაზე მოხდება „დეზერტირკა“-ს ლიტერატურული გასამართლება.

◆ **ვაგნერის მუსიკის საღამო.** დღეს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ვაგნერის მუსიკის საღამო საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

◆ **მიხეილ კავსაძის** სახალხო მომღერალთა გუნდი ახლო ხანში რუსთაველის თეატრში გამართავს კონცერტს.

◆ **ვ. გარრიკის საღამო-წარმოდგენა** გაიმართება კვირას, 25 აპრილს წითელ თეატრში. წარმოდგენილი იქნება „ჰემლეტი“. ჰამლეტის როლს შეასრულებს ვ. გარრიკი.

◆ **„ზენაგამი“.** თბილისში დაარსდა ბეჭდვითი ნაწარმოებთა გამავრცელებელი ამხ-ბა (ზენაგამი). ამხანაგობას განზრახვა აქვს ხელი შეუწყოს ქართული წიგნების გავრცელების საქმეს როგორც თბილისში, ისე პროვინციებში.

◆ **„ვილჰელმ ტელლ“-ი.** ახლო ხანში თბილისის კინოებში აჩვენებენ ახალ სურათს „ვილჰელმ ტელლ“-ს, რომელშიაც მონაწილეობს ცნობილი კინო-მსახიობი კონრად ვეიდტი.

◆ **მუშათა ცენტრალური კლუბი** გადაეცა მელითონეების, რკინისგზელების და გემოკვებების პროფკავშირს.

წერილი რედაქციის მიმართ.

გაზეთ „კომუნისტი“-ს ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო ე. წ. „რამი“-ს (რევოლიუციონური ახალი მწერლობა) დეკლარაცია, რასაც სხვებთან ერთად ჩვენც ვაწერდით ხელს. დღეიდან ვაცხადებთ, რომ სხვადასხვა პრინციპიალურ უთანხმოებათა გამო, არავითარი კავშირი არა გვაქვს ამ ჯგუფთან.

ვრჩებით რა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის რიგებში, შეერთებულ ძალით შევეცდებით ვიმუშავოთ მის გასამაგრებლად.

1. კარლო კალაძე, 2. ალიო მაშაშვილი, 3. კონს. ლორთქიფანიძე.

მეცნიერება და ტეხნიკა

გამქრალი კულტურა.

არქეოლოგების დაუღალავი შრომების წყალობით ცენტრალური ამერიკის და მექსიკის უდაბურ ტყეებში აღმოჩენილ იქნა მაიების ტომის უძველესი ცივილიზაციის ნაშთები.



სურ. 1. მაიების წელთაღრიცხვა

სამწუხაროდ, ამ ქვეყნების პირველ დამპყრობლებმა, კათოლიკურ სამღვდელოების ზეგავლენით, გაანადგურეს ამ ხალხის კულტურის ძეგლები. განსაკუთრებით დაზარალდნენ ხელთნაწერები, რომლებიც მთლიანად დაიღუპნენ ცეცხლში. მხოლოდ ახლა, დაუღალავი შრომით და დიდი წვალებით, ზოგ ძეგლებზე აღმოჩენილ წარწერების და შემთხვევით გადარჩენილ ნაწერების შედარებით შესაძლებელი ხდება იმ საიდუმლო ნიშნების გაგება, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ ცენტრალურ ამერიკაში მრავალი ათასი წლის წინათ, შესაძლებელია ეგვიპტის კულტურაზე ადრე, არსებობდა ცივილიზაცია, რომელსაც, რა გასაოცარადაც არ უნდა მოგვეჩვენოს ეს ჩვენ, ბევრი მსგავსება და ნათესაობა აქვს ეგვიპტის კულტურასთან.

ჯერ-ჯერობით შესაძლებელი შეიქნა სისწორით გამორკვევა იმ სისტემის, რომელიც საფუძვლად ედო მაიების წელთაღრიცხვას. ეს სისტემა, მეტად რთული, ამტკიცებს, რომ ასტრონომიულ დაკვირვებათა საქმე მაიების სამეფოში არაჩვეულებრივ სიმაღლეზე იყო დაყენებული.

დღე გამოიხატებოდა სიტყვით—„კინ“. 20 დღე შეადგენდა თვეს—„უინალს“. 360 დღე, ანუ 18 თვე (20 დღე თვეში) შეადგენდა წელიწადს—„ტუნ“ 20 წელიწადს ანუ 7.200 დღეს ეწოდებოდა „კატუნ“. 20 ასეთ ოცწლედს, ან 144.000 დღეს ეწოდებოდა „ბაკტუნ“. აქ მოყვანილ სურათზე ნაჩვენებია, თუ როგორ აღნიშნავდენ მაიები ამ ციფრებს.

ასეთივე სისტემაზე იყო აგებული მაიების ანგარიში.

ერთი—აღინიშნებოდა წერტილით, 2—ორი წერტილით, სამი—სამით, 4—ოთხით, 5—ხაზით, ექვსი—ხაზით და ერთი წერტილით; 15—სამი ხაზით, ოთხი ხაზი შეადგენდა ოცს ანუ, როგორც წელთაღრიცხვაში, ერთ უინალს.

მაიების მოგვები ზოგჯერ ციფრების მაგიერ სურათებს ხმარობდენ.

მაიების სისტემაში ჩვენი ციფრი 8125 დაიწერებოდა ასე:

8125 შეიცავს 7200=1 კატუნს+925, ეს უკანასკნ. შეიცავს ორ 360=2 ტუნს+205, ეს უკანასკნელი შეიცავს 10-ჯერ 20=10 უინალს + 5, უკანასკნელი შეიცავს 5-ჯერ—1=5 კინს.



სურ. 2. მაიების ანგარიში

მაშასადამე, ციფრი 8125 დაიწერებოდა ასე: 1 კატუნი, 2 ტუნი, 10 უინალი, 5 კინი.

ხის წყალსადენები.

უცხოეთში, განსაკუთრებით, შეერთებულ შტატებში, უკანასკნელ ხანებში ფართედ ვრცელდებიან ხის წყალსადენი მილები. ამერიკელი ინჟენერები მიუთითებენ, რომ ხე ჩქარა ფუჭდება მხოლოდ ჰაერის ზეგავლენით. წმინდა მიმდინარე წყალში კი, ხე, განთავისუფლებული ჰაერის გავლენისაგან, ზოგიერთ პირობებში მაგრდება. გამოკვლეულია, მაგალითად, რომ წმინდა წყალში მუხა 1000 წელიწადს სძლებს.

ხის მილებით ფართედ სარგებლობენ წყლის გამოსაყვანად (როგორც მამოძრავებელი ძალის) მთის ტბებიდან დაბლობებში. გერმანიაში ხის მილებს აგებენ 1400—1500 მეტრის მანძილზე.

ხის მილების გაყვანა, რასაკვირველია, უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ლითონის მილების.

მთლიანი მატარებლები.

იტალიაში ცდის სახით შემოიღეს ახლათ გამოგონებული ე. წ. მთლიანი მატარებლები. როგორც ვიცით, ჩვეულებრივ მატარებლებში ვაგონებს შორის არის მანძილი. მოძრაობის დროს ქარი, და ქარიც რომ არ იყოს, ჰაერი აწვება ვაგონის წინა ნაწილს და აბრკოლებს მატარებლის მოძრაობას. იტალიაში, ამის გამო, შემოიღეს საფარი, რომლითაც დაფარულია გასავალი ვაგონებს შორის.

გამოანგარიშებულია, რომ იმ დროს, როცა ასეთი „მთლიანი მატარებელი“ 500 ვერსს გაივლის, ჩვეულებრივი მხოლოდ 370 ვერსს გაივლის.

ფიზკულტურა

ფეხბურთი.

ოსმალეთის გუნდის ჩამოსვლა.

პირველ მაისს თბილისში ჩამოვა ტრაპეზუნის ფეხბურთელთა გუნდი, რომელსაც ჩამოჰყვებიან ფიზკულტურის სხვა დარგის ჯომარდებიც.

ოსმალების ჩამოსვლის დროისათვის თბილისში გაიმართება ამიერ-კავკასიის ცილობა ძალოსნობაში, კრივში და ჭიდაობაში, რომელშიაც ადგილობრივი ჯომარდების გარდა მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის, ლენინგრადის და ტრაპეზუნის საუკეთესო ძალოსნები, მოკრივეები და მოჭიდავეები.

ოსმალეთის ფეხბურთელთა გუნდი თბილისში გამართავს ორ შეჯიბრს: 2 მაისს ოსმალები ითამაშებენ თბილისის საუკეთესო მუშათა გუნდთან—„არსრაიონთან“, 4 მაისს კი—თბილისის ნაკრებ გუნდთან.

თბილისის გარდა შეჯიბრება გაიმართება ბაქოში და ბათომში.

ნაკრები I—ნაკრები II.

პარასკევს, ნაშუადღევის 4 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე, გაიმართება თბილისის პირველ და მეორე ნაკრები გუნდების შეჯიბრი. გუნდების შემადგენლობა ასეთია:

პირველი ნაკრები: პაპკოვი, ფრუიძე, თუდეევი, ანიკინი, მდივანი, იმნაძე, პარამონოვი, გუნია, გალპერინი, ჟორდანია და ცომაია.

მეორე ნაკრები: ბალდოევი, ფოჩხუა, პიტერსკი, ქსენოფონტოვი, ბლანკმანი, გონელი, ქებაძე, თურქია, სტრელკოვი, იზიუმსკი და ნიკო ამბოკაძე.

კალენდარული შეჯიბრები.

შაბათს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება მეორე კატეგორიის გუნდების შეჯიბრი: „დურუჯი“ II—„პოლიტეხნიკუმი“ II; დასაწყისი დღის 3 საათზე, მსაჯი—სოლტანი.

„რკინისგზის სამმართველო“ — „ავტოკლუბი“, დასაწყისი ნაშუადღევის 5 საათზე, მსაჯი—კრაჩენკო.

კვირას იმავე მოედანზე თამაშობენ:

„პოლიტეხნიკუმი“ — „ლენრაიონი“ და „დურუჯი“—„არსრაიონი“; პირველ მატჩის მსაჯია ამხ. სამუშია, მეორესი—გალპერინი. დასაწყისი დილის 11 საათზე.

იმავე დღეს იქვე გაიმართება მეორე კატეგორიის გუნდების შეჯიბრი; „თბილისის ქვეითა სკოლა“—„მელითონე“ დასაწყისი დღის 3 საათზე, მსაჯი—მდივანი და „არსრაიონი“ II—„დინამო“ II. დასაწყისი საღამოს 5 საათზე, მსაჯი—ორეხოვი.

იურიდიული დახმარება

ვრცელდება თუ არა ჩემზე შრომის სოცდაზღვევის კანონები.

კითხვა

მე ვმუშაობ „ზაჰესის“ საამშენებლო უბნის სამექანიკო ნაწილში გასული (1925) წლის იანვრიდან შტატს გარეშე მუშად. დღიურ ხელფასს ვიღებ ექვს აბაზს(1 მან. 20 კაპ.). თვიურად ზედმეტი მუშაობით ვაკეთებ 40-დან 50 მანეთამდე. ვარ საამშენებლო კავშირის წევრი 1925 წლის მარტიდან (წიგნაკის № 3711) წელიწადი და სამი თვეა, რაც ერთ და იმავე ადგილზე—ვმუშაობდი არც შტატში ვარ და არც დაზღვეული.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, თუ სანამდე უნდა ვირიცხებოდე შტატ გარეშე მუშად? ვსარგებლობ თუ არა მეც იმ უფლებებით, რა უფლებებიც აქვს სხვა მუშებს და შრომის კანონი ვრცელდება თუ არა ჩემზედაც. მომეცემა თუ არა მორიგი შვებულება? მაქვს თუ რა უფლება ვიყო დაზღვეული?

„ზაჰესის“ მუშა მოლი.

პასუხი

შრომის კანონთა კოდექსი ვრცელდება თქვენზედაც, როგორც სხვა შტატში მყოფ მუშებზე. სოცდაზღვევა გეკუთვნით საერთო წესით თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 175-ისა. ამას გარდა, თქვენ, როგორც მუდმივ მომუშავეს (მიუხედავად იმისა, რომ ხართ შტატის გარეშე) შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 114-ის და ამიერკავკ. შრომის სახკომატის დადგენილება № 78-ის—1923 წ. 15 ოქტომბრიდან უნდა მოგეცეთ მორიგი შვებულებაც საერთო წესით.

რა რაოდენობით უნდა მომეცეს დახმარება ავადმყოფობის გამო.

კითხვა

მე ვარ სოფლის მასწავლებელი, ჭლექით ავადმყოფი. თვიური ხელფასი ჩემი უდრის 30 მან. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სამაზრო დამზღვევ სალაროს მიერ მე ვიყავი გაგზავნილი ქალ. სოხუმის სანატორიუმში ორი თვით 1 მარტიდან 1 მაისამდე.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას ჩემი ხვედრი მეკუთვნის სრულ [illegible] ხევარი, როგორც მე მომცეს.

სოფლის მასწავლებელი.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 179 და 180-ისა ყველა დაზღვეულებს (ამ შემთხვევაში თქვენც) შრომის უნარმოკლებულობის (ავადმყოფობის, დასახიჩრების და სხ.) შემთხვევებში (დღიდან შრომის უნარმოკლებულობისა) დამზღვევ სალაროდან ეძლევათ ხელფასი დახმარების სახით მათი თვიური ხელფასის საშუალო რაოდენობით, თუ კი დღიურად მისი საერთო ჯამი არ აღემატება შვიდ ნახევარ მანეთს. ამას გარდა თქვენთვის დახმარების გაცემის დროს დამზღვევ სალაროს უნდა ეხელმძღვანელა საქ. საბ. რესპ. სოცდაზღვევის რესპუბლიკანური სამართველოს ცირკულიარი № 37-ს მუხ. 1—2-ით (1925 წ. 23 ივლისიდან).

ამგვარად დამზღვევი სალარო ვალდებულია მოგცეთ თქვენ ორი თვის დახმარება თქვენი ორი თვის ფაქტიური ხელფასის რაოდენობით.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარასკევს, 23 აპრილს დილის 10 საათზე, შესდგება **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება** წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ სამი დღის განმავლობაში რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. **ბზიაშვილთან:** ჯავახაძე კონსტანტინე, ტატოევი იოსებ, ჭიჭინაძე დავით, წერეთელი ნიკოლოზ, აივაზოვი ნიკოლოზ, ლალიაშვილი დავით, იზატოვი გალიბ-იზატ-ოღლი, მხიტარიანი აპრესი, გოჩიაშვილი რომან, ჯიქაევი მიხეილ, კოპალიანი შიო, ქარუმიძე ალექსანდრე, ტამმე დოვბელიუკი, ავეტისოვი ჰაიკ, მიქელაძე გიორგი, ხელაშვილი ბესო, ცქვიტინაძე სევასტი, ჭანკვატაშვილი სიკო, იორამიშვილი ფებუცა, ახობაძე ალექსანდრე.

— **პროპაგანდისტთა კურსების** ქართულ ჯგუფის მორიგი მეცადინეობა შესდგება დღეს, ხუთშაბათს, 22 აპრილს, საღ. 6 ს. თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

— საქართველოს კომპარტიის **თბილისის კომიტეტის** სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ სამი დღის განმავლობაში თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან: ვარლამ ლუკას ძე მოწონელიძე, ალექსანდრე (სანდრო) სტურუა, ბესარიონ ფავლიაშვილი, ალბერტ მილერი (ბუნკევსკი), ივანე პეტრეს ძე კვარაცხელია, ნიკოლოზ რომანენკო, ალექსი მიხეილის ძე კუზნეცოვი, სერგეი მუსლოვი, ერასტი მათახერია, პ. ს. ოსიპოვი, ა. ნ. პაადანოვი, ოსკარ ოვაკოვი, გ. პ. სახარჩუკი, ვლადიმერ არუშანოვი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) სიღნაღის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმი იტყობინება, რომ ა-წ. 18 აპრილს, სოფელ ანაგაში უდროოდ გარდაიცვალა ძვირფასი და ერთგული ამხანაგი, პრეზიდიუმის წევრი

სერგო აივაზოვი

დასაფლავება მოხდება ქ. სიღნაღში, დღეს, ხუთშაბათს 22 აპრილს.

სიღნაღის სამფინგანის მუშა-მოსამსახურენი გულითადი მწუხარებით იუწყებიან ხელმძღვანელის და ძვირფას მეგობრის

სერგო ემილის ძე აივაზოვის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ქ. სიღნაღში დღეს, ხუთშაბათს, 22 აპრილს.

1—1 ნ.1190

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით, იტყობინება, რომ უდროოდ გარდაიცვალა ერთ-ერთი საუკეთესო, ერთგული და თავგამოდებული საზოგადო მუშაკი, აღმასკომისპრეზიდიუმის წევრი, საფინანსო განყოფილების გამგე

ამხ. სერგო აივაზოვი

დასაფლავება მოხდება ქ. სიღნაღში, დღეს, ხუთშაბათს 22 აპრილს.

თავზარდაცემული და თვალცრემლშეუშრობელნი: ქმარი ნიკოლოზ ბესარიონის ძე ხოჭოლავა, დედა ოლღა ივანეს ასული, მამა მიხეილ ოქროპირის ძე, ძმა მიშა, და მამიდა ივლიტე ქემოკლიძეები, აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ბათომში უდროოდ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

იულია მიხეილის ასული ხოჭოლავასი

დაკრძალვა მოხდება ქ. ბათომში, 23 აპრილს, პარასკევს, 5 საათზე.

2241 1—1

გულდათუთქულნი: მამიდა ცაცუ ხოჭოლავას ასული და ბიძა სპირიდონ ივანეს ძე ენუქიძე შვილებით; მატილდა, სოფიკო, ვანიჩკა და ვალოდია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის უსაყვარლესი

იულიას

უდროვოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება ქ. ბათომში 23 აპრილს, პარასკევს, ნაშუადღევის 5 საათზე.

2250 1—1

დამწუხრებულნი მეუღლე მაშიკო, დედა ივლიტე, დები ბაისო ლასხიშვილისა და ვერა ცეცხლაძისა, დისწულები ანტონ და თამარა ლასხიშვილები, ცოლისძმები ვარლამ და ამბროსი ახვლედიანები ოჯახობით, ცოლისდები მინადორა მდივნიშვილისა და ელენე ახვლედიანი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ს. ვანში 24 აპრილს, შაბათს, იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი ორმოცი დღის თავზედ გარდაცვალებისა ჩვენი დაუვიწყარი

რაფიელ ანტონის ძე ჩიჭვაძის

1 1 სულის მოსახსენიებლად 2240

გულ დათუთქულნი და ღრმა მწუხარე დები ქეთევანი და ელიკო და სიძე ონიფანტე სტურუები, გამზრდელი დეიდა ნინო, დეიდაშვილები პორფილე და მარია კვირკველიები, ეკატირინე (ცაბე) და სამსონ სალაყაია, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 25 აპრილს, უდროოთ დაკარგულ

ივანე (ვანო) მარკოზის ძე

და მისი დედის **ზეხა ფრანგიშვილების**

გარდაცვალების გამო გადახდილი იქნება სოფელ გუგუნაყარში ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

2243

აპოლლო
არტისტო
სოლეი

დღეს და ყოველდღე
მეჟრაბპომ-რუსის საუკეთესო სურათი
გამოშვებული 1926 წ.
დათვური ქორწინება
მხატვრული დრ. 7 ნაწილად, პროლოგით.
პირველი კვირის განმავლობაში თეატრი ვერ იტევდა
სურათის ნახვის მსურველებს.

ანონსი: ამ დღეებში კინო-თეატრებში აპოლლო, სოლეი და არტისტო
„ნამუსი“ შირვან-ზადეს რომანის მიხედვით
ნ. 972 0—19

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ ზედევანიშვილის
სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

50—30

ექიმი ი. დ. თოფურიძე

№ 33. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—1


АЛКОГОЛЬНАЯ ВЫТЯЖКА ИЗ СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ ЖИВОТНЫХ
ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКИЙ ОТДЕЛ ЛАБОРАТОРИИ „ГАЛЕН-МОСКВА“ В МОСКВЕ
СПОСОБ УПОТРЕБЛЕНИЯ
LIQUOR TESTICULORUM SPIRITUOS

ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
„СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ“

ავადმყოფობათა წამლობა
პროფესორ ბრაუნ სეკარის წესის მიხედვით.
„გამონაწური სათესლე ჯირკვლებიდან“.

„გალენ-მოსკოვის“ კოოპერატივის ორგანოთერაპევტიული ლაბორატორიისა. ნებადართულია ჯანმრთ. სახკომისარიატის მიერ № 8362 დამზადებულია პროფესორ ბიუხნერის საშუალების მიხედვით ახალ სათესლე ჯირკვლებიდან.

გამონაწური სითხე ჯირკვლებიდან ძალიან შველის: ნერვების აშლილობას, ყოველი სახის ნევრასტენიას, სხეულის მოდუნებას, სიბერისგან დაავადებას, სხეულის სისუსტეს ავადმყოფობის შემდეგ როგორც მაგალითად: ტიფი, ინფლუენცა, ფთაშანგი, მშობიარობის შემდეგ ავადმყოფობა, არტერიოსკლეროზულ მილების ცვლილება, პოდაგრა, სქესობრივი უძლურების ყოველგვარი სახე. კონსტიტუციონალური დაავადებანი: სისხლის ნაკლულება, ჭლექი, შაქრის ავადმყოფობა, ხერხემლის ანთება და სხ. მრავალი, წამალს ადვილად ითვისებს სხეული, არაფერს ავნებს პირდაპირი ავადმყოფობის გარეშე.

სეკარის სითხე იყიდება სააფთიაქო სამმართველოს სახელმწ. მედიკ. სავაჭროს და წითელი ჯვრის ყველა აფთიაქ. და მაღაზიებში. ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კ., ვინც 4 ფლაკონს და მეტს გამოიწერს, მას გადასაგზავნი ფული არ გადახდება, ფოსტით გაიგზავნება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება ბე 25 პროც. კორესპონდენც. და შეკვეთა უნდა გაიგზავნოს მისამართით: კოოპერატივ „გალენი“ ა.-კ. წარმომადგენლობა, თბილისი, თავისუფლების მოედ. № 2. Адрес: Зак. представит. кооп. „Гален“ Тифлис площадь своб. № 2 Караван-Сарай Тамамшева, вход напротив быв. гостиниц. „Кавказ“. Гл. Скл. для СССР. торг. отд. Кооперат. „Гален-Москва“ Москва ул. Герцена № 5 отд. 3. Б. 1162 0—2.

თანახმად ა.-კ. სახკომსაბჭოს № 4 დადგენილებისა

საქ. ს.მ.უ.ს. ეკონომიურ სამართველოში დამტკიცებულია

სავაჭრო ნიშნები

შემდეგი ფირმებისა:

1. ფ. „ЗАКУТЫЛЬСЫРЬЕ“-სი. მარკად დაწოლილი ყოჩია. წარწერა რუსულადაა „Закутыльсырье“.
2. ფ. **„საქართველოს მარანის“** ტ. გ. პეტრიაშვილის და ი. თანდილაშვილისა. მარკად ქვევრია, რომლის თავზე პატარა ხელადაა, ხოლო გარშემო ხელადისა ყანწია. წარწერა ქართულად და რუსულადაა: კახური ღვინის სარდაფი „საქართველოს მარანი“ გ. ს. პეტრიაშვილი და იგ. ინდიაშვილი“
3. ფ. **„მელაანისა“** არტ. გიორგ. ნონიევისა. წარწერა ქართულად და რუსულადაა: „კახური ღვინო „მელაანი“ ა. ნონიევისა. თბილისი ფურცელაძის ქ. № 20“ სიტყვა „მელაანზე“ გადახლართულია ყურძნიანი ვაზის ტოტი.
4. **ღვინის საწყობი „გემრიელისა“,** ფ. პეტრე სერგოს ძე სტეფანოვისა. მარკად წითელ წრეში ჩაწერილი ვაჟია, რომელსაც ხელში ხელადა უჭირავს, მეორე ხელში კი ჭიქა. წარწერა ქართულად და რუსულადაა: „კახური ღვინო „გემრიელი“ პ. ს. სტეფანოვი თბილისი ჩერქ. ქ. № 59“.
5. ფ. **„ზარია“-ს,** კონიაკის და არაყის საწყობის დავით ბაგდ. დავიდოვისა. არაყის და კონიაკის ნაწარმოებებზე მარკად „ზარია“.

მრეწველ. ინსპექტორი **ა. მეგურიშვილი.**

ნ. 1188 1—1. კანცგამგე **ა. შენგელია.**

ს.ს.ს.რ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამართველო

ამით აცხადებს, რომ შაბათს, 24 აპრილს დღის 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

მსუბუქ ავტომობილის „ფორდისა“.

მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ცნობები ავტო-განყოფილებაში ყოველდღე.

ივანე მაჩაბლის (ყოფ. სერგიევის) ქუჩა № 8.

2249 1—1

თბილისის სასაკლაოებში

გახსნილია გასასყიდათ მორეკილი საქონლის გასაჩერებლად და ღამის გასატარებლად ბაკები-პავილიონები, სადაც დაწესებულია ყველა სხვილ-ფეხა საქონელზე სულზე 20 კაპ. და წვრილფეხაზე სულზედ—5 კაპ. დღეში.

საქონლის მიღება ამ ბაკებში სწარმოებს ყოველ დროს.

აქვე მოწყობილნი არიან: თივის საწყობი, სასადილო და თვითონ საქონლის პატრონებისთვისაც გასაჩერებელი და ღამის სათევი ბინები.

როგორც თივა, ისე ყველა სანოვაგე მსურველებს მიეცემათ მტკიცე—მაგარ ფასებში.

მორეკილი საქონლისათვის მოსავლელად და თვალყურის სადევნად არის ცალკე მწყემსები და ექიმი ვეტერინარი.

ნ. 3—3 სასაკლაოს დირექცია

ქ. თბილისის მე-2 რა-ონ. სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 27 აპრილს 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № 9, კომუნალური ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის შრომის არტელ „ელდაშლიკ“-ის მოძრავ ქონებას: მანუფაქტურას შეფასებულს 789 მანეთად და 10 კ. საბჭოთა მუშაკების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 14 აპრილის 1926 წ. თარიღით, № 1239 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

2251 1—1

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ც. ძამიევი

ამით აცხადებს, რომ ის 24 აპრილს 1926 წ. დღის 8 საათზე სახლში სიონის ეზოში სიონის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის აბრამ ახვერდოვის მოძრავ ქონებას: ნახმარ ხის მასალას შეფასებულს 1025 მანეთად, არშაკ ავეტისოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 23 მარტს 1926 წ. თარიღით, № 1655 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

2246 1—1

ავადმყოფების მიღებას
პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10 ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე, გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56
25—1

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა №18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).
25—20

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად)
25—19

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ინგლაძეს ქ. (ყოფ. საბურთის) № 3
25—8

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთ 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—18

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეზხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.
მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად
22—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად [illegible]
გარდა საქიმის, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნე ბი, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე (ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფებს მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე
25—17

დაჰკარგა პროფკავშირის წიგნაკი, არონ დონდოლაძის სახელზე, ჩ. გ. 2244 1—1

დაჰკარგა რევოლვერის მოწმობა № 1?575 და თოფის მოწმობა № 583818. პავლე ჯიშკარიანის სახელზე, ჩ. გ. 2247 1—1

დაჰკარგა პირადი წიგნაკი № 453 და [illegible] მოწმობა № 101 კონსტანტინე კასის ძე გაბისონიას სახელზე, ჩ. გ. 22 9 1—1

დაჰკარგა „პენსიის“ წიგნაკი გაცემული სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის მიერ დარია ლეფანის ასულის ანდრონიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2245 1—1

დაჰკარგა პირადი წიგნაკი № 745 დავით ჩხაიძის სახელზე, ჩ. გ. 2242 1—1

დაჰკარგა პარტიული ბილეთი № 993976 აფრასიონ შარიქაძის სახელზე, ჩ. გ. 2248 1—1

დაჰკარგა სააქციო ქაღალდი № 555—1006 ქ. გორის კომუნალური ბანკიდან შეძენილი იაკობ მოსეს ძე მეჩითოვის მიერ. ჩ. გ. 2255 1—1

დაჰკარგა კავშირის წევრობის წიგნაკი № 7410 აკაკი სიკო ძე გვარამიას სახელზე, ჩ. გ. 2253 1—1

დაჰკარგა ქვითარი და პირადობის მოწმობა მოცემული სახელმ. უნივერსიტეტის მიერ დიმიტრი ივანეს ძე მატარაძის სახელზე, ჩ. გ. 2252 1—1

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა. კამოს ქუჩა, 68